# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 5 სექტემბერი 1998 №158 (693) ფასი 50 თეთრი



ბადრი ძოძუაშვილის ფოტო

გუშინდელი მატჩის ტიპიური სურათი: მოფაფხურე ქართველები თავდაჯერებულ ალბანელთა წინააღმდეგ

# საქართველო 0:1 ალბანეთი
## (ახალგაზრდული ნაკრებები)
# ლანდებთან ლაციცი

კონსტანტინე გოგიშვილი

უამრავი ლანდი დავლანდეთ 4 სექტემბერს პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, სადაც აბლანდულ-დაბლანდულ ფეხბურთში პატარა ალბანელმა არწივებმა საქართველოს ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრები დაამარცხეს 1:0.

ლანდები ვახსენეთ — ვისი და რისი ლანდი გნებავთ, პაიჭაძეზე რომ არ ყოფილა — მწვრთნელის ლანდი, ფეხბურთელის ლანდი, მეკარის ლანდი, მსაჯის ლანდი, ფეხბურთის ლანდი, ბოლოს პრესკონფერენციის ლანდიც, სადაც მთავარი ფიგურა ასევე ლანდი იყო, ოღონდ რობერტო.

მატჩის მერე გახარებული ალბანელები ტაშით გააცილა ქართველმა მაყურებელმა, ჩვენს ფეხბურთელებს კი სტვენა ხვდათ წილად. სტვენა — ჩვენი ფეხბურთელების თამაშის ყველაზე მართალი და ღირსი მისაგებელი. ასეა, ვერანაირად და ვერაფრით გაამართლებ იმ გუნდს, თუნდაც ახალგაზრდას და აგერ, ა, ახლახან შეკრებილს, რომელიც ალბანეთის მეორე გუნდთან საკუთარ მოედანზე აგებს. ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ ერთი თამაში არაფრის საზომად არ გამოდგება, მაგრამ თამაშიცაა და თამაშიც, წაგებაცაა და წაგებაც... სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ ათასგზის და ხმამაღლა ნათქვამი — არ შეიძლება ყველასთან წაგება, თუ მაინც და მაინც, უნდა იცოდე, ვისთან წააგო.

აზრი არა აქვს გუშინდელი მატჩის დეტალურ აღწერას, ამით ვერაფერს მოვიმკით, მკითხველს კი ტყუილად მოვუშლით ნერვებს. მოდით, ამ წაგების (უფრო სწორად ფიასკოს) ანალიზს მივყოთ ხელი, ანუ იმ ლანდებს „მიველაციცოთ“, გუშინ პაიჭაძეზე რომ დაცოცავდნენ.

მაშ ასე, პირველი ლანდი — მწვრთნელის (ან მწვრთნელების ლანდი).

ალბანელთა გამწვრთნელს რას ვერჩით — მოვიდა ის კაცი, ნახა და გაიმარჯვა, თან ღირსეულადაც. რაგინდ დაბოლმილიც არ უნდა ვიყოთ, გუშინდელი წაგების შემდეგ, ალბანელ სულეიმან მამეს ბუზსაც ვერ ავუფრენთ — ღირსეულად დაიმსახურა იმ კაცმა ტაში.

სადავო ჩვენს მწვრთნელებთან გვაქვს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვერ გაგვიგია, მაინც ვისი თავი მართავს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს. იურიდიულად გიგლა იმნაძეა გუნდის თავკაცი, ფაქტობრივად კი — იტალიელი რობერტო ლანდი. უცნობია ნაკრების შიგნით რა ხდება, მაგრამ ჩვენი გუნდი ნაკრებს არ ჰგავს, იგი უფრო ნაკრების ლანდია. საერთოდ ნებისმიერი დონის ნაკრებში სხვათაგან გამორჩეული ფეხბურთელები თამაშობენ. თითქოს ჩვენს ახალგაზრდულ გუნდშიც ასეა, მაგრამ 4 სექტემბერს ვერაფრით დაგვიმტკიცეს გამორჩეულობა ლანდ — იმნაძის შეგირდებმა, ისინი, ისევე როგორც ნაკრები, თავიანთ აჩრდილებს ჰგავდნენ. ესეც თქვენი მეორე ლანდი — ფეხბურთელის (ან ფეხბურთელების) ლანდი. და მაინც, მატჩის შედეგზე გავლენა, ჩვენი სუბიექტური აზრით, იქონია არა მხოლოდ ქართველი ფეხბურთელების უნიათო გარჯამ, არამედ ქართველი და იტალიელი მწვრთნელების არასწორმა ტაქტიკამ, უფრო სწორად, მათმა სტრატეგიულმა სისუსტემ. სწორი არჩევანი გვითხარით, თორემ ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრების დასამარცხებლად მეორე ტაიმიც სრულიად საკმარისი იყო. ჩვენი გუნდის თავკაცებმა ვერ მოახერხეს ეს. პირიქით, მეორე ტაიმი ალბანელებმა მოგვიგეს.

არასწორ სტრატეგიას და ტაქტიკას, აბა, სხვას რას უნდა დავაბრალოთ ჩხეტიანის მარჯვენა ფლანგზე გამწესება, რბილი სათამაშო მანერისა და მშვენიერი შემქმნელის თვისებების მქონე ყიფიანის უკანა საყრდენად გამოყენება, წინ მხოლოდ ერთი თავდამსხმელით, ამ შემთხვევაში აშვეთიათი, თამაში... მითუმეტეს, პრესკონფერენციაზე რობერტო ლანდიმ ისიც განაცხადა, რომ მწვრთნელთა დავალება ფეხბურთელებმა შეასრულეს. თუკი ფეხბურთელები (ე.ი. გუნდი) მწვრთნელის დავალებას ასრულებენ და მაინც აგებენ, დამნაშავეა მწვრთნელი და არავინ მწვრთნელის გარდა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ეს-ესაა დაიწყო. თითქოს დრო ბევრია, რათა საფიქრალი იფიქრო და გამოსასწორებელი გამოასწორო, მაგრამ ეს ის შემთხვევა უფროა, როცა პესიმიზმი ძლევს იმედს, იმას, რაც არ არსებობს, ვერ გამოასწორებ.

რა დაგვამახსოვრდა ჩვენი ბიჭების გუშინდელი ნალვაწიდან? მუჯირის და დარასელიას ორიოდ შორეული დარტყმა, ყიფიანის რამდენიმე გონივრული პასი, ალექსიძის ჩვეული გასვლები მარცხენა ფრთაზე, მეორე ტაიმში ფრთანაცვალმა ჩხეტიანმაც გაიბრძოლა ერთი-ორჯერ... ეს იყო და ეს. მაგრამ ვერცერთ ამ მომენტს ვერ ვუწოდებთ სახიფათოს და საგოლეს, უმცროსი ვიტალის დარტყმულს ოდნავ სიზუსტე აკლდა, მუჯირისას მეკარე დაუხვდა იოლად, ალექსიძის გასვლებს სიმწვავე არ ჰყოფნიდა და თანაც იმდენად ერთფეროვანი იყო ისინი, ალბანელებმა ბოლოს და ბოლოს ალღოც აუღეს, ჩხეტიანი კი, მწვრთნელთა ახირების გამო, ალბათ პირველად თამაშობდა მარჯვენა ფრთაზე და თავს ზემოთ ვერ ახტა. მეორე ტაიმი სხვებთან შედარებით უკეთ ჩვენი ნაკრების „გეომეტრმა“ (ლანდის ტერმინია) ყიფიანმა და ლიბერო ჭანკოტაძემ ჩაატარეს. ყიფიანმა როგორც შეეძლო (კარგადაც შეძლებია) იბრძოლა, ხოლო ჭანკოტაძე მეტად ჭკვიანურად ხელმძღვანელობდა დაცვას და იმ სამ სახიფათო მომენტში, რომელიც ჩვენი მცველების შეცდომის შედეგად შეიქმნა „შუმახერას“ კართან, ყველაზე ნაკლები ბრალი მას მიუძღოდა.

„შუმახერას“ რაც შეეხება — რამაზი ვერ აღმოჩნდა გაშვებული გოლისას იმ სიმაღლეზე, პოზიციურად შეცდა და ვერ მისწვდა ბურთს. მაგრამ იგი თანაგუნდელებმაც დაალალატეს, კედელში რომ იდგნენ. ჩვენი ფეხბურთელები გაიფანტნენ საჯარიმო დარტყმის მომენტში და ალბერტ დურომაც ყოჩაღად გააძვრინა ბურთი ნაპრალში. სამ-ოთხჯერ ალბანელთა მეკარეც შეცდა, მაგრამ ეს ისეთი ელემენტალური შეცდომები იყო, სოლოლაშვილს ბავშვობაშიც რომ არ ექნება დაშვებული. ჩვენს უფხობას და ლანდიანობას რა ვუთხარით, თორემ ხელში ბურთს რომ ვერ იჭერს, ისეთ მეკარეს როგორ ვერ უნდა გაუტანო. ამიტომაც ზემოთ ნახსენები ტერმინი — „მეკარის ლანდი“ უფრო ალბანელთა კარის დარაჯს შეეფერება.

იხილეთ მეორე გვერდი

# არწივი ფნახოთ დაჭრილი

ახალგაზრდული ნაკრებთა მატჩი დამთავრდა თუ არა, ალბანელთა ეროვნულმა გუნდმა ივარჯიშა ქვეყნის უპირველეს სტადიონზე. არწივებმა კარში საკმაოდ ურტყეს, თანაც ძალიან ზუსტად — ალბანელთა ათიდან რვა დარტყმული მიზანში ხვდებოდა.

ვარჯიში მორჩა თუ არა, ბუნებრივია, ალბანელთა მწვრთნელ ასტრიდ ჰაფიზთან ხელმეორედ გასაუბრება ვცადეთ, მან კი, ცხრა საათზე „შერატონში“ გელით, იქ ვისაუბროთო. რა გაეწყობოდა, სასტუმროს მივაშურეთ, სადაც ჰაფიზიც გამოგვეცხადა.

— ჩვენმა ახალგაზრდებმა ძალიან კარგ შედეგს მიაღწიეს — გვითხრა ალბანელთა მწვრთნელმა — რა თქმა უნდა, ეს ანგარიში ჩვენც დაგვეხმარება, ფსიქოლოგიურად უკეთ განვეწყობით, თანამემამულეთა მოგება ნებისმიერ გუნდზე სასიკეთოდ მოქმედებს. ჩვენებიდან 10 და 11 ნომრებს გამოვარჩევ, მართლაც კარგად ითამაშეს, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში გამოძახებამდე მათ კიდევ მოუწევთ ღირსეულობის დამტკიცება.

ალბანელთა მწვრთნელს, რა თქმა უნდა, ეროვნულ ნაკრებთა მატჩზეც ვკითხეთ.

— ჩვენ ყოველთვის შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ, უკან არც თბილისში დავიხევთ, თუმცა გააჩნია, მეტოქე ხაამისოდ რის საშუალებას მოგვცემს. ყველაფერი თამაშზეა დამოკიდებული. ისე, იცოდეთ, პრობლემები ნაკრების შეთამაშების მხრივ ჩვენც გვაქვს, მაგრამ არანაკლებ თქვენც გაწუხებთ. ისიც ვიცი, რომ საქართველოს ნაკრების უძლიერესი რგოლი თავდასხმაა, რომელიც გაცილებით ძლიერია, ვიდრე დაცვა. ვეცდებით, თქვენი უკანა ხაზის სისუსტეები მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

კი, მართალია, ჩვენს გუნდში მაღალი ფეხბურთელები სჭარბობენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი ძირითადში ითამაშებს. გამოვიყენებთ თუ არა მაღალ ჩაწოდებებს, ეს უკვე მატჩზეა დამოკიდებული, ვიცი, რომ არც თქვენ გყავთ ტანმორჩილი მცველები.

კვიპროსზე თამაშს რაც შეეხება, გეტყვით, იქ წაგება იქაურმა მსაჯმაც განაპირობა. ჩვენების თამაშით კმაყოფილი დავრჩი, საკმაოდ კარგი თამაში იყო.

დღეს შეიძლება არტურ მაჯუნმა ძირითადში ვერ ითამაშოს, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საჭიროების შემთხვევაში მისთვის ყოველთვის გამოინახება ადგილი.

ჰაფიზმა მერე ალბანელ ჟურნალისტებთან გააბა საუბარი, არაფერი გვესმოდა, მაგრამ სტუმარი კოლეგის ნაამბობის შემდეგ ეს მაინც ნაღდად შევიტყვეთ — არწივები მართლაც რომ დაკორტვნას გვიპირებენ. გუშინდელიც გვეყოფა.

ძოგა ინასარიძე

| სავარაუდო შემადგენლობები | |
|---|---|
| ტოგონიძე — ლობჟანიძე, ნემსაძე, კალაძე — ქეცბაია, ჯამარაული, კიკნაძე, კობიაშვილი, ქინქლაძე — ჯანაშია, ა. არველაძე | სტრაკოშა — ჯუმბა, შულკუ, პინარი — ლალა, ბუში, ვატა, კოლა, ჰაჯი — რაკლი, ტარე |

# ყველაფერი არის მშვიდად

US OPEN

ამერიკის ღია პირველობაზე სრული შტილია. სეზონის ბოლო დიდი სლემის ტურნირი, რომელმაც შარშან არნახული რაოდენობის სენსაციას მოგვასწრო, წლეულს ერთობ მშვიდად მიმდინარეობს. აგერ გუშინაც კორტზე გასულმა 17-ვე განთესილმა მშვიდობით უწია მომდევნო წრეს.

კაცები: მარსელო რიოსი (2, ჩილე) — ჯორჯო ჯალიმბერტი (იტალია) 6:2, 6:7 (4:7), 6:2, 6:2; რიხარდ კრაიჩეკი (5, ჰოლანდია) — ალექს ობრაიენი (აშშ) 6:1, 7:6 (7:5), 6:2; ტიმ ჰენმანი (13, ბრიტანეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:3, 5:7, 7:5, 6,4; ევგენი კაფელნიკოვი (11, რუსეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 7:6, 6:2, 1:6, 7:5.

ქალები: მონიკა სელეში (6, აშშ) — ანე მილერი (აშშ) 6:3, 6:3; იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 6:2, 6:3; შტეფი გრაფი (8, გერმანია) — მარიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:1, 6:1; პეტი შნიდერი (11, შვეიცარია) — მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) 6:1, 7:6 (7:3)

იხილეთ მეშვიდე გვერდი



REUTERS ნიუ იორკიდან

რიოსი ჯერ რიოსობს

# ლანდებთან ლაციცი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. პირველი ტური
4 სექტემბერი. თბილისი. ეროვნული. 10 000 მაყურებელი

## საქართველო 0:1 ალბანეთი

0:1 ა. დურო (87)

1. სოლოლაშვილი
3. ჭანკოტაძე
2. რევაზიშვილი
6. გემეზაშვილი
4. მახვილაძე
7. ყიფიანი
11. ჩხეტიანი
9. დარასელია
8. ალექსიძე
5. მუჯირი
10. აშვეთია

---

9. სინანი
11. მერკოჩი
3. სინა
10. კ. დურო
7. ჯაფა
8. ბულკუ
4. ბენდო
6. ა. დურო
2. მანკო
5. პიშა
1. შეჰი

ალბანეთი

შეცვლა: კ. დურო — 15. ბუნა (56), მანკო — 13. დიბრა (68), მუჯირი — 17. მეგრელაძე (71), მერკოჩი — 14. შკემბი (88), დარასელია — 16. შენგელია (90)

გაფრთხილება: ბენდო, მახვილაძე, ბულკუ

მთავარი მსაჯი: მ. როსი (ჩრდ. ირლანდია)

დასაწყისი პირველ გვერდზე

გუშინ „პაიჭაძეზე" მობურთალი ქართველებიდან მხოლოდ დარასელია, ჭანკოტაძე და ალბათ ყიფიანიც თამაშობდნენ სწორ ფეხბურთს — ესე იგი, სწრაფ, დინამიურ, გააზრებულ ფეხბურთს, ყოველგვარი ზედმეტი ფაფხურისა და ბურთის თრევის გარეშე, სხვები კი, თუკი ბურთს მოიგდებდნენ, მასთან დაშორება ეძნელდებოდათ.

არ შეიძლება, არ მოვიხსენიოთ ის მსაჯები თუ მსაჯთა ლანდები, რომლებიც გუშინ ეროვნულ სტადიონზე მატჩს უძღვებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს ეს ხალხი პირველად სჯიდა საფეხბურთო შეხვედრას. შეცდომებს რომ შევეშვათ, აღმოსავლეთ ტრიბუნის ქვეშ მდგომი ლაინსმენი ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, გეგონებოდა, ალამი კი არა, მუჩაგო უჭირავსო ხელთ.

დასასრულს, ერთხელაც შეგახსენებთ — საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ალბანეთის ნაკრებთან წააგო 0:1. ბურთი 87-ე წუთზე ალბერტ დურომ გაიტანა და ცივი შხაპითაც გაგვწუწა.

ჰოდა, დროზეც გამოვფხიზლდეთ — სანამ კიდევ ერთ ლანდთან — ქართული ფეხბურთის ლანდთან გვიწევს ლაციცი.

გამოვფხიზლდეთ, თორემ მალე ეს ლანდიც დაგვეკარგება.

### მატჩის შემდეგ

*სულეიმან მემა, ალბანელთა მწვრთნელი:* ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენმა ნაკრებმა სწორედ ის თამაში ითამაშა, რაც დავავალე. რა თქმა უნდა, ალბანეთის გუნდი გაცილებით დაბალი დონისაა, ვიდრე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა თითქმის უშეცდომოდ ითამაშეს, ზუსტად შეასრულეს მითითებები და ადვილად მოვიგეთ. ალბანეთის ახალბედა ფეხბურთელებისათვის ეს გამარჯვება ძალზედ მნიშვნელოვანია და შევეცდებით, დანარჩენ შეხვედრებშიც კარგი ფეხბურთი ვაჩვენოთ.

რაც შეეხება თქვენს ნაკრებს, ძალიან კარგი და ძლიერი, ჩამოყალიბებული გუნდია. იმედი მაქვს, საქართველოს ახალგაზრდებსაც ასევე კარგად წაუვათ თამაშები, როგორც დღეს ჩვენ. ეს ნამდვილად არ იყო ის საქართველო, რომელსაც ვიცნობდით და ველოდით.

ალბანეთის ნაკრებში ახალბედები თამაშობენ, რადგან შვიდი ფეხბურთელი პირველ გუნდში გადავიდა. ჩვენ სერიოზულ მიზნებს ვისახავთ ამ შესარჩევ ჯგუფში და გვსურს, ევროპაში ღირსეულად წარმოვჩნდეთ. თქვენებურებთან დონეთა სხვაობაში მე მხოლოდ ფიზიკურ მომზადებას ვგულისხმობდი.

*რობერტო ლანდის* რაც შეეხება, მის მიმართ უამრავი მწარე და მწვავე შეკითხვა დაისვა. პირველ რიგში გარკვევა ვცადეთ, თუ ვინ არის ბოლოს და ბოლოს ჩვენი გუნდის მწვრთნელი და ვინ აიღებს პასუხისმგებლობას ამ დამარცხებისთვის. ლანდიმ აღნიშნა, რომ ამ მარცხზე პასუხისმგებლობას თვითონ კისრულობდა, ხოლო რაც შეეხება მწვრთნელების ფუნქცია-მოვალეობების განაწილებას, ეს კითხვა ჩვენი ფედერაციის მესვეურებისთვის უნდა დაგვესვა.

შემდეგ განაცხადა: ძნელია კომენტარი გაუკეთო წაგებულ შეხვედრას, განსაკუთრებით ისეთს, როგორიც დღეს ვნახეთ. ფეხბურთელებმა ყველაფერი ზუსტად ისე შეასრულეს, როგორი ტაქტიკური დავალებაც მივეცი. თუმცა, სამწუხაროდ, ბურთი მრგვალია და მოხდა ისე, რომ ჩვენ საჯარიმოსთან უფრო სახიფათო მომენტები შეიქმნა, ვიდრე სტუმრების კართან. საერთოდ ეს მატჩი პირველი წუთიდან ბოლომდე რომ გავაანალიზოთ, ფეხბურთში შედეგი კრივის წესებით რომ ისაზღვრებოდეს, გამარჯვებას უდავოდ ჩვენ ვიმსახურებდით.

ერთი თამაშით საბოლოო დასკვნებს ნუ გამოვიტანთ. ამ მატჩმა არ ასახა ის დამსახურება, რაც მწვრთნელებმა გუნდის ჩამოყალიბებისთვის გავიღეთ. ჩვენ მომავალ შეხვედრებზე ვფიქრობთ და პატივი ეცით იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც დღეს ყველაფერი იღონეს მინდორზე და ბევრი მათგანი გასახდელში ატირებული დავტოვე. მარტო შედეგზე ყურადღებას ნუ გავამახვილებთ.



ისევ სხვებმა გაიხარეს, ისევ ჩვენ ვიტირეთ

არც ამის შემდეგ იკლო მწვავე, კრიტიკულმა კითხვებმა იტალიელი სპეციალისტის მისამართით. შეკითხვები სათამაშო-ტაქტიკური ხასიათის გახლდათ. ლანდი შეუვალი იყო და აცხადებდა, რომ ის შემადგენლობა, რომელიც მან სათამაშოდ გამოიყვანა, დღესდღეობით ყველაზე უფრო ოპტიმალურია.

ბოლოს მწვრთნელ-კონსულტანტმა თქვა, რომ იგი საქართველოში იმიტომ ჩამოვიდა, რათა ქართულ ფეხბურთს დაეხმაროს. მას სხვა მიზანი არ გააჩნია.

პრესკონფერენციაც ასეთ დაძაბულ ვითარებაში დასრულდა.

*მატჩის შემდეგ ქართველ ახალგაზრდებს და ორიოდ ალბანელსაც გავესაუბრეთ.*

*დავით მუჯირი:* მართლაც დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. ყველანაირად მოვემზადეთ, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად თუ სხვა მხრივ, მაგრამ არ გაგვიმართლა. ალბანელებისგანაც არ ველოდით ასეთ თამაშს, საკმაოდ კარგი და ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. წაგებაზე გავლენა იმანაც იქონია, რომ უმეტესობისთვის ნაკრებში პირველი ოფიციალური მატჩი იყო. მეტი რომ შეგვიძლია, უკრაინაში დამტკიცდა, სადაც გაცილებით უკეთესად გამოვიყურებოდით. ამ მარცხის პირდაპირ ვინმეზე დაბრალება გაუმართლებლად მიმაჩნია. ყველას გარკვეული ბრალი მიგვიძღვის. ტაქტიკაც არ იყო მთლად მართებული. ვთვლი, რომ ერთი თავდამსხმელით თამაში დიდი შეცდომა იყო. ჩემს თამაშზე გარკვეულწილად ტრავმამაც იქონია გავლენა. ალბათ, ამიტომაც შემცვალეს. მიუხედავად ასეთი მარცხისა, მაინც ვიმედოვნებ, რომ ახალგაზრდულ ნაკრებს შესწევს პირველი ადგილისთვის ბრძოლის უნარი და ჩვენც თავს არ დავზოგავთ ამისათვის.

*მიხეილ აშვეთია:* საკმაოდ რთული შეხვედრა კი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, წაგებას მაინც არ ვიმსახურებდით. პირველი მატჩის დაძაბულობამაც ალბათ თავისი გაიტანა. მეორე ტაიმში კი გაიხსნა თამაში, მაგრამ, სამწუხაროდ, გოლის შეგდება ვერ შევძელით. ერთი თავდამსხმელით არ უნდა გავსულიყავით, მით უმეტეს, შინ ალბანეთთან.

*რატი ალექსიძე:* მიჭირს შეხვედრაზე საუბარი. მეტის გაკეთება გვმართებდა. იღბალმაც ზურგი გვაქცია, პირველი მატჩი იყო, ვღელავდით, ალბანელებმაც საკმაოდ ნორმალური გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ მარცხში მთავარი დამნაშავეები მაინც ჩვენ ვართ. ამ მატჩში ნათლად გამოჩნდა, რომ ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა. პირველი შეხვედრის წაგება შინ ალბანეთთან ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ნელნელა ფორმაში შევალთ, ერთმანეთსაც შევეჩვევით და, იმედია, უკეთ გამოვალთ.

*კახა ჩხეტიანი:* ბიჭებმა ყველაფერი გავიღეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. მართალია, ალბანელები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ უნდა მოგვეგო. მეორე ტაიმში აშკარად დავჯაბნეთ, გოლი კი ჩვენ მივიღეთ. ერთი თავდამსხმელით თამაშიც არასწორად მიმაჩნია. ძალიან გულდასაწყვეტი მარცხი კი ვიწვნიეთ, მაგრამ ვეცდებით, დაკარგული ავინაზღაუროთ. ამისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ.

*გიორგი ჭანკოტაძე ემოციას ვერ ფარავდა:*

— საშინლად აღელვებული ვარ. წარმოუდგენელი რამ შეგვემთხვა. მესმის, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ ასეთი რამ... ვფიქრობ, მიზეზი ჩვენში უნდა ვეძიოთ. წინ მთელი შესარჩევი ციკლია და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა შემდგომ პირველი წარუმატებლობის კვალი არ დაგვეტყოს.

*გიორგი რევაზიშვილი* თავჩაღუნული გამოვიდა გასახდელიდან. აშკარად ეტყობოდა, რომ საუბრის გუნებაზე არ იყო, მაგრამ ჩვენს შეკითხვებს ჩვეული თავაზიანობით უპასუხა.

— *გიორგი, იმედგაცრუებული ჩანხარ...*

— რა გითხრათ... მშვენივრად ვათვითცნობიერებ, რაც მოხდა. ჩვენ ხომ მარტო საკუთარი თავისთვის არ ვთამაშობდით. მთელ საქართველოს გავუცრუეთ იმედი. უდიდესი პასუხისმგებლობა დაგვეკისრა, ჩვენ კი... თავდაჯერებამ დაგვღუპა, იოლ გასეირნებას ველოდით.

— *დღევანდელი მარცხის გამოსწორების საშუალება კიდევ გექნებათ...*

— დაფიქრება გვმართებს. მომავლის იმედი მაქვს. წინ მთელი ეტაპია. ჩემი აზრით, ნაადრევად არ უნდა გადავიწუროთ იმედი.

*გიორგი ყიფიანს* მონდომება და ბრძოლისუნარიანობა თითქოს არ აკლდა, მაგრამ ალბანელთა წინააღმდეგ ამან არ იკმარა.

— *გიორგი, თამაშის წინ იმედიანად იყავი განწყობილი.*

— ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდი. ალბანელებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში და ამით იხეირეს.

— *კი მაგრამ, ეს ხომ მოსალოდნელიც იყო. იქნებ თქვენი ტაქტიკური მონახაზი არასწორი იყო.*

— ვერაფერს გეტყვით. ფაქტია, რომ დავმარცხდით და აქედან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

— *ტაიმებს შორის შესვენებისას მწვრთნელებისგან რა მითითებები მიიღეთ?*

— გვითხრეს, ხშირად დაგვეჭირა ბურთი და მეტწილად ფლანგებიდან შეგვეტია. თითქოს ამას ვაკეთებდით კიდეც, მაგრამ გიმეორებთ, მეტოქემ ჩინებულად გამოიყენა თავისი შანსი და დამსახურებულად გაიმარჯვა.

*ალბერტ დურო:* უზომოდ გახარებული ვარ, მით უმეტეს, რომ ერთადერთი გოლი მე გავიტანე. თუმც ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ჩვენთვის მოგება იყო. საფეხბურთო სამყაროში სერიოზულ ძალად არ მიგვიჩნევენ, ჩვენ კი ძალიან გვსურს, საპირისპირო დავამტკიცოთ. დღეს სწორედ ამან მოგვაგებინა.

— *ასეთ შედეგს თუ ელოდით?*

— სიმართლე რომ გითხრათ, არა. ჩვენ გვქონდა თქვენი გუნდის მატჩების ვიდეოჩანაწერი ინგლისელებთან და იტალიელებთან და გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა თქვენი ნაკრების შესახებ.

— *რას ფიქრობთ ახლანდელ ნაკრებზე?*

— ახლა არაფრის თქმა არ შემიძლია. ერთი თამაშით დასკვნების გამოტანა ჭირს. ეჭვიც არ მეპარება, საპასუხო მატჩში თქვენები გაცილებით ძლიერად ითამაშებენ, მაგრამ დღეს ჩვენ ვიმარჯვეთ და დამსახურებულადაც.

ჩვენი მეორე რესპონდენტი, *ელდორადო მერკოჩი*, ალბერტ დუროსგან განსხვავებით, ნაკლებად დიპლომატიური აღმოჩნდა:

— დღეს ჩვენ ჩვენი სიძლიერე დავამტკიცეთ და იმედი მაქვს, სხვებსაც დავაჯერებთ ჩვენს ძალაში, თუმც მათთან ალბათ უფრო გაგვიჭირდება.

— *ესე იგი, დღეს ადვილად მოიგეთ?*

— რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, მაგრამ იღბალი არ გვწყალობდა, თუმცა იღბალს რას ვერჩი, მაინც ხომ მოგვაგებინა.

— *ფიქრობდით, რომ მოგებას შეძლებდით?*

— მოგებაზე ვფიქრობდით. ანდა რატომ არ უნდა გვეფიქრა? მაგრამ სიმართლე გითხრათ, დიდად არ მჯეროდა, თუმც დარწმუნებული ვიყავი, არ წავაგებდით.

— *რატომ იყავით ასე დარწმუნებული?*

— საკმარისი ინფორმაცია გვქონდა თქვენს ნაკრებზე და ამიტომ.

— *მაინც რა ინფორმაცია იყო ასეთი?*

— ამას უკვე ვერ გეტყვით. თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს. თქვენც ხომ გქონდათ ჩვენზე ინფორმაციები?

აქ კი ჩვენი საუბარი შეწყდა. სტუმრებს სასტუმროში აგვიანდებოდა.

**ხვიჩა სანიკიძე**
**ვანო ოქროპირიძე**
**პაატა კვანტალიანი**
**პაატა თოთაძე**

### მატჩის სტენოგრამა

5 წუთი. კლოდიან დუროს ჯარიმიდან დარტყმულს სოლოლაშვილი ადვილად დაეუფლა.

8. სინანი მარცხენა ფლანგზე რამდენიმე მეურვის მოტყუების შემდეგ ბურთს პარტნიორს აწვდიდა, სოლოლაშვილმა ნახტომში ჩაუჭრა.

11. რევაზიშვილმა დარასელიას მიაწოდა, ვიტალიმაც უმალ დაარტყა, ოდნავ არაზუსტად.

15. რატი ალექსიძემ საჯარიმოს კიდიდან ჩააწოდა, ჩხეტიანს ალბერტ დურომ დაასწრო და ბურთი აუტში გადააგდო.

20. აშვეთიამ სისწრაფეში სინა დაჯაბნა, მაგრამ მეკარე ჩაუწვა და დარტყმა არ დაანება.

24. რევაზიშვილს მეკარემ ოდნავ უხერხულად აულო.

31. კაპიტანმა მერკოჩიმ ქართველთა დაცვა ლამის გაარღვია, დარტყმისას კი ვერ ივარგა.

33. მცველისგან დაბრუნებულს მეკარე შეჰიმ ფეხი ააცილა. მისდა ბედად, ბურთი კარში არ შეგორდა.

43. კლოდიან დურომ ჯაფა სოლოლაშვილს შეატოვა, ბალკანელს დარტყმისას სიზუსტე დააკლდა.

45. ალექსიძემ საჯარიმოს კუთხიდან ძლიერად გაისროლა, შეჰიმ ნახტომში მუშტებით მოიგერია.

51. ალექსიძემ შეტევა წამოიწყო, მუჯირმა გააგრძელა, მეურვე ჩამოიცილა და ჩვეულად, ყუმბარისებურად დაარტყა, ბურთს ბალკანელი ალბერტ დურო გადაეღობა.

55. მუმუმ გაატარა, ჭანკოტაძემ გაისროლა, ოდნავ არაზუსტად.

60. ჩხეტიანმა საჯარიმოში ჩაჰკიდა, აშვეთიას მეკარემ თავური არ დაანება.

69. მუჯირმა შეცვლამდე კვლავ ჩვეულად დაარტყა, შეჰიმ ამჯერადაც მუშტებით გაჭირვებით მოიგერია.

73. ალექსიძემ ფლანგიდან დაბალი ჩააწოდა, ჩხეტიანმა კი ბურთი კარის მაგივრად ზეცას დაუმიზნა. იქვე დარასელიას დარტყმული მეკარემ გააუვნებელყო.

75. ვიორესინ სინანიმ იმდენი ქნა, კაპიტანი მერკოჩი სოლოლაშვილთან ერთი-ერთზე გაიყვანა, მაგრამ შუმახერამ გვიხსნა.

87. ალბერტ დურომ ჯარიმა დაარტყა, ბურთი ცოცხალ კედელში გაძვრა და კარში აღმოჩნდა — 0:1.

89. კლოდიან დურო მეკარესთან პირისპირ დარჩა, შუმახერამ მეორე არ გაატანინა.

გიო ახვლედიანის

სვეტი

# ყველაფერი ძველებურად?

ჰეი, თქვენ, ალბანელებო, გაუმაძღარნო ომითა, რამდენჯერაც შეგხვდით, იმდენჯერაც მოგიგეთ! ეს ამბავი მომხდარა სრულ სამჯერ, თქვენ კი, მაინც არ იშლით და კიდევ ჩვენსკენ მოიწევთ, გინდათ თუ არა, ერთად უნდა ვსწიოთ შესარჩევის ჭაპანიო.

ჰეი, კიდევ თქვენა, საქართველოს ნაკრებო, რომ ალბანელებს ყოველთვის ამარცხებდით და ახლაც გადაგიწყვეტიათ, ერთხელაც უნდა მოვახდინოთ ეს საქმეო, მაგრამ იმ განთქმული „ქვევრისა“ არ იყოს, იმ ფეხებსა მერე მხრები არ მოჰყვება?

ვსმისლე, ზნაჩით, რო სათქმელი პირდაპირა ვთქოთ — ალბანეთს კიდევ სხვა მოყვება და მთავარიც ის სხვაა. საზოგადოდ კი, საქართველო არც ინგლისია და არც ბრაზილია, რომ მწვრთნელს, თუნდაც, პრემიერ მინისტრს, ან ჯარების სარდალს თავისი ფიქრის და მიზანდასახულობის უმტკივნეულოდ ხორცშესხმა შეეძლოს. ამიტომაც იტყვიან, ბიჭები იშტაზე არ იყვნენო, არც რუმინეთშიო და არც კიევშიო. იშტა არ ჰქონდათო.

სხვა ათას ჭირთაგან, ესეც ამ ბოლო დროს ერთ-ერთია: საქართველო თანდათან ხდება ინდოეთისნაირი კონტრასტების ქვეყანა, სადაც უქონელნი და მილიონერნი მოიძებნებიან, ამათშუა მდგომნი კი ძნელად. ასევე ხდება ფეხბურთსა და ფეხბურთელებშიაც. და ეს საკვირველი არ არის, რახან საქართველო ასეთი ქვეყანაა.

ყოველი ახალი სეზონის წინ აღვივსებით ხოლმე იმედებით და გავიხსენებთ შარშანდელ სახელოვან წუთებს, რომლებიც იმხანად კი იყო სასიხარულო, მაგრამ წინსვლის საკითხში დიდ არაფრად წაადგა ჩვენს ფეხბურთს. იმიტომ, რომ წინსვლის საკითხი არ არის მხოლოდ მოხდენილად კენწვლის საკითხი, არამედ, როგორც იტყვიან, კომპლექსურია.

მესამე ციკლში გაბიჯებთ და ისევ არის ლაპარაკი იმის გამო, რომ მოვუგებთ ჩვენით გაუმაძღარ ალბანეთს, რაც დიახაც რომ სასიხარულოა, მაგრამ არ არის მთავარი. მთავრი კი არის აი რა — დაისახო ადგილი მსოფლიოს საფეხბურთო სივრცეში. თუ ეს ადგილი მაღლაა, იმუშაო იქამდე ასასვლელად, ხოლო თუ დაბლაა, იყო არხეინად და მაშინ სტადიონზე სკამების დადგმაც არ არის საჭირო, რადგან იმ სკამებზე დამჯდომ ხალხს აღარ უნდა ელოდო.

ახლა კი გამოდის, რომ ხალხს ელი და ადგილი არ დაგისახავს სივრცეში.

უნდა გავიხაროთ დღეს, უნდა გავიმარჯვოთ და ხვალის გაზეთებში ქება აღვავლინოთ. აბა, ვის არ გაეხარდება ეს ამბავი?

მაგრამ ეს თუ ძველებურადვე დარჩა დღევანდელ, მხოლოდ ამ საღამოს გამარჯვებად, მაშინ დიდი არაფერი იქნება. ეს იქნება მხოლოდ სტატისტიკური მონაცემი: საქართველო — ალბანეთი, ვთქვათ, 1:0 ან 2:0, ან თუნდაც 4:0.

სულ მახსენდება პირველი შესარჩევი მატჩი ჩვენს სტადიონზე: საქართველო — მოლდოვა 0:1. ეს სიმბოლური რამეა. იმ თამაშის დაღი დღემდე არ წაშლილა. ასე ჩანს და რა ვქნა? თუნდ მთელი ქართველობა ნიუ-იორკის „კოსმოსში“ ჩაგვრიცხონ, ეს არ ნიშნავს, რომ ადგილი გვქონდეს მსოფლიოს საფეხბურთო სივრცეში. ჩვენნაირი ქვეყნის სახელის მომტანი ნაკრებია და არა სხვა რამ.

მოვუგოთ ალბანეთს, სადაც, რამდენჯერაც შეგვხვდება, მაგრამ ნუ გვეყოფა ორ წელიწადში ერთი, ერთი საღამოს გამარჯვება. არავის არ სჭირდება ეს გამარჯვება ათი წლის ბიჭების გარდა, რომლებიც დიდად ვერ ერკვევიან ცხრილებში.

მოვუგოთ ამ ჩვენზე ბედკრულ ალბანეთს, ოღონდ სხვა ყველაფერი ნუ იქნება ძველებურად მხოლოდ ის, რომ ალბანელებს ვჯობნით, იყოს ძველებური.

თორემ რა? ვიყვირებთ ამ საღამოს, თუ საფეხბურთო ღმერთმა ინება, ვიხალისებთ კიდეც, მაგრამ ხომ უნდა გასცდეს ეს ყველაფერი ერთ საღამოს.

იშტაზე ყოფნის გამო კი: რა თქმა უნდა ცუდია, როცა იშტა ხანდახან გეწვევა ხოლმე, თანაც პროფესიონალს.

ბილეთის მყიდველმა ხომ არ იცის, ვინ იშტაზეა და ვინ არა.

ლოზუნგი: დავამარცხოთ ალბანეთი და დავამარცხოთ ალბანეთი საკუთარ თავში!

# თქვენს უკან საქართველოა!

აჰა, 5 სექტემბერიც დაგვიდგა. დღე, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ალბანეთისას შეერკინება. დღე, როდესაც მორიგი საცდელი უნდა ვცადოთ, მტერს თვალი დავუბრმავოთ და მოყვარე გავახაროთ. დროა, ნამდვილად დროა. ჩვენ გამარჯვება გვსურს და არც არასდროს ვყოფილვართ ისე ახლოს მასთან, როგორც ახლა.

სიძნელეები კი დაგვებედა — თითქმის მთელი დაცვის ხაზი ტრავმებმა გაგვიტანჯა, მაგრამ ტრავმა იმის ტრავმაა, უნდა მოვიშუშოთ, სატკივარს ვუწამლოთ და ქართველებს უჭირთო, არავის ვაფიქრებინოთ. კი, მართალია ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა (მეტნაკლებად), ამბიციებიც მოსჭარბდათ მეტოქეებს, რიხიც და ფახი-ფუხიც ჩვენზე არანაკლები გააჩნიათ, მაგრამ მაინც ჩვენმა უნდა აჯობოს. არ შეიძლება, არ გვეკადრება სხვნაირად. ერთხელ ჩვენც უნდა ვკრათ ქუდი ჭერს.

სადღეისო თამაშს რაც შეეხება, მოგების გარდა ნებისმიერი შედეგი სირცხვილის ტოლფასი იქნება. ყველამ ჩვენს გულში ჩავიხედოთ — მწვრთნელმაც, შეგირდმაც, მეხოტბე-კრიტიკოსმაც, გულშემატკივარმაც — არიან კი ალბანელები ის ხალხი, მრავლისმნახველ ეროვნულზე რომ გაგვაბითურონ?! არამც და არამც, ჩვენ ძალგვიძს მათი დამარცხება და ასეც უნდა მოხდეს. ისე, კი იმუქრებიან „არწივები“, მოვდივართ და დაგვხვდითო, მაგრამ ჩვენც ბიჭები ვართ და დავხვდებით, ისევე როგორც ბერძნებს, ნორვეგიელებს, ლატვიელებს, სლოვენებს უნდა დავხვდეთ. სირცხვილია, არ შეიძლება, სხვანაირად საჭიროა რომ დავხვდეთ.

ვინ იცის, გაცვლა კიდეც ზემოთნათქვამი, იქნებ მობეზრდათ კიდეც ჩვენს ბიჭებს მსგავსი მოწოდებანი (თუ რაც გნებავთ უწოდეთ), ალბათ გულშემატკივრობაც, სხვაგვარი იციან იმ დიდ გუნდთა ფანებმა, რომლებშიც ისინი ირჯებიან, მაგრამ სამშობლო თავისას ითხოვს, სამშობლოს თავისი ეკუთვნის და მათაც საცდელი არ უნდა დააკლონ.

მერე რა ვუყოთ, რომ შოთა ვერ ითამაშებს. შოთა ახალგაზრდა კაცია, ტრავმის მოსაშუშებელი დროც საკმაოდ აქვს და გახარებითაც ძველებურად არაერთხელ გაგვახარებს. 5 სექტემბერს კი სხვები გაირჯებიან ჩვენი ნაკრების წინა ხაზზე. ყველასთვის ცნობილია, რაოდენ დიდ ძალას წარმოადგენენ ნაკრებისთვის შელია, ცხადაძე, შეყილაძე, ძნელია მათ გარეშე თამაში, მაგრამ სხვებიც ხომ გვყვანან, უფრო ახალგაზრდანი, მაგრამ არანაკლებ ნიჭიერნი. დროსთან ერთად გამოცდილებაც მოვა, გამოცდილება — ნიჭს კლასში რომ გადაზრდის და ნორვეგიელებს, ბერძნებს (სხვებსაც) სწორ, გამართულ ფეხბურთს დაუპირისპირებს. ფეხბურთის თამაში კი შეგვიძლია ქართველებს. ის, რაც სხვებმა ახლახან დაიზუთხეს, ჩვენ კარგა ხანია გენში გვიზის და რაც გენში გვიზის, იმას ვერავინ წაგვართმევს. აკი ერთხელაც დაამტკიცეს თბილისის დინამოელებმა, რომ შეუძლიათ ქართველებს ფეხბურთის თამაში. ბევრი ხომ ვერაფერიც დაგვაკლო ბასკურმა „ატლეტიკმა“, ის კი არა, საქვეყნოდაც კინაღამ მოვჯაყეთ მრავლის მნახველი ფერნანდესი და კომპანია. ჰოდა, როცა „ატლეტიკთან“ ასეთი თამაში ძალგვიძს, ალბანურ გუნდთან წაგების მისხალი შანსიც კი არ უნდა დაუშვა, რა ბედენაა ვინ გეყოლება მეტოქედ — „ვლაზნია“ (ალბანეთის ჩემპიონი) თუ ალბანეთის ეროვნული ნაკრები.

იმ დიდ გამარჯვებასაც, ევროპის ჩემპიონატის საგზური რომ ჰქვია, შაბათს, 5 სექტემბერს ეყრება საფუძველი. ვინ იცის რა გველის, ან რას გვიმზადებს საფეხბურთო ფორტუნა, მაგრამ ბედი ხომ მუდამ ძლიერებს წყალობთ და ერთხელ ჩვენც დავამტკიცოთ ჩვენი სიძლიერე — არა მხოლოდ სხვებისთვის, ჩვენთვისაც. ჩვენი, საკუთარი თავიც დავარწმუნოთ იმაში, რომ ძლიერები ვართ და ბევრიც შეგვიძლია, რომ ტყუილად არ გვმოსავს „აიაქსის“, „ნიუკასლის“, „გრასჰოპერსის“, „ფრაიბურგის“, „ეინდჰოვენის“, კიევის „დინამოს“ (ჩვენი „დინამოსიც“) და სხვათა კვართი.

მერე კი... მერე მადა ჭამაში მოვა და ალბათ გამარჯვებაც მოვა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ვინ დარჩა გამკითხავი?

## 400 ათასი დოლარი ნაკრების 5 მატჩის საფასურად



პირველი არხის გენერალური დირექტორი გიორგი ლეონიძე

*ვერავინ დათვლის, ფეხბურთის რამდენი ქომაგია საქართველოში. ალბათ, ძალიან ბევრი, მათ მხოლოდ ფეხბურთი ასულდგმულებთ. ვთქვათ, დაიძრა ყველა თბილისისკენ (არაფერს ვამბობთ დედაქალაქელებზე) და მოაწყდნენ ეროვნული სტადიონის კარიბჭეს, რა მოხდება მაშინ?*

*ტრიბუნებზე 36 ათასზე მეტი ვერ მოკალათდება, რადგან ასეთია უეფას ბრძანება. სასწავლო წელიწადი დაწყებულია, ისედაც მთელი საქართველო თბილისშია. ერთადერთი გამოსავალი საქართველო — ალბანეთის მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია გახლდათ, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციამ — ნურას უკაცრავად, ვიდეოჩანაწერს უცქირეთო.*

*ტელევიზიას ადრინდელი თამაშების ფულიც არ გადმოურიცხავს, რუსეთთან ამხანაგური მატჩისთვის ათი ათასი დოლარი გვეკუთვნოდა, ისიც არ მოგვცეს, ამიტომ თამაშს პირდაპირ ეთერში ვერ გაუშვებენო.*

*ფედერაციამ თქვა და სიტყვას ბეჭედი დაასვა. მაინც ბოლომდე გვჯეროდა, რომ ფედერაციის ჩინოსნები გაითვალისწინებდნენ ხალხის ინტერესებს. იმედი საბოლოოდ ტელეკომპანია „პირველი არხის“ გენერალურ დირექტორთან გიორგი ლეონიძესთან გასაუბრებამ გაგვიცრუა.*

— რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მიუხედავად ჩვენი დიდი მონდომებისა, საქართველო — ალბანეთის ეროვნული გუნდების პირდაპირ რეპორტაჟს ხალხს ვერ ვუჩვენებთ.

**— კი მაგრამ, მიზეზი?**

— შარშან ფეხბურთის ფედერაციამ წარმოგვიდგინა ხელშეკრულების პროექტი, რომელშიც ჩადებული მუხლის მიხედვით ტელევიზია ვალდებული იყო, ეროვნული გუნდის ხუთი საშინაო შეხვედრის პირდაპირ ეთერში ჩვენებისთვის ფედერაციის სასარგებლოდ, 400 ათასი დოლარი გადაეხადა.

ეს თანხა კი საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის ძალიან დიდია. ამას კი არა, ხელფასების გაცემას ძლივს ავუდივართ.

ხელშეკრულების გაფორმებას თავისთავად რა სჯობს, მაგრამ არსებულ ვითარებაში კომპრომისის გამონახვა უმჯობესი იქნებოდა.

მე მესმის ფედერაციის, მათ კი უნდა ეკუთვნოდეთ ფული, მაგრამ როცა არ არის, რა ექნათ?!

**— იმ ხალხს რას პირდებით, რომლებიც სტადიონზე ვერ მოხვდებიან?**

— რეპორტაჟს თორმეტის თხუთმეტ წუთზე დავიწყებთ. პირველი ტაიმის შემდეგ გადაცემას ღამის საინფორმაციო გამოშვება „მაცნე“ შეწყვეტს. მისი დასრულების შემდეგ ეთერში მეორე ტაიმი გავა. გავითვალისწინეთ ისიც, რომ შეიძლება ამ დროისთვის შუქი ყველას არ ჰქონდეს, ამიტომ მეორე ნახევრის ვიდეოჩანაწერს 6 სექტემბერს, შუადღისით გავიმეორებთ.

**— ცოტა უცნაურია, ტელევიზია, რომელმაც პირდაპირ ეთერში მსოფლიოს ჩემპიონატი გვიჩვენა, ფინანსური სიძნელეების გამო ეროვნული გუნდის მატჩს ვერ გადასცემს?**

— მსოფლიოს ჩემპიონატის 64 მატჩი 150 ათასად შევისყიდეთ რუსული РТР-ისგან. თანაც რუსები ჩანაწერს უშვებდნენ, ჩვენ კი პირდაპირს. განსხვავებაც თვალნათლივ ჩანს — 150 ათასად მსოფლიოს ჩემპიონატის 64 თამაში და 400 ათასად ეროვნული გუნდის 5 მატჩი. ყველანაირად ვცადეთ არსებული პრობლემის მოგვარება, მაგრამ გამოსავალი ვერ ვიპოვეთ.

**— თუ იცით, ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებში როგორაა ამ მხრივ საქმე?**

— ფაქსით დავუკავშირდი უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფო ტელეკომპანიებს და კითხვით მივმართე მათ. ჯერჯერობით პასუხი მხოლოდ მოლდოვიდან მივიღე. ფაქსში გარკვევით წერია, რომ მათთან არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. არავითარ ფულზე არ არის ლაპარაკი იქაურ ფეხბურთის ფედერაციასა და ტელეკომპანიას შორის. ყველაფერი გულშემატკივართა ინტერესების გათვალისწინებით ხდება. დარწმუნებული ვარ, სხვა ქვეყნებიდანაც მსგავსი პასუხი მოვა.

**— ნუთუ ამხელა ტელეკომპანია ასეთ ცუდ დღეშია?**

— ჩვენი წლიური ბიუჯეტი 15 მილიონია. აქედან დაახლოებით შვიდ მილიონზე მეტი კავშირგაბმულობისაა. ხელფასები, სხვა ხარჯები, აპარატურის შეკეთება-განახლებისთვის ფული არც რჩება.

**— თქვენი ნაამბობიდან გამომდინარე, პრობლემები გაგიჩნდებათ „დინამოს“ საევროპო მატჩების ტრანსლირებისას. ალბათ, გულშემატკივრებიც სასიკეთოს არაფერს უნდა ელოდნენ.**

— მართალი ბრძანდებით. ყველა თავისას ითხოვს. პრობლემა იქნება საკალათბურთო თუ სარაგბო მატჩების პირდაპირ ეთერში გადაცემაც. რაც შეეხება „დინამოს“, სირთულეები ადრეც იყო, მაგრამ გამოსავალს როგორღაც ვაგნებდით. ისე, „დინამოსთან“ კონტრაქტზე საუბარი არასდროს ყოფილა. სიტყვიერი შეთანხმებით ვაგვარებდით პრობლემას. აწი ძნელი სათქმელია, რა და როგორ იქნება.

*ჩვენ რომ ყოველმხრივ ცივილიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ეკუთვნის ფული ფედერაციას, მაგრამ როცა ყველაფერი თავდაყირა დგას, როცა სტადიონზე ოთხმოცის ნაცვლად 36 ათასზე მეტს ვერ უშვებ და პირდაპირ ეთერზეც უარს ამბობ, გაგივიყდება გულშემატკივარი, აბა, რა იქნება.*

*მერე მოვყვებით წუწუნს, ხალხმა კარები გაანგრია, სარბენ ბილიკებზე გაიჭრა და ტრიბუნებზე ისე მოკალათდაო. უეფაც დაგვაჯარიმებს და უყარე მერე კაკალი.*

*თუ ყოველივე ამით დასრულდა, ღმერთს ათასჯზის მადლობა შევწიროთ. ხალხმა ზედახორა რომ მოაწყოს „დალუქულ“ კარებთან და დასანანი, გამოუსწორებელი მარცხი შეგვემთხვას, მაშინ პასუხს ვინ აგებს ნეტავი?!*

*...მაგრამ ჩვენ ხომ ერთადერთი პრინციპით ვმოქმედებთ, მიწაა ყველაფერი და ბოლოს ისევ მიწად იქცესო. გამკითხავიც რომ არავინაა?!*

**მამუკა ქვანტალიანი**

## კითხვა — პასუხი

***— ვერ გავიგე.***

— რა ვერ გაიგე?

***— ოუენის ფეხები სამოც მილიონად დააზღვიესო.***

— შენ ოუენი რა იცი?

***— ოუენი მე კი არა, სტივ ვანდერმაც იცის.***

— ეგ ხო ბრმაა?

***— ჰოდა, მაგანაც.***

— და რა გინდა?

***— ფეხის დაზღვევა რაღაა?***

— შენ ძველი დროის ასლამაზოვი გაგიგონია?

***— ვინა?***

— ასლამაზოვი, „დინამოს“ ფეხბურთელი.

***— არა, მე პანიუკოვი გამიგონია.***

— ასლამაზოვი იყო.

***— მერე?***

— მერე, ისეთი დარტყმა ჰქონდა, რომ ფეხი დაულუქეს.

***— ეგ როგორ?***

— როგორ და მარჯვენათი დარტყმა აუკრძალეს.

***— რატომ?***

— მეკარეები რომ არ მოეკლა.

***— რაღა მეკარეს უმიზნებდა?***

— ეეე... შტანგებსაც ამტვრევდა.

***— მერე?***

— მერე ერთი ოროჯერ შეაპარა და „პიშჩევიკის“ მეკარე შემოაკვდა. თამაში აუკრძალეს...

***— ეგ ოუენთან რა შუაშია?***

— რო ეგრე აღარ აუკრძალონ.

***— ოუენმა ვინ მოკლა?***

— ეჰ... ოუენმა ჩემი გული მოკლა.

***— როდის?***

— აი, რუმინეთთან რომ წაუცაცუნა შტანგას...

***— რეებს იხსენებ, რა დროს ეგ არის?***

— მაშინ სხვა რამეს გკითხავ.

***— აბა?***

— აი, რა ჯობია ქვეყნისთვის, ერთი ოუენი თუ ნავთობსადენი?

***— მაგათი შედარება არ შეიძლება.***

— რატომ?

***— ოუენი ჰა, ჰა, თხუთმეტ წელიწადს იქნება, ნავთობსადენი კი სულ.***

— ხო, მარა, ნავთობსადენზე თხუთმეტი წელიწადია ლაპარაკობენ და ჯერ არ არის, ოუენზე კიდევ ჯერ ხმა არ ამოეღოთ და უკვე იყო.

***— ნავთის და კაცის შედარება არ გამიგია.***

— კაცია ბიჭო ოუენი?

***— აბა ვინ არის?***

— მომავალი სერ მაიკლ ოუენი.

***— შენ რა იცი?***

— ორმოცდაათისა რო გახდება, დედოფალი მისცემს.

***— მაშინ დედოფალი იქნება?***

— დედოფალი სულ იქნება.

***— და გაზა?***

— გაზაც სულ იქნება, თუ ინაპლანეტიანები არ წაიყვანენ.

***— მაგას არ გეკითხები. გაზა ჯობია, თუ ნავთობსადენი?***

— დღეს?

***— ჰო, დღეს.***

— დღეს ნავთობსადენი კი არა, ლუბოი ყველაზე მყრალი წყალსადენი ჯობია... ეჰ.

***— მაშ გაზაზედ ხელი ჩაგიქნევია?***

— მე კი არა შერილმაც ჩაიქნია.

***— შერილი ვინ არის?***

— შენ ოუენის მეტი არავინ გაგიგია?

***— მეტი რა საჭიროა, ყველაფერს ოუენი ყვეთებს.***

— ეგრეც ნუ იტყვი.

***— რატომ?***

— ბერლუსკონიმ არ გაიგოს, თორემ წაიყვანს და დასვამს ზაპასში. არც თქვენა და არც მეო.

***— ბერლუსკონი ვინ არის?***

— ერთი კაცია, ბიჭების შემგროვებელი.

***— როგორ აგროვებს ბიჭებს?***

— ყიდულობს და მერე ჭერში აწყობს.

***— ვერ ყოფილა კარგი კაცი.***

— ბარე ორს კიდევ ეგ ჯობია.

***— ვის?***

— გვარს არ დავასახელებ და ჩვენი კოლმეურნეობის თავჯდომარე რომაა.

***— ააა, გავიგე, გავიგე...***

— ძალიან კარგი. მთავარია გაგება.

# ომი, ნამდვილი ომი!

## "Не робійте, хлопці! Ми з вами!"

**EURO 2000**
ევროპის ჩემპიონატის
შესარჩევი მატჩი

— კიევის ოლიმპიური სტადიონის ცენტრალური შესასვლელი მსგავსი შინაარსის უზარმაზარი პლაკატით გახლავთ დამშვენებული, რაც ქართულად დაახლოებით ასე ჟღერს: „ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ჩვენ თქვენთან ვართ". კი მაგრამ, რა აქვს შესაშინებელი ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი არმიის პატრონ უკრაინასო, შეიძლება იკითხოს მავანმა საქმეში ჩაუხედავმა და მწარედაც შეცდება, რადგან ჩვენ, გათვითცნობიერებულებმა, ჩინებულად ვუწყით, რომ დღეს, 5 სექტემბერს კიევში ომია მოსალოდნელი, ნამდვილი ომი, მებრძოლთა ტრადიციული გამხნევებით, ეროვნული ჰიმ ნების და დროშების თანხლებით. მერე რა, რომ საქმეში იარაღი არ ჩაერევა? ვისაც გნებავთ, შევეკამათები და სულ ცოტა ხანში დავუმტკიცებ, რომ მართალი ვარ, თუმცა ვფიქრობ, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ შემკამათებელიც არავინ მეყოლება და ყველა დამიდასტურებს სიმართლეს. მთლად ისე არ გაიგოთ, თითქოს უკრაინელები პოლონელებს გაუსწორებენ ანგარიშს, ან მათ მესამე რაიხის ჯარისკაცები ემუქრებიან, მაგრამ...

კიევში რომ მოხვდეთ, იფიქრებთ, ამ ხალხმა ჭკუა ან სულ დაკარგა, ანაც არასოდეს ჰქონიაო. სადაც კი მომიწია ყოფნამ, ტრანსპორტში, პურის მაღაზიაში, ულამაზეს ხრეშჩატიკზე და ღმერთმა უწყის სად, აბსოლუტურად ყველა მხოლოდ ერთზე — ფეხბურთზე საუბრობს და ამით საზრდოობს. კაცს და ქალს, მოხუცებულს და ბავშვს ერთთავად ის აკერია პირზე, მოიშუშებს თუ არა ლუჟნი ტრავმას, შეუტევს თუ არა ჩვეულად შევჩენკო, როგორ დახვდება მომხვდურთ მეკარე შოვკოვსკი და სხვა მისთანანი. ერთი სიტყვით, კიევი ერთ დიდ საფეხბურთო სტადიონს დამსგავსებია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გულშემატკივრები უკვე იმარაგებენ დროშებს და საყვირებს, ქუჩაშივე ეწყობა იმპროვიზებული რეპეტიციები ეროვნული ნაკრების მხარდასაჭერად, ეზოებში მოთამაშე ბავშვები იყოფიან რუსებად და უკრაინელებად, ისევე, როგორც ადრე იყოფოდნენ საბჭოელებად და გერმანელებად და თამაშობენ თავდავიწყებით, თუმცა რუსების ბანაკში მოხვედრა, რა თქმა უნდა, არაპრესტიჟულია. გაზეთი „უკრაინსკი ფუტბოლის" კორესპონდენტმა ოლეგ პოდვეორროტნიმ მითხრა, გუშინ ეზოდან ამოსული ატირებული ბავშვი ძლივს დავამშვიდე, ორი წლით უფროსებთან ფეხბურთს თამაშობდა და თურმე „რუსეთის ნაკრებში" გაუმწესებიათო. ასეა, დრო იცვლება...

პრინციპში, ამ აჟიოტაჟში არაფერია გასაკვირი. მაგალითიც ხომ მრავლად მოგვეპოვება. გავიხსენოთ აშშ-ის და ირანის ნაკრებთა ამასწინანდელი მატჩი საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ინგლისის და არგენტინის ნაკრებების მუდამ დრამატული შეხვედრები, კალათბურთელთა ევროპის პირველობაზე ხორვატთა და იუგოსლავიელთა შერკინება, ან თუნდაც რამდენიმე წლის წინ ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" დაპირისპირება და ყველაფერი ცხადი გახდება. არც ის იფიქროს ვინმემ, უკრაინელები გარუსებულები არიან და ისინი ამ თამაშს ინტერნაციონალიზმის მოსასხამით შემოსავენო. მერწმუნეთ, ეგ დრო წარსულს ჩაბარდა. უკრაინელები, მეტი თუ არა, არავისზე ნაკლები პატრიოტები არ არიან და ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, 5 სექტემბრის მერე სხვანაირად დაიწყებს ფიქრს. ეს ჩემი აზრი არ გახლავთ, ამის პირობას საბრძოლველად მზადმყოფი და აღტკინებული „ხახოლებიც" გვაძლევენ.



„უკრაინის შეიარაღებული ძალების" გენერლები — ანდრეი შევჩენკო (მარცხნივ) და იური დმიტრულინი

REUTERS კიევიდან

დავიწყოთ ქვეყნის ზედა ეშელონებით. უკრაინის პრეზიდენტი, ლეონიდ კუჩმა, როგორც თავად განაცხადა, აუცილებლად დაესწრება „ძველ მეტოქეთა მატჩს". მიუხედავად იმისა, რომ კუჩმა თავგამოდებულ გულშემატკივრად არის ცნობილი, ამ საკითხზე საუბრისას ის მაინც თავს იკავებს რადიკალური პოზიციისგან და აღნიშნავს, რომ „სპორტს პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს და ვისაც მათი ერთმანეთში არევა სურს, ეს მისი საკუთარი პრობლემაა". თუმცა, მიუხედავად ამისა, უკრაინის პრეზიდენტი არ მალავს, რომ თავგამოდებით დაუჭერს მხარს თავის გუნდს. ზუსტად იმავე პოზიციაზე დგანან ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ანატოლი კრავჩუკი და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ვალერი პუსტოვოიტენკო. თანაც ამ უკანასკნელს ფეხბურთთან უშუალო შეხება აქვს და თანაც როგორი: პუსტოვოიტენკო ამავდროულად უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც გახლავთ. ბოლო დღეებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უკრაინული არხის, UA-1-ის ძალიან ხშირი სტუმრები სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ბატონები იყვნენ, რომლებიც დამაჯერებელ აგიტაციას ეწეოდნენ შეხვედრის მშვიდ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარების თაობაზე. აგიტაცია აგიტაციად, მაგრამ ბოროტ ენებს თუ ვენდობით, უკრაინის მთავრობის ზედა ეშელონების ზოგიერთი წარმომადგენელი სტუმართა მიმართ საკმაოდ მტრულად არის განწყობილი და ერთი სული აქვს, ზურგზე დაცემული „რუსაკები" იხილოს. პრინციპში, დიდ გაკვირვებას არც ეს უნდა იწვევდეს, რადგან ამ ორი ერის ჯერ კიდევ საბჭოური ხანის საფეხბურთო პაექრობას თავი რომ დავანებოთ, ყველას ჩინებულად ახსოვს ყირიმის გამო შექმნილი აურზაური, შავი ზღვის ფლოტის ირგვლივ ატეხილი დავა და ის სხვა ნალმები, რომლებითაც რუსეთი ასე მონდომებით ანებივრებდა და ანებივრებს „უმცროს ძმას".

თუ ოფიციოზი ჩვეულებისამებრ ფრთხილობს და სხვებსაც აფრთხილებს, ქვეყნის ოპოზიციური პარტიები სულ სხვაგვარად იქცევიან. მათ შორის ყველაზე რადიკალურად ულტრანაციონალისტური ორგანიზაცია, ცნობილი „უნა უნსო" არის განწყობილი. ამ ორგანიზაციის გაზეთი „უნა უნსო" 2 სექტემბრის ნომერში პირდაპირ წერდა:

„მიუხედავად ჩვენსა და რუსებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული ნათესაური დამოკიდებულებისა, ამ ხალხმა არაერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი ახლობლობა ბევრად არაფრად ეპიტნავება. პირიქით, ჩვენი მეზობელი მუდამ ეძებს მიზეზს, რათა როგორმე ხელი შეგვიშალოს და საქმე გაგვიფუჭოს. თუმცა, უკრაინელი ხალხი თავისი ხასიათით ძალიან შემწყნარებელია, მას კარგად ახსოვს რუსებისგან ნაგემი უამრავი მადლი და ამდენად, ის უბრალოდ ვალდებულია, „სტუმრებს" ღირსეული დახვედრა მოუწყოს. ნუ დაუჯერებთ მათ, ვინც გეტყვით, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოსო. ეს არარეალურია და მით უფრო არარეალურია მაშინ, როდესაც საქმე ფეხბურთს ეხება. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ფეხბურთი თავისი პოპულარობის წყალობით საკმაოდ გასცდა უბრალო თამაშისთვის განკუთვნილ ადგილს და ძალიან ღრმად შეიჭრა პოლიტიკაში. ამიტომ მოვუწოდებთ ყველა უკრაინელს: მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, ჟურნალისტებს და უბრალო გულშემატკივრებს, ყველაფერი გაიღონ და თავი დადონ ამ ისტორიული მატჩის ჩვენს სასარგებლოდ დასასრულებლად..." „უნა უნსო" მხოლოდ სიტყვებით არ აპირებს მოქმედებას, მან საქმეში თავისი გასამხედროებული ფორმირებებიც ჩართო, რომლებიც, რა თქმა უნდა, კანონგარეშე მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ მაინც არსებობენ. თუმცა ამაზე მერე იყოს.

შედარებით რბილი, მაგრამ პრინციპში იგივე შინაარსისაა სხვა ნაციონალისტური პარტიების ლიდერთა განცხადებებიც, რომლებშიც ერთი და იგივე აზრი გამოსჭვივის — 5 სექტემბრის მატჩის წაგება უბრალოდ არ შეიძლება და ეს თამაში მასპინძელთათვის სასურველი შედეგით უნდა დასრულდეს, რისი გალებაც არ უნდა დასჭირდეთ საამისოდ. „რუხის" პრესცენტრის ერთ-ერთმა თანამშრომელმა კი მრავალი უკრაინელისთვის მისაღები აზრი გაიზიარა: მირჩევნია, სხვამ სამჯერ მომიგოს, მაგრამ რუსეთის ნაკრებმა არც ერთხელ.

ასეთი და მსგავსი განცხადებების წინაალმდეგ თავგამოდებით ილაშქრებენ წამყვანი უკრაინული გაზეთები: „კომანდა", „უკრაინსკი ფუტბოლი", „კიევსკიე ვედომოსტი" და სხვები. არა იმიტომ, რომ ისინი ნაკლები პატრიოტები არიან, ანაც თავისი გუნდის წარმატება ნაკლებად გაუხარდებათ, არამედ სრულიად უბრალო მიზეზის გამო:

ჟურნალისტებს მშვენივრად ესმით, რომ შეხვედრის ირგვლივ ასეთი ფსიქოზის შექმნამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ფეხბურთელებზე. ამგვარი ძალდატანების შემდეგ ადვილი შესაძლებელია, ნაკრების მოთამაშეებმა ველარ შეძლონ იმ თამაშის ჩვენება, რომელიც მათ ჩვეულებრივ, მშვიდ ატმოსფეროში ძალუძთ. ეს მით უფრო საშიშია, როცა გუნდის მოთამაშეების უმეტესობა, მართალია, საკმაოდ გამოცდილი, მაგრამ მაინც ახალგაზრდა ფეხბურთელია. უკრაინის ნაკრების არაერთი წამყვანი ფეხბურთელი კი მართლაც ახალგაზრდაა და ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცევიან ისინი ექსტრემალურ სიტუაციაში.

თავად ფეხბურთელები გამალებით ემზადებიან 5 სექტემბრისთვის. უკრაინის ნაკრების მწვრთნელებიც გულმოდგინედ სწავლობენ მეტოქის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ბოლო მითითებებს აძლევენ მოთამაშეებს. ლობანოვსკი, საბო, სურკისი, ბანიკოვი და სხვა ოფიციალური პირები საქმეში არიან ჩაფლულნი და დროც ერთობ შეზღუდული აქვთ, ისევე, როგორც ფეხბურთელებს. გრიგორი სურკისი დარწმუნებულია, რომ მატჩი უექსცესებოდ ჩაივლის და უძლიერესი გაიმარჯვებს.

პროგნოზებისგან თავს იკავებს სერგეი რებროვი და მხოლოდ იმაშია დარწმუნებული, რომ მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით აუცილებლად გაამართლებს. სხვებიც გამოთქვამენ აზრს, მაგრამ ერთი კი ფაქტია: გადაჭრით არავინ არაფერს ამბობს, რადგან პროგნოზები ასეთ დროს მეტად ძნელი საქმეა. ვინ იცის, რა მოხდება... ეს ხომ ფეხბურთია.

მოუხლევავდა საქმე უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროსაც, რომელსაც მართლაც ცხელი დღეები უდგას. სამინისტროს მაღალჩინოსანი წარმომადგენლები აფრთხილებენ გულშემატკივრებს, რათა მათ საფეხბურთო მატჩის დროს „კანონის ფარგლებში იმოქმედონ". 2 სექტემბერს უკრაინის მილიციამ ამასთან დაკავშირებით საგანგებო სხდომაც კი ჩაატარა. როგორც უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, ლეონიდ ბოროდაჩმა განუცხადა პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს, სამართალდამცავთა ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, „გარკვეულ ძალებს" შეხვედრისას და მისი დასრულების შე-

## უკრაინა

უკრაინაში ფეხბურთი ჩეხმა ინჟინერებმა 1900 წელს შეიტანეს. 1911 წლის 7 ოქტომბერს საფუძველი ჩაეყარა კიევის ლიგას. სხვათა შორის, 1912 წელს დაარსებული სრულიად რუსეთის საფეხბურთო კავშირის ფუძემდებელი რვა ქალაქიდან ოთხი უკრაინისა გახლდათ. რევოლუციის წინა, ბოლო, რიგით კი მეორე პირველობა ოდესის გუნდმა მოიგო.

1936-91 წლებში მოქმედი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, დათრგუნული უკრაინული ნაციონალიზმის გამოვლინების სარბიელად იქცა. პირველი მოსკოვსგარეთა გუნდი, რომელმაც სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, სწორედ კიევის „დინამო" გახლდათ. ეს 1961 წელს მოხდა. შემდეგ კი დინამოელებმა კიდევ თორმეტჯერ მოიგეს ოქროს მედლები და ერთით აჯობეს მთავარ კონკურენტს, მოსკოვის „სპარტაკს".

უკრაინელთა წვლილი საბჭოთა ნაკრების წარმატებებში დიდია. ფორვარდები ოლეგ ბლოხინი და იგორ ბილანოვი 1975 და 1986 წლებში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელებად დაასახელეს.

1991 წელს უკრაინა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. 1992 წლიდან ქვეყანაში საფეხბურთო ჩემპიონატი ტარდება, პირველი ჩემპიონატის გარდა ყველა დანარჩენში კიევის „დინამომ" გაიმარჯვა.

პირველი მატჩი: 1992 წლის 29 აპრილი. უკრაინა — უნგრეთი 1:3. ამხანაგური შეხვედრა.

სულ ნათამაშევია 44 მატჩი, რომელთაგან უკრაინელებმა 17 მოიგეს, 10 ფრედ ითამაშეს, 17 კი წააგეს.

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევში უკრაინა ხორვატიის, იტალიისა და ლიტვის შემდეგ მეოთხე ადგილზე გავიდა.

მსოფლიოს 1998 წლის შესარჩევში, ჯგუფში გერმანიის შემდეგ მოპოვებული მეორე ადგილით უკრაინის ნაკრები პლეი ოფში მოხვდა, სადაც ხორვატიასთან დამარცხდა ორი თამაშის ჯამში.

უდიდესი გამარჯვება: უკრაინა — საქართველო 4:0, ამხანაგური, 1998 წლის 19 აგვისტო

უარესი მარცხი: ხორვატია — უკრაინა 0:4, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი. 1995 წლის 25 მარტი

ბომბარდირი: ტიმერლან გუსეინოვი 8

ყველაზე მეტი მატჩი: სერგეი ბეჟენარი, ოლეგ ლუჟნი 23

სტადიონი: კიევის ოლიმპიური სტადიონი 82100 მაყურებელი

მწვრთნელი: იოჟეფ საბო, დაბადებული 1940 წლის 1 მარტს. წარმოშობით უნგრელია. თამაშობდა კიევის „დინამოში", სადაც 4-ჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული. ნაკრებში ჩაატარა 41 შეხვედრა, გაიტანა 8 გოლი. 1996 წელს წვრთნიდა კიევის „დინამოს", გახადა უკრაინის ჩემპიონი. ნაკრები 1995 წლის 28 დეკემბერს ჩააბარეს.

მრჩეველი: ვალერი ლობანოვსკი, დაბადებული 1939 წლის 6 იანვარს. წვრთნის კიევის „დინამოს": საბჭოთა კავშირის დროსაც ამავე თანამდებობაზე მუშაობდა. 1975 და 1986 წლებში კიეველებმა მისი ხელმძღვანელობით მოიპოვეს თასების მფლობელთა თასი. 1988 წლის ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების თავკაცი იყო. უკრაინის ნაკრების მრჩეველად დანიშნეს 1998 წლის 13 თებერვალს.

ბოლო ათი შეხვედრა: უკრაინა — საქართველო 4:0 (ამხ.), უკრაინა — პოლონეთი 1:2 (ამხ.), უკრაინა — ხორვატია 1:1 (მჩშ), ხორვატია — უკრაინა 2:0 (მჩშ), სომხეთი — უკრაინა 0:2, უკრაინა — ალბანეთი 1:0 (მჩშ), უკრაინა — გერმანია 0:0 (მჩშ), უკრაინა — სომხეთი 1:1 (მჩშ), გერმანია — უკრაინა 2:0 (მჩშ); უკრაინა — ჩრდ. ირლანდია 2:1 (მჩშ).

## რუსეთი

მე-19 საუკუნის ბოლოს ფეხბურთი მოსკოვსა და სანკტ პეტერბურგში ბრიტანელმა მუშებმა შეიტანეს. პირველი ოფიციალური მატჩი რუსეთში 1897 წლის 24 ოქტომბერს სანკტ პეტერბურგში გაიმართა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში დომინირებდნენ მოსკოვის კლუბები. ნაკრებშიც უმეტესობა რუსები თამაშობდნენ.

1992 წლიდან ტარდება რუსეთის ჩემპიონატი. 1995 წლის გარდა, როდესაც ჩემპიონი ვლადიკავკაზის „ალანია" გახდა, ყველა პირველობა მოსკოვის „სპარტაკმა" მოიგო.

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რუსეთი დაუშვეს, როგორც საბჭოეთის მემკვიდრე. შეჯიბრებას იგი ჯგუფურ ეტაპზევე გამოეთიშა.

პირველი მატჩი: რუსეთი — მექსიკა, ამხანაგური, 1992 წლის 16 აგვისტო

სულ ნათამაშევია 69 მატჩი, რომელთაგან რუსებმა 37 მოიგეს, 18 ფრედ ითამაშეს, 14 კი წააგეს.

უდიდესი გამარჯვება: სან მარინო — რუსეთი 0:7, ევროპის შესარჩევი, 1995 წლის 7 ივნისი

უარესი მარცხი: რუსეთი — გერმანია 0:3, ევროპის ჩემპიონატი, 1996 წლის 16 ივნისი

ბომბარდირი: იგორ კოლივანოვი 11

ყველაზე მეტი მატჩი: ვიკტორ ონოპკო 59

სტადიონი: ლუჟნიკი, 83000 მაყურებელი

მწვრთნელი: ანატოლი ბიშოვეცი. დაბადბული 1946 წლის 23 აპრილს. თამაშობდა კიევის „დინამოში", სადაც 4-ჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული. ნაკრებში ჩაატარა 40 შეხვედრა, გაიტანა 15 გოლი.

1988 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სსრ კავშირის ნაკრებს მოაპოვებინა ოქროს მედლები. რუსეთის ნაკრები 1998 წლის 24 ივლისს ჩააბარეს.

ბოლო ათი შეხვედრა: შვედეთი — რუსეთი 0:1 (ამხ), საქართველო — რუსეთი 1:1 (ამხ), პოლონეთი — რუსეთი 1:3 (ამხ), რუსეთი — თურქეთი 1:0 (ამხ), რუსეთი — საფრანგეთი 1:0 (ამხ), საბერძნეთი — რუსეთი 1:1 (ამხ), იტალია — რუსეთი 0:1 (მჩშ), რუსეთი — იტალია 1:1 (მჩშ), რუსეთი — ბულგარეთი 4:2 (მჩშ), ბულგარეთი — რუსეთი 0:1 (მჩშ).



REUTERS

უკრაინელები მის იმედად არიან — ზეპრინციპულ თამაშში ალექსანდრ შოვკოვსკის მასპინძელთა კარის დაცვა ევალება

მდეგ არეულობათა პროვოცირება აქვთ დაგეგმილი. კითხვაზე, თუ ვინ არიან ეს გარკვეული ძალები, ბოროდაჩმა უპასუხა, რომ ასეთები მრავლად მოიპოვებიან როგორც რუსულ, ასევე უკრაინულ საზოგადოებებში. წელან მოგახსენებდით და ახლა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ შესამჩნევად გააქტიურდა „უნა-უნსო“. ამ ორგანიზაციის გასამხედროებულმა ქვედანაყოფებმა, რომლებსაც ესენგე-ს და სხვა ქვეყნებში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვთ, თავის თავზე აიღეს წესრიგის დამყარება და ისინი აცხადებენ, რომ „ყველაფერი კარგად იქნება“. მაგრამ ძალიან ცოტაა ის, ვისაც სჯერა ამ დამამშვიდებელი განცხადებისა. მით უმეტეს, რომ „უნა-უნსოს“ წევრებს, მეტი რომ არ ვთქვათ, მილიციელებთანაც ერთობ დაძაბული ურთიერთობა აქვთ.

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, მატჩამდე და მატჩის დღესაც მილიციის ქვედანაყოფები გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნებიან. ამ მიზნით უკვე მობილიზებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს 5000 თანამშრომელი და უკრაინის ეროვნული გვარდიის რამდენიმე ნაწილი. კონფლიქტური სიტუაციის შექმნის შემთხვევაში კი ტექნიკის გამოყენებაც არ არის გამორიცხული.

ინტენსიურად თანამშრომლობენ უკრაინის და რუსეთის სამართალდამცავები, რომელთა მოსკოვიდან მოწოდებული ცნობებით, რუსეთიდან კიევში წასასვლელად გამზადებულ ფანებს შორის „ექსტრემისტულად განწყობილნი არ არიან შემჩნეულნი“. მაგრამ სულ სხვა საქმეა, არიან თუ არა შემჩნეულნი და სულ სხვა, რა ხდება რეალურად. ამ ინფორმაციის მცდარობა დაადასტურა 3 სექტემბერს მომხდარმა მართალია უმნიშვნელო, მაგრამ მაინც უსიამოვნო ინციდენტმა. კიევის რკინიგზის სადგურის მახლობლად მოხდა შეტაკება ადგილობრივ და მოსკოვიდან ჩამოსულ ახალგაზრდათა შორის. მათი ამხელა გზაზე ჩამოსვლის მიზანი მართლაც გაურკვეველია, რადგან რუს გულშემატკივართა ძირითადი ნაკადი უკრაინას ჯერ არ სწვევია. ისე, თვითმხილველთა თქმით, ჩხუბის მიზეზი 5 სექტემბრის მატჩის თაობაზე საუბარი გამხდარა. ეს ინციდენტი სერიოზულ უსიამოვნებაში ნამდვილად არ გადაზრდილა, ხოლო თუ მაინცდამაინც გამარჯვებული მხარის გამოვლენა გაინტერესებთ, პირდაპირ გეტყვით, რომ ადგილზე ოპერატიულად გამოცხადებული სპეცდანიშნულების რაზმ „ბერკუტის“ თანამშრომლებმა მართლაც ჩინებულად იმოქმედეს, არც რუსები დაინდეს, არც თანამემამულენი და ყოველგვარი ზედმეტი გართულების გარეშე ერთნიც და მეორენიც არცთუ კომფორტულ, მაგრამ ერთობ საიმედო ადგილას მიაბრძანეს დროებით.

ასეა თუ ისე, უკრაინული მილიცია გაცხოველებით ემზადება და ინგლისელი კოლეგების რჩევით, რომლებიც ამ მატჩისთვის კონსულტაციას უწევენ, სადგურზევე აპირებს რუსეთიდან აყრილი და კიევისკენ გეზაღებული უამრავი გულშემატკივრის დახვედრას. სხვათა შორის, ოლიმპიური სტადიონის მე-18 და 24-ე სექტორებს, სადაც რუსები განთავსდებიან, ასევე მილიციის გაძლიერებული ძალები დაიცავენ.

კიევში, ახალგარემონტებული ოლიმპიური სტადიონიდან ოდნავ მოშორებით, არის პატარა სკვერი, რომელიც ჩვენებურ ვერის ბაღს ან მუშტაიდს, გნებავთ, ტოტალიზატორ „კროკოს“ შეგიძლიათ შეადაროთ. აქ შემთხვევითი ხალხი თითქმის არ არის. შეკრებილთ მხოლოდ ერთი დარდი აქვთ — სპორტი. სხვა თემაზე საუბრის მსურველი მხოლოდ რამდენიმე ფრაზის წარმოთქმას თუ მოახერხებს, რადგან მას მაშინვე აღელვებული ხალხი გააჩუმებს, რა დროს ეგ არისო. სხვა თემაზე დიდხანს ლაპარაკი აქ უტაქტობად და ცუდ ტონად ითვლება. ამ დღეებში კი აბა რა გასაკვირია, რომ აშკარად ფეხბურთი ბატონობს. ოლიმპიისკიმდე მეგზურობა ჩემს მიერ უკვე ნახსენებმა ოლეგ პოდვოროტნიმ გამიწია, სტადიონის მისადგომებთან კი მომიბოდიშა, არც დრო მაქვს და არც მაგათი თავიო. ასე რომ, მრავალრიცხოვან უკრაინელ ფანებთან პირისპირ შეხვედრამ მარტოს მომიწია. გაიგეს თუ არა, რომ ჟურნალისტი და თანაც ქართველი ვიყავი, ირგვლივ შემომეხვივნენ და საკმაოდ ცოცხალი საუბარი გამიბეს. სიმართლე გითხრათ, გარჩევაც კი მიჭირდა, რას მელაპარაკებოდნენ. ბოლოს მიხვდნენ, რომ ასე დიალოგის წარმართვა გაგვიჭირდებოდა, შედარებით დაშოშმინდნენ და ჩემთან ურთიერთობა ერთ-ერთს მიანდვეს, შურიკს, როგორც იგი გამეცნო. დანარჩენები კი იქვე იდგნენ და ხანდახან თუ ჩაურთავდნენ საუბარში ორიოდე სიტყვას. თქვენი არ ვიცი, მე კი ამ სახელის გაგონებაზე ერთ დროს საბჭოთა კავშირში ერთობ პოპულარული ლეონიდ გაიდარის ფილმი, „კავკასიელი ტყვე ქალის“ მთავარი გმირი მაგონდება. თუმც ამჯერად ეს აზრადაც არ მომსვლია, რადგან უკრაინელი ფანების ლიდერი სრულიად განსხვავებული გარეგნობისა აღმოჩნდა: მაღალი, მეტად ახოვანი, ცოტა ძონძროხაც კი. ტიპიური უკრაინული აქცენტი მის არაქალაქელობაზე მეტყველებდა. როდესაც ამ 30 წლის კაცმა მოგვიანებით მამცნო, პირველი „საბრძოლო ნათლობა“ ათიოდე წლის წინ მივიღე (სხვათა შორის, მოსკოვის „სპარტაკის“ გულშემატკივრებთან) და მას შემდეგაც მრავალი ომი გადამხდა თავსო, მაშინ კი ვიფიქრე, ამის ხელი ჩემს მტერს მოხვდა-მეთქი. თუმცა არ გეგონოთ, თითქოს აქ მხოლოდ ჩხუბისთავები იკრიბებოდნენ. არა, ყველას თავისი ფუნქცია აქვს და უმეტესობა შესანიშნავად ერკვევა ფეხბურთში.

თავდაპირველად მასპინძლებმა ზრდილობის გულისთვის ქართულ ფეხბურთში არსებული სიტუაციის შესახებ მკითხეს, შემდეგ საქართველოს და უკრაინის ნაკრებთა ამასწინანდელი ამხანაგური შეხვედრის თაობაზეც ვისაუბრეთ, ბოლოს კი მოკრძალებულად ჩემი ვიზიტის მიზნითაც დაინტერესდნენ. ვუპასუხე, რომ უკრაინა—რუსეთის მატჩისწინა რეპორტაჟს ვამზადებდი. განზრახვა მომიწონეს და ისევ თავის ლიდერს მისცეს სიტყვა:

— ჩვენი გულშემატკივრები აგრესიულთა რიცხვს არასოდეს მიეკუთვნებოდნენ — მიხსნის თანამოსაუბრე — ჩვენ „სპარტაკის“ ფანებს კი არ ვგავართ, რომლებსაც ფეხბურთის ბევრი არაფერი გაეგებათ და მხოლოდ ენერგიისგან დასაცლელად თუ დადიან სტადიონზე. რამდენიმე წლის წინ, როდესაც კიევის „დინამო“ პირველად მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში, ქვეჯგუფში „სპარტაკთან“ ერთად აღმოვჩნდით. მოსკოველთა ვიზიტისთვის გულმოდგინედ ვემზადებოდით, თუმცა მათი მშურაცხყოფა აზრადაც არ მოგვდიოდა, თავად გამოგვიწვიეს თავიანთი ქცევით და საკადრისი პასუხიც მიიღეს. თუ ახლაც ასევე მოიქცევიან, იმნაირადვე ვუპასუხებთ. იმიტომ კი არა, რომ ეს გვეხალისება, არამედ ამას ჩვენი კაცური თავმოყვარეობა გვკარნახობს, თორემ ნამდვილ გულშემატკივრობას და კარგ ფეხბურთს რა სჯობს? ერთი სიტყვით, არც ფეხბურთელებს და არც გულშემატკივრებს არავისი გვეშინია. 4 სექტემბერს „დინამოს“ სტადიონზე ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი გაიმართება და რეპეტიციას იქ გავივლით, მომდევნო დღეს კი თავადაც იცი...

საუბრის დასასრულს რომ ვიკითხე, თქვენეული პროგნოზი როგორია-მეთქი, უნდობლად შემომხედეს (ალბათ, პროვოკატორი თუ ვეგონე) და დარწმუნებით მაუწყეს, რომ 5 სექტემბერი რუსეთის ნაკრების განადგურების დღედ იქცევა. ფანებს შორის ძალიან ცოტა იყო 1:0, ან 2:1 რომ ეწინასწარმეტყველა. უმეტესობის აზრით, შეხვედრა ორი ან მეტი ბურთის სხვაობითაც კი დასრულდებოდა, რა თქმა უნდა, უკრაინის ნაკრების სასარგებლოდ. რაღა მეთქმოდა? დამშვიდობებისას წარმატება ვუსურვე და უეჭველი გულშემატკივრობა აღვუთქვი.

მოკლედ, კიევი ბობოქრობს. რემონტის შემდეგ 102 ათასიდან 88 ათასამდე შემცირებული ოლიმპიისკის სტადიონზეც ბოლო სამზადისი მიმდინარეობს. 3000-მდე რუს გულშემატკივარს ტრიბუნებზე ოპონენტები არ მოაკლდება, რადგან ბოლო ცნობების თანახმად, გასაყიდი მხოლოდ 5 ათასამდე ბილეთიღა დარჩა, სალაროებთან კი კვლავაც მოზრდილი რიგებია და, როგორც ჩანს, მათ გაქრობას მხოლოდ ბილეთების გათავება თუ გამოიწვევს.

კიდევ ერთი: გამარჯვების შემთხვევაში რუსეთის ნაკრების ფეხბურთელები 15-15 ათას დოლარს მიიღებენ. რაც შეეხებათ უკრაინელებს, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ვიქტორ ბანიკოვის თქმით, წარმატების შემთხვევაში წახალისება საკმაოდ სოლიდური იქნება, მაგრამ ეს მთავარი არ არის, პრინციპულ მატჩში გამარჯვება ნებისმიერ წახალისებაზე მნიშვნელოვანიაო — განაცხადა ბანიკოვმა.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, უკრაინელები და რუსები დღეს, თბილისის დროით 20 საათზე წარდგებიან ერთმანეთის პირისპირ და მაშინ კი მართლა გამოჩნდება, ვინ რისი მაქნისია.

**ირაკლი სირაძე**
**კიევიდან**

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

**EURO 2000**
**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

# იქ ის, აქ ეს

ადრე თუ გვიან ღრუბლებიდან ყველას უწევს მიწაზე დაშვება. დღეს ასეთი დღე აქვს მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებს — იგი ისლანდიაში ევრო 2000-ის პირველ შესარჩევ შეხვედრას მართავს.

12 ივლისს, პარიზში, უფრო სწორედ სენ დენში, „სტად დე ფრანსზე“, 80 ათასი მხარდამჭერის წინაშე სამფეროვანთა გუნდმა ბრაზილიის ნაკრებს 3:0 რომ მოუგო, უკვე ისტორიაა. ახლა, ფრანგთა ახალი თავკაცი როჟე ლემერი სხვა ალმართს უნდა შეუყვეს და ბიჭებიც განაწყოს მასზე ასასვლელად.

ამ ალმართის პირველ მონაკვეთს მეოთხე შესარჩევი ჯგუფი ეწოდება. ეს ის ჯგუფი გახლავთ, რომლის კიდევ ორი წევრი, ყოფილი საბჭოელი სლავები რუსეთი და უკრაინა დღესვე კიევში შეეჭიდებიან ერთმანეთს.

ლემერი, ფრანგთა ტრიუმფატორი მწვრთნელის ემე ჟაკეს მარჯვენა ხელი, ფრიად ენდობა იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც საფრანგეთი 98-ის მთავარი ტიტული მოიპოვეს, მაგრამ დღეს, ისლანდიაში ლორან ბლანისა და მარსელ დესაის გარეშე იქნება. ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩადენილი ცოდვებისთვის არიან დისკვალიფიცირებულნი.

და რა გუნდია ჩემპიონთა მეტოქე ისლანდია? ისლანდია ის გუნდია, რომელიც გასულ 12 შესარჩევ კამპანიაში უარეს შემთხვევაში ჯგუფში ბოლო, უკეთესში კი ბოლოსწინა იყო და ამიტომ მათი გამარჯვება... გამარჯვება კი არა ფრეც, სენსაციათა სენსაცია იქნება.

რუსეთი და უკრაინა კი საფრანგეთი 98-ის მატჩებს ტელევიზიით ადევნებდნენ თვალს. იქამდე ვერ მივიდნენ. სხვათა შორის ორივემ პლეი-ოფამდე მიაღწია და იქ იტალიასა და ხორვატიასთან დამარცხდა. ახლა, ბუნებრივია, ორივე შეეცდება ბელგია — ჰოლანდიის საგზური მოიპოვოს.

ამავე ჯგუფში, რომლის ნომერიც, როგორც გითხარით მეოთხეა, ოფიციალური დებიუტი აქვს მსოფლიოს ნაკრებთა სამყაროს ახალ წევრს ანდორას, რომელიც სომხებს სტუმრობს.

მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი (ვერცხლის მედლის მფლობელი ბრაზილიაა ჩვენს კონტინენტზე არ არის) ხორვატია, მერვე ჯგუფშია და ტრავმებით შეთხელებული დღეს დუბლინში ირლანდიას შეებრძოლება. ხორვატ ფორვარდთაგან ყველაზე პოპულარული ალენ ბოკშიჩი კვლავ დაშავებულია და საფრანგეთი 98-ის საუკეთესო ბომბარდირთან დავორ შუკერთან და მცველ სლავენ ბილიჩთან ერთად მაყურებელთა შორის იქნება.

მეკარე სლავენ ბილიჩი კი სარბიელიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტს ფრანიო ტუჯმანს უარი ვეღარ შებედა და ისევ ჩაალაგა ჩემოდანი ნაკრებთან ერთად სამოგზაუროდ.

ხორვატიის თანაჯგუფელთა შორის მისი მთავარი მეტოქე (სპორტული და პოლიტიკური თვალსაზრისით) ბუნებრივია იუგოსლავიაა, თუმცა ის ოქტომბრამდე არ თამაშობს, მაკედონია და მალტა კი ხვალ შეხვდებიან ერთმანეთს.

გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალიდან ხსენებულმა ხორვატიამ გამოაგდო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ევროპის ჩემპიონის ტიტული მისია, ასე რომ მესამე ჯგუფში ისაა ფავორიტი, თუმცა იუგოსლავიელთა დარად გერმანელები ოქტომბრამდე არ თამაშობენ.

ამ ჯგუფში ანგარიშგასაწევი ძალა თურქეთია, რომელიც დღეს ჩრდილო ირლანდიელებს მასპინძლობს. დღესვე ფინეთში ითამაშებს მოლდოვა.

ევროპის ვიცე-ჩემპიონი ჩეხეთი მეცხრე ჯგუფშია. ის მართალია შორსაა ორი წლის წინანდელი ფორმისგან, მაგრამ ფარერის კუნძულებზე თამაშს დიდი ფორმა და სასწაულების ჩადენა არ სჭირდება. ჩეხებს ფარერებზე შემტევი შემადგენლობა ჰყავთ ჩაყვანილი, თუმცა განაცხადში „ლივერპულის“ თავდამსხმელი პატრიკ ბერგერი ვერ ჩაეტია.

რაც შეეხება ფარერებს, მას შესარჩევი ციკლი კარგა ხნის დაწყებული აქვს. უკვე მოასწრო ესტონეთთან 0:5-ის, ხოლო ბოსნიასთან 0:1-ის წაგება. ეს ორი გამარჯვებული კი დღეს ტალინში დაპირისპირდება.

ამავე ჯგუფში, დღეს საღამოს, ლიტვა შოტლანდიას გაუგორებს ბურთს.

მეხუთე ჯგუფის ფავორიტი ინგლისი გახლავთ, რომელიც სტოკჰოლმში შვედეთს ხვდება, გუნდს, რომელიც აგერ უკვე 20 წელიწადია არ დაუმარცხებია.



მან, მაიკლ ოუენმა (მარცხნივ), მას, ალან შირერს, ნაკრებში პირველობა აართვა

დიახ, ბოლო ექვს თამაშში შვედებმა ინგლისს ორჯერ მოუგეს, ოთხჯერ კი დაუზავდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ შვედებს ბოლო ოთხ ამხანაგურ შეხვედრაში გოლი არ გაუშვიათ. ფრედ ითამაშეს ფრანგებთან, მოუგეს იტალიას, დანიას და რუსეთს. მათთვის სამწუხაროდ ტრავმამ მთავარი ფორვარდი კენეტ ანდერსონი გამოთიშა საქმეს.

ამავე, მეხუთე ჯგუფში პოლონეთი ბულგარეთში თამაშობს (ხვალ) და მათ ახალ კაპიტანს ხრისტო სტოიჩკოვს დაუდგება. სტოიჩკოვი უჩვეულო გარემოცვაში, მეტწილად ახალ თანაგუნდელებთან ერთად შეეცდება მომხვდურთა ძლევას.

პირველ ჯგუფში იტალია ახალი მწვრთნელითა და ძველი პრობლემით ინგლისურ ქალაქ ლივერპულში უელსს სტუმრობს. პრობლემა: ვინ იქნება კრისტიან ვიერის პარტნიორი შეტევაში, რობერტო ბაჯო თუ ალესანდრო დელ პიერო?

დანიას ახალი ერა დაეწყო — ძმები ლაუდრუპები წავიდნენ. და მაინც, „სკუადრა ატურას“ თუ ვინმე დაეჭიდება, ისევ დანიაა, რომელიც მინსკში ბელარუსთან სამი ქულის მოპოვებას შეეცდება.

მეექვსე ჯგუფში, მსოფლიოს პირველობაზე გაწბილებული ესპანეთი კვიპროსში ჩასვლით იწყებს. მისი ერთადერთი, ისიც ისე, რა მეტოქე, ავსტრია ისრაელს მასპინძლობს.

**მიხეილ სურგულაძე**

# გიჟები სტადიონზე

რა სჯობდა კომუნისტების დროს. ვერავინ გაბედავდა, ჯანყისმაგვარი რამ მოეწყო, არავის მოუვიდოდა აზრად, ლამით მაღაზიის ვიტრინები ჩაელეწა, ან მანქანის შუშები ჩაემსხვრია. ერთი სიტყვით, მაშინ წესრიგი იყო. თავის მხრივ, ასეთ წყობასაც ჰქონდა ცუდი მხარე, თან არაერთი, მაგრამ ახლა მარქსისა და ენგელსის თეორიაზე საუბარს სულაც არ ვაპირებთ. უბრალოდ, კომუნისტები სიტყვამ მოიტანა და...

ახლა რუმინეთის ფეხბურთი ლამისაა თავდაყირა დადგეს. მსაჯის ცემა, ფეხბურთელთა ფიზიკური შეურაცხყოფა, არეულობები სტადიონზე, გულშემატკივრებს შორის ჩხუბი და მკვლელობებიც კი ყოველდღიური, ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. არადა, 1989 წლამდე, სანამ ჩაუშესკუს განდევნიდნენ, სრული სიმშვიდე იყო. დღესდღეობით კი ისეთი ამბავია, მტერს არ უსურვებს კაცი.

ერთი კვირის წინ რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ მსაჯის ფიზიკურად შეურაცხმყოფელი, კრაიოვას „უნივერსიტეტიას" მწვრთნელი ილიე ბალაჩი ერთი სეზონით მოკვეთა ფეხბურთიდან. 70-80-იან წლებში ბალაჩი რუმინული ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და იერსახე გახლდათ, მაგრამ როგორც ხედავთ, მიუხედავად მისი შესანიშნავი წარსულისა და დამსახურებისა, ქვეყნის ფეხბურთის ჩინოსნებმა მაინც არ დაინდეს.

თუნდაც „ფარულ კონსტანცას" პრეზიდენტის ლორინ ჟერიკუს მაგალითირად ღირს — მისი გუნდი ბოლო წამებზე გაშვებული გოლის გამო დამარცხდა, ჟერიკუს კი ნერვებმა უმტყუნა, გვერდით მსაჯს მიუვარდა და ლაზათიანად აგინა. ისიც დაისაჯა. ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს.

მაგალითად ბუქარესტის „სტიაუას" სტადიონიც გამოდგება. საყვარელი კლუბის უხეირო თამაშით აღშფოთებული „სტიაუას" ქომაგები, თავიანთ თავს „ულტრა არმის" რომ უწოდებენ, ამ ბოლო დროს მეტოქე გულშემატკივრებთან ხშირად ჩხუბობენ, შედეგად კი გუნდს დიდ ზარალს აყენებენ. გარდა იმისა, რომ „სტიაუას" მატერიალური ზარალის ანაზღაურება და ჯარიმის გადახდა უხდება, ალვირახსნილ ქომაგთა „ვაჟკაცობის" გამო მეტოქეებს ხუთჯერ სხვის სტადიონზე უმასპინძლა.

— უწესრიგობამ ჩვენს ფეხბურთში წარმოუდგენელ დონეს მიაღწია. ასე არ უნდა გაგრძელდეს, არც ჩვენ დავუშვებთ ამას. ქომაგების ხულიგნობასა და უსაქციელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ფეხბურთელებიც დამნაშავენი არიან იმაში, რომ ჩემპიონატი ნორმალურ პირობებში არ ტარდება. თავად განსაჯეთ — ბოლო, მეხუთე ტურში რვა მოთამაშე გააძევეს, 50(!) კი გააფრთხილეს. წარმოგიდგენიათ?! და ასეთ პირობებში კიდევ ვახერხებთ პირველობის გამართვას. არაფერი მითქვამს მსაჯების არაპროფესიონალიზმზე, თუმც ისიც აღსანიშნავია, რომ მოთამაშე არბიტრს არ უნდა სცემდეს, სიტყვიერად არ უნდა შეურაცხყოფდეს. ეს საშინელებაა — რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ადალბერტ კასეი შექმნილი მდგომარეობით აღშფოთებულია, მაგრამ კრიზისიდან თავის დასაღწევად მუხლჩაუხრელად შრომობს.

ჩხუბი რომელი ქვეყნის ქომაგებს არ მოსვლიათ, მაგრამ გულშემატკივართა შორის სისხლისღვრა იშვიათად თუ მოხდება. გასაგებია, რომ ნერვებაშლილმა ფანმა შესაძლოა რაღაც დაამტვრიოს, უშვერი სიტყვებით ილანძღოს, მოედანზე ბოთლი ან მონეტები ისროლოს, მაგრამ როცა ყოვლად სულელური მიზეზის გამო მეტოქის გულშემატკივარს, ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებს, ეს უკვე ქომაგობა აღარ არის. ეს, უბრალოდ, მხეცობაა.

ბოლო სამი წელია, რუმინეთის ჩემპიონატი ისე არ ჩაივლის, ვინმე არ იმსხვერპლოს და წლეულსაც, მიუხედავად იმისა, რომ პირველობა ახალი დაწყებულია, უკვე ორი ქომაგია გარდაცვლილი.

მე-5 ტურში, ბუქარესტული დერბის დროს, „რაპიდსა" და „სტიაუას" დაპირისპირებისას სტადიონზე ჩხუბი ატყდა. ფეხმარდმა და ხელმარჯვე პოლიციელებმა გაშმაგებული ქომაგები თამაშის მსვლელობისას კი გააშველეს, მაგრამ გადამტერებულმა გულშემატკივრებმა ჩხუბი შეხვედრის დასრულების შემდეგაც გააგრძელეს, აქ კი სამართალდამცავთა ძალისხმევა დაგვიანებული და უშედეგო აღმოჩნდა — 0:3 მარცხი „სტიაუას" ფანებმა იმდენად განიცადეს, რომ მტრად შერაცხულ მეტოქეზე შურისძიება მოიწადინეს. 19 წლის დორინელ კლიჩესკუ და იანიშა ლებრეცი ცივი იარაღით მიყენებული ათამდე ჭრილობისაგან საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალნენ.

მსგავსი რამ რამდენიმე წლის წინ იტალიაშიც მოხდა. „მილანი" სტუმრად თამაშობდა და ტიფოზებს შორის ატეხილმა დავიდარაბამ ერთი მილანელი ქომაგის სიცოცხლე შეიწირა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ შემდეგი ტური გადადო და სერია A-ს კლუბებს კატეგორიულად მოსთხოვა, თავიანთ სტადიონებზე გულშემატკივრთა უსაფრთხოებისთვის ეზრუნათ, მეტიც, იმ ბიჭის დაკრძალვაზე „მილანის" უკლებლივ ყველა მოთამაშე მივიდა. კლუბის პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონიც და ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანიც გუნდთან ერთად იყვნენ. ბუქარესტში გარდაცვლილთათვის მსგავსი პატივის მოგება არც უფიქრიათ. უპირველეს ყოვლისა, ალბათ, იმიტომ, რომ მილანი მაინც იტალიაა, ბუქარესტი კი რუმინეთი. „სტიაუას" თავკაცობამ გარდაცვლილთა ოჯახებს მხოლოდ წერილობით მიუსამძიმრა, ოჯახში მისვლა კი არ ან ვერ მოახერხა.

ყველაზე საშინელება მაინც ბუქარესტულ „დინამოს" და „სტიაუას" დაპირისპირების დროს ხდება. რუმინული ფეხბურთის ორი ფლაგმანი უკვე რამდენიმე ათეული წელია, ერთმანეთს მუდმივი პირველობისთვის ებრძვის. გამარჯვებული საბოლოოდ არც ერთი რჩება — თუ დღეს „დინამოა" ძლიერი, ხვალ „სტიაუა" და ასე შემდეგ. ეს კი კარგა ხანია გრძელდება, ალბათ, დაუსრულებლადაც. გულშემატკივართა თაობები იცვლებიან, დაღვინებულთა გამოცდილება ზოგმა გაითვალისწინა და ჩხუბებსა და არეულობაში აღარ მონაწილეობს, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტანი არიან. უმეტესობა, რომელსაც ღალატად მიაჩნია კლუბის შეურაცხმყოფელთა დაუსჯელად დატოვება, უმეტესწილად პოლიციაში ამოყოფს ხოლმე თავს. ბევრს იქ თვეებიც გაუტარებია, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ უსწავლია.

უცხო ხილის ამბავი სწორედ ასეა. გადარეულები და გიჟმაჟები ფეხბურთის სამშობლო ინგლისშიც არიან, მაგრამ რადგან იქ გულშემატკივართა შორის ჩხუბი ფეხბურთის დაბადებიდანვე გაჩნდა, ახლა მათი რიცხვი სულ უფრო მცირდება — ხალხს ფეხბურთით ტკბობა და მაქსიმალური სიამოვნების მიღება ურჩევნია. რუმიენთში კი... ერთ დროს დიადი საბჭოეთის იდეების გამზიარებელი ექსკომუნისტურ ქვეყანაში, როგორც ზემოთ ვთქვი, 1989 წლამდე ხალხს ემოციებს უხშობდნენ, ახლა კი, როცა კომუნიზმი უკვალოდ გაქრა და გულშემატკივრებსაც თავიანთი განცდების საჯაროდ გამოტანის საშუალება მიეცათ, ქვეყანა ლამისაა დაიქცეს. მათ ჰგონიათ, ფანებს, ტიფოზებსა და ტორსედორესებს ბაძავენ, ამ დროს კი ისეთივე რუმინელ ქომაგებად რჩებიან, რანიც მანამდე იყვნენ.

**ირაკლი ილაშვილი**

**გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ ვიწვევთ**

დამკაბადონებლად ვეძებთ სპორტის მცოდნე, მოწესრიგებულ, მარდ, გემოვნებიან მეგაზეთე ვაჟ სპეციალისტს

მსურველები შეგვეხმიანონ სამშაბათს ან ხუთშაბათს, 13-დან 17 საათამდე

**იტალიური** ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის დედაქალაქური „რომას" მფლობელმა ფრანკო სენსიმ გაზეთ „მესაჯეროსთვის" მიცემულ ინტერვიუში სენსაციური განცხადება გააკეთა საკუთარი კლუბის გაყიდვის თაობაზე. სენსის თქმით, მას შემდეგ, რაც იგი „რომას" მეპატრონე გახდა, ანუ ექვსი წლის განმავლობაში, გუნდს სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღ-

## იყიდება „რომა"

წევია. სწორედ ამიტომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება. „ახლა ჩემს თანაშემწეებთან ერთად კლუბის საფასურის დადგენაზე ვმუშაობ და როგორც კი ყველაფერი გაირკვევა, საზოგადოებას უმალ მივაწვდი სათანადო ინფორმაციას. მერე სავარძელში ჩავჯდები, რომელშიც ახლა ვზივარ და მყიდველს დაველოდები. დარწმუნებული ვარ, „რომას" შეძენის სურვილი ბევრს გაუჩნდება".

გარდა ამისა, სენსიმ ისიც აღნიშნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დათმობს კლუბს მანამ, სანამ მყიდველის პატიოსნებაში არ დარწმუნდება. და კიდევ: მომავალმა მეპატრონემ „რომა" მხოლოდ ფულის საკეთებლად არ უნდა შეისყიდოს. „იმ პიროვნებამ, ვინც გუნდს ჩაიბარებს, აუცილებლად უნდა მომცეს გარანტია, რომ სულ ცოტა უახლოესი სამი წლის განმავლობაში „რომას" შენახვისა და ღირსეულად მართვის საშუალება ექნება" — განაცხადა სენსიმ.

შევახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში რომაელებმა იტალიის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავეს და შესაბამისად უეფას თასზე ასპარეზობის უფლებაც მოიპოვეს, სადაც მათი მეტოქე დანიური „სილკებორგი" იქნება. ხოლო ის, თუ რა თანხად შეფასდება გუნდი და ვინ გახდება მისი მომავალი მეპატრონე, სულ მალე გაირკვევა. ყოველ შემთხვევაში, ფრანკო სენსი ასე ფიქრობს.

**მადრიდის** „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა გუშინ უეფაში განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ძალიან გაბრაზებულია.

სანსის „რეალს", მოგეხსენებათ, ევროპული ფეხბურთის ბოსებმა შინ, მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემპიონთა ლიგის ერთი შეხვედრის გამართვა აუკრძალეს. მიზეზი, ბუნებრივია, ყველას უმალ თვალწინ დაგიდგათ: გასულ სეზონში, დორტმუნდის „ბორუსიასთან" ნახევარფინალური შეხვედრის წინ „ბერნაბეუზე" ერთ-ერთი კარის ძელები ძირში გადატყდა.

## ფურთხი შემფას!

დისკვალიფიკაცია იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა თასის მფლობელი ახალი გათამაშების პირველ შეხვედრას მილანის „ინტერის" წინააღმდეგ, 16 სექტემბერს, სხვა სტადიონზე გამართავს.

სხვათა შორის სანსმა, რომელიც არასდროს მალავდა, რომ ევროპული სუპერლიგის პროექტის მომხრეა, მადრიდულ გაზეთ „მარკას" დაუფარავად განუცხადა, რომ „რეალი" უეფას სტრუქტურიდან გამოსვლისთვის ემზადება.

— დროა ნაბიჯი წინ გადავდგათ — ამბობს ინტერვიუში „სამეფო კლუბის" პრეზიდენტი — ეტყობა, მივუახლოვდით მომენტს, როდესაც უნდა განვაცხადოთ, რომ ძველმა დროებამ თავისი მოჭამა და უეფას გავემიჯნოთ. სხვათა შორის, უეფას ამ გადაწყვეტილებას (სტადიონის დისკვალიფიკაციის შესახებ) ძალიან ვანანებ. სულ რამდენიმე თვეში მოვიფიქრებ, რა უნდა გავაკეთო. გარწმუნებთ, შეცდომა, რომელიც დაუშვეს, ძალიან ძვირად დაუჯდებათ. უეფას უნდა რცხვენოდეს ასეთი შერყეული ვერდიქტი რომ გამოიტანა. „რეალს" და „ინტერს" „ბერნაბეუზე" თამაში აუკრძალო, გაგონილა? ეს სპორტის საწინააღმდეგო აქციაა, რომელსაც ეს ორგანიზაცია ვითომ ძალიან უწყობს ხელს. აი, დადგა წუთი, როდესაც უეფას ჯიქურ უნდა დავუსვათ კითხვა, რა სურს, საით მიდის?! ისინი მხოლოდ თავიანთ შემოსავალს ითვლიან, ხოლო კლუბებს და ქომაგებს ზედაც არ უყურებენ. მიუხედავად ამისა, გაჯიქებას არ ვაპირებ. სევილიაში უკვე ვიქირავე სტადიონი. „რეალი" ხომ ევროპის ჩემპიონია და მას ტიტულის დაცვა ეამაყება.

# ისევ ჩილავერტი!

სამხრეთ ამერიკაში მერკოსურის (იქაური ჩემპიონთა ლიგა) თასის მესამე ტურის ბოლო ოთხი მატჩი გაიმართა. პირველ ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია D ჯგუფის გუნდების — არგენტინული „ველეს სარსფილდისა" და პარაგვაული „სერო პორტენოს" შეხვედრა, რომელშიც კვლავ გამოიჩინა თავი პარაგვაის ნაკრებისა და „ველესის" კაპიტანმა, საფრანგეთი 98-ის ერთ-ერთმა გმირმა მეკარემ ხოსე ლუის ჩილავერტმა და უნაკლოდ შესრულებული თერთმეტმეტრიანით თავის გუნდს ქულა მოუპოვა. ეს ყველაფერი 62-ე წუთზე მოხდა. მანამდე კი ჯერ არგენტინელები იგებდნენ კლაუდიო ჰუსეინის მიერ მე-14 წუთზე გატანილი გოლით, ხოლო შემდეგ მასპინძელთა ფორვარდმა ხორხე ესპინოლამ გაილაღა და სამი წუთის განმავლობაში ჯერ გაათანაბრა, მერე კი თავისიანები დააწინაურა. ამას სტუმართა ცენტრალური მცველის ფლავიო სანდონას მეორე ყვითელი და მოედნიდან გაძევება მოჰყვა. თუმცა „ველესის" ფეხბურთელები ჩილავერტის წინამძღოლობით არ დაიბნენ და მიუხედავად კაცნაკლულობისა, ფრეს მაინც მიაღწიეს. შედეგად არგენტინელებს 7 ქულა დაუგროვდათ და თავიანთ ჯგუფში ერთპიროვნულად ლიდერობენ.

A ჯგუფში ორი მატჩი გაიმართა — „სან პაულუმ" „სან ლორენსოს" უმასპინძლა. შეხვედრის ბედი ბრაზილიელთა ახალგაზრდა თავდამსხმელის დოდოს მიერ მეორე ტაიმში შესრულებულმა დუბლმა გადაწყვიტა. პირველი გოლი მან პენალტით გაიტანა.

ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრა სანტიაგოში შედგა, სადაც „კოლო კოლომ" ბრაზილიურ „კრუზეიროს" უმასპინძლა, 2:1 მოუგო და პირველი ქულებიც ჩაიჯიბა. აქაც, ისევე, როგორც სან პაულუში, ჩილელებს დუბლმა უშველა, რომლის ავტორადაც ვეტერანი ფორვარდი ივო ბასაი მოგვევლინა. ერთადერთი საპასუხო გოლის შეგდება სტუმრებმა 70-ე წუთზე მოახერხეს. თავი ასევე ვეტერანმა, წარსულში ბრაზილიის ნაკრების, „ბენფიკასა" და „პარი სენ ჟერმენის" ფეხბურთელმა ვალდომ გამოიჩინა.

რაც შეეხება მესამე ტურის ბოლო, E ჯგუფის თამაშს, მასში ერთმანეთს არგენტინული „რივერ პლეიტი" და ბრაზილიური „ვასკუ და გამა" დაუპირისპირდნენ. ეს მატჩი ბუენოს აირესში გაიმართა და მიუხედავად იმისა, რომ „ვასკუ" მეორე შემადგენლობით მონაწილეობდა (ძირითადმა გუნდმა 24 საათით ადრე ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრა ჩაატარა), ფრედ 1:1 დასრულდა. მეტიც, როჟერიოს მიერ 71-ე წუთზე გატანილის შემდეგ მასპინძლები აგებდნენ კიდეც და სირცხვილისგან ისინი მხოლოდ კრისტიან კასტილიოს მარჯვედ დაკრულმა გადაარჩინა.

**ნოდარ ძასრაძე**



ჩილავერტმა მეტოქე დააშოშმინა, ბურთი პენალტის ნიშნულზე დადო და გაიტანა

**A ჯგუფი**

კოლო კოლო 2:1 კრუზეირო

სან პაულუ 2:1 სან ლორენსო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო (არგენტინა) | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| სან პაულუ (ბრაზილია) | 3 | 2 | 0 | 1 | 4:6 | 6 |
| კრუზეირო (ბრაზილია) | 3 | 1 | 0 | 2 | 7:5 | 3 |
| კოლო კოლო (ჩილე) | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |

**B ჯგუფი**

ინდეპენდიენტე 4:3 ნასიონალი

უნივერსიდად დე ჩილე 1:2 პალმეირასი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალმეირასი (ბრაზილია) | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| ნასიონალი (ურუგვაი) | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |
| ინდეპენდიენტე (არგენტინა) | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |

**C ჯგუფი**

კორინტიანსი 1:1 პენიაროლი

რასინგი 1:0 ოლიმპია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რასინგი (არგენტინა) | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ოლიმპია (პარაგვაი) | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| კორინტიანსი (ბრაზილია) | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| პენიაროლი (ურუგვაი) | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |

**D ჯგუფი**

სეროპორტენო 2:2 ველეს სარსფილდი

ფლამენგო 0:2 ბოკა ხუნიორსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ველეს სარსფილდი (არგენტინა) | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| სერო პორტენო (პარაგვაი) | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ფლამენგო (ბრაზილია) | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |

**E ჯგუფი**

რივერ პლეიტი 1:1 ვასკუ და გამა

გრემიო 5:1 უნივერსიდად კატოლიკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ვასკუ და გამა (ბრაზილია) | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| გრემიო (ბრაზილია) | 3 | 1 | 0 | 2 | 7:5 | 3 |
| უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) | 3 | 0 | 2 | 1 | 3:7 | 2 |

ფეხბურთი

ინგლისური პრემიერლიგის ოცივე კლუბმა ითათბირა და დაასკვნა: ევროპის სუპერლიგა უნდა შეიქმნას, ოღონდ აუცილებლად უეფას პატრონაჟის ქვეშ. და კიდევ, მასში ავტომატურად მოხვედრა უნდა გამოირიცხოს.

პრემიერლიგელებმა დიდი ეჭვი გამოთქვეს „მედია პარტნერზის" ფინანსური გეგმის მიმართაც. „მედია პარტნერზი", მოგეხსენებათ, ის იტალიური, უფრო ზუსტად მილანური ფირმაა, რომელიც სუპერლიგის პროექტს სათავეში ჩაუდგა.

ინგლისელების პოზიცია ასეთია: სუპერლიგის შექმნასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებს მთელი პრემიერლიგა და არა ცალკეული კლუბები.

როგორც ცნობილია „მედია პარტნერზან" გასულ ორშაბათს საგანგებოდ ითათბირეს „მანჩესტერ იუნაიტედმა", „ლივერპულმა" და „არსენალმა", პრემიერლიგის კლუბთა შეკრებას კი ცალკე „მედია პარტნერზის" წარმომადგენლებმა, ცალკე კი უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა გაუგზავნეს მიმართვები.


REUTERS ლონდონიდან

პრემიერლიგის აღმასრულებელ შეფს პიტერ ლივერს „მედია პარტნერზის" დიდად არ სწამს

# ისე, მაგრამ ისე კი არა, ასე

შეკრების შემდეგ აღმასრულებელმა შეფმა პიტერ ლივერმა განაცხადა:

— ჩვენ გავხდით ჩამოყალიბებული, აშკარა დაპირისპირების მოწმენი, თუმცა საბოლოოდ მაინც მოხერხდა შეთანხმება, რომლის მთავარი პუნქტი ის გახლავთ, რომ ევროპულ საკლუბო ფეხბურთს რეფორმები სჭირდება. კლუბებმა ხაზი გაუსვეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი, უეფას სტრუქტურის შენარჩუნება და მომავალი უეჭველად ამ ორგანიზაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ პრემიერლიგის კლუბებმა შორს დაიჭირეს „მედია პარტნერზის" წინადადება, რომლის მიხედვითაც მომავალი სუპერლიგის მონაწილე 36 გუნდიდან ნახევარს სამი წლით გარანტირებული ექნება ადგილი უდიდეს შეჯიბრებაში. მოგეხსენებათ პროექტის თანახმად პრივილეგირებული 18 გუნდი ბოლო 10 წლის შედეგების მიხედვით შეირჩევა.

— შეკრებამ ნათლად დაგვანახა, რომ გარდაუვალია ეროვნული შეჯიბრებების შენარჩუნება და მისი სუპერლიგასთან დაახლოვება, ხოლო იქ მოხვედრის კრიტერიუმად მხოლოდ ერი, წინა სეზონის შედეგები უნდა იყოს მიჩნეული — თქვა ლივერმა.

„სარბიელის" წინა ნომერში გაუწყეთ, რომ „მედია პარტნერზის" ხელმძღვანელმა როდოლფო ეტჩმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბანკმა ჯეი პი მორგანმა მას უდიდესი ფინანსური გარანტია მისცა, ხოლო სუპერლიგის ამოქმედება სამჯერ მეტ შემოსავალს მოიტანს, ვიდრე დღევანდელი ჩემპიონთა ლიგა.

ამაზე ლივერმა თქვა, ძალიან საეჭვო განცხადებააო, პრემიერლიგის პრესატაშემ მაიკ ლიმ კი დასძინა კლუბებს „მედია პარტნერზის" განმარტებანი არ აკმაყოფილებთ და მისი პროექტის კომერციულ მოდელთან დაკავშირებით უამრავი კითხვა გაუჩნდათო.

თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ის, რომ ევროპულ საკლუბო ფეხბურთს რეორგანიზაცია სჭირდება, ინგლისური კლუბების აზრით ეჭვს არ იწვევს.

— ჩვენ არაფერს ვხელმძღვანელობთ და არც რაიმეს ვადგენთ. ჩვენი დადგენილება სუფთა ფურცელი გახლავთ — ყოველი შემთხვევისთვის დაამატა ლივერმა, რომელიც, უეფას მიერ საგანგებოდ შექმნილი „ტასკ ფორსის" ანუ საკითხის შემსწავლელი ჯგუფის წევრია.

როგორც ადრეც გაუწყეთ „ტასკ ფორსმა" უეფას აღმასკომს პირველი მოხსენებით 6 ოქტომბერს უნდა მიმართოს, ხოლო 10 დეკემბრისთვის უკვე წინადადებათა პაკეტი უნდა შესთავაზოს.

რაც შეეხება შეკრების დამსწრე „მედია პარტნერზის" პრესმდივანს, მას ლივერისგან განსხვავებული შთაბეჭდილება დარჩა:

— პრემიერლიგის კლუბებს ძალიან სურთ ევროპის სუპერლიგაში მოხვედრა და ვინაიდან სუპერლიგა სწორედ მათი, კლუბების პროექტია, მოხარულნი ვიქნებით თუ ინგლისის უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები ფართო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენს მოლაპარაკებებში — განაცხადა მან.

# ბედის ირონია

წლეულს არა და გაისად, ევრო 2000-ის შესარჩევ ტურნირში, საქართველო აუცილებლად დაუპირისპირდება ნორვეგიას. 3 სექტემბერს, ბრაზილიელთა რისხვად ქცეული ნორვეგიის ნაკრების მეკარემ, ამავდროულად ბუნდესლიგის „ვერდერის" კარის დარაჯმა ფროდ გროდასმა ვარჯიშზე ხელის თითი მოიტეხა. ტრავმა ისეთია, გროდასს ჩვენთან შეხვედრაში ხელს არ შეუშლის (თუ, ცხადია, მწვრთნელებმა იგი საერთოდ მიიწვიეს გაისად ნაკრებში), მაგრამ ქართველებთან მისი თამაში ერთმა გარემოებამ შეიძლება შეაფერხოს — ნორვეგიულ ფეხბურის ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი, თან გროდასის ჭირად მეკარე, ესპენ ბაარდსენი ამობრწყინდა.

უცნაური და მით უმეტეს მოულოდნელი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბაარდსენი ბევრი თან შემძლე მობურთალის დარად ინგლისში, პრემიერლიგაში თამაშობს. მართალია, იგი დღესდღეობით წყალწაღებულ „ტოტენჰემში" ირიცხება, მაგრამ ვგონებ, იგი უმაყოფილო არ უნდა იყოს — ესპენმა სახელი ხომ სწორედ იქ გაითქვა.

წლევანდელი ჩემპიონატი „ტოტენჰემმა" ძალიან ცუდად დაიწყო — პასკელ ორ ტურში შინ და გარეთ აგებდა, მაგრამ მესამედ სამართალმა გაიმარჯვა და ლივერპულში სტუმრად მყოფმა ლონდონელებმაც „ევერტონი" 1:0 დაამარცხეს. იმ თამაშში „ტოტენჰემის" კარს სწორედ ბაარდსენი იცავდა.

— ის ძალიან მოქნილია, შესანიშნავი რეაქცია აქვს და, რაც მთავარია, საკუთარ ძალებში დარწმუნებულია, მეამაყება, ასეთ მეკარეს რომ ვზრდი. მართალია, დღესდღეობით ჩვენს კლუბს უჭირს, მაგრამ მერწმუნეთ, თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდა ჩვენს ბედს ერთ წელიწადში ძაღლი არ დაჰყეფს. „ტოტენჰემს" ჩინებული მეკარე უკვე ჰყავს, ახლა დაცვაა მისახედი — ეს სიტყვები „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მეკარეთა მწვრთნელ, ლეგენდარულ პატ ჯენინგს ეკუთვნის, კაცს, რომელმაც „ტოტენჰემში" და „არსენალში" გატარებული 22 წლის მანძილზე ბრიტანეთის თითქმის ყველა ჯილდო მოიგო.

კი მაგრამ იან უოქერი? ახალგაზრდა ყმაწვილი ინგლისის ნაკრების სათადარიგო მეკარედ ითვლებოდა, ამ დროს კი სიტუაცია ისე ელვისებურად შეიცვალა, რომ მას ძირითადში თამაშისთვის ბრძოლა ქვეყნის პირველ გუნდში კი არა დაჩანაკებულ კლუბში უხდება. პირველ ორ ტურში გაშვებული ექვსი გოლის გამო „ტოტენჰემის" შვეიცარიელმა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა ბაარდსენი სათადარიგოთა სკამზე დასვა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, უთქვამთ წინაპრებს. „ტოტენჰემისთვის" ეს სიბრძნე შესაძლოა ზედგამოჭრილიც გამოდგეს — იმ ორმა მარცხმა მეკარეთა ცვლილება გამოიწვია, მესამე თამაშმა კი გვაჩვენა, რომ სათადარიგო გაცილებით უკეთ ირჯება, ვიდრე ძირითადი. არაა გამორიცხული, ბაარდსენმა სწორედ ამ მატჩის შემდეგ დაიბევოს ადგილი „ტოტენჰემის" ძირითადში.

კვლავ პატ ჯენინგსი: „რაც ესპენი ჩვენთან მოვიდა, იგი მუდამ ჩემი მეთვალყურეობით ვარჯიშობს. მისი თამაში არ გამიცდენია და უნდა გითხრათ, რომ მაოცებს თავისი შრომისუნარიანობით. ყოფილა შემთხვევა, ბაარდსენს ოთხი-ხუთი გოლიც გაუშვია, მაგრამ იმ შეხვედრებში იგი მაინც საუკეთესოდ ულიარებიათ. რაც არ უნდა მაღალი დონის მეკარე იყო, ძალიან ძნელია, როცა დაცვის იმედი არ გაქვს. დარწმუნებული ვარ, მისი სახით უძლიერესი მეკარე იზრდება. მჯერა მისი ერთი უბრალო მიზეზის გამო — მე მას ძალიან ახლოს ვიცნობ".

მაინც რითი გამოირჩევა ესპენ ბაარდსენი? — უპირველეს ყოვლისა, ატლეტური აღნაგობით, სწორედ ისეთი ფიზიკური მონაცემებით, რომელიც მეკარეთათვის ზედგამოჭრილია. გარდა ამისა, შესანიშნავ მწვრთნელთან ვარჯიშმა ის შედეგი გამოიღო, რომ უკვე ყმაწვილკაცმა მეკარეობის თითქმის ყველა საიდუმლო იცის. კარგი მეკარე მხოლოდ და მხოლოდ შრომის ფასად არ ყალიბდება — ბაარდსენს ბრწყინვალე რეაქცია აქვს.

განა „ევერტონთანაც" ასე არ იყო? ლივერპულელები მეტად სახიფათოდ უტევდნენ, ბაარდსენი კი მედგრად იდგა და მეტოქის საშინელი ძალის დარტყმებს უკუაგდებდა. საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა საიმედოობა თანაგუნდელებსაც გადასდო და ტოტენჰემელებმაც უკან ძლიერი მეკარე რომ დაიგულეს, შეტევებშიც უფრო გათამამდნენ. შედეგად მოგება და სამი ქულა, ასევე გაღვივებული იმედები იმისა, რომ ინგლისის ეს ერთ-ერთი სახელოვანი კლუბი პრემიერლიგას არ დატოვებს.

რამდენად რეალურია უახლოეს მომავალში ესპენ ბაარდსენის ნორვეგიის ნაკრებში მიწვევა, ამას მომავალი დაგვანახებს, ისე კი თუ მეკარემ ისეთივე ტემპით გააგრძელა, როგორც ახლა მიდის, საეჭვოა, ქვეყნის პირველ გუნდში ადგილის დაბევება გაუჭირდეს.

საიდან მოხვდა ბაარდსენი ინგლისში? მიუხედავად იმისა, რომ იგი ნორვეგიელია, ყრმობის და სიჭაბუკის წლები ამერიკაში, კალიფორნიაში გაატარა. მერე ინგლისსაც მიაშურა, 18 წლისა კი „ტოტენჰემის" საფეხბურთო სკოლაში მიიყვანეს. თანატოლებში რაც მას გამოარჩევდა, ეს აღნაგობა და შრომისუნარიანობა გახლდათ. ბედის ირონია იყო, თუ სხვა რამ, ვერ გეტყვით, მაგრამ პირველ საზღვარგარეთული ტურნე, რომელშიც ბაარდსენი მონაწილეობდა, ნორვეგიაში გახლდათ და სწორედ იმ დღეს ითამაშა პირველი მატჩი „ტოტენჰემის" შემადგენლობაში, როცა იმ ხანად ნორვეგიის ნაკრების ძირითადმა მეკარემ ერიკ ტორსტვედტმა პროფესიული კარიერის დასრულება ამცნო საფეხბურთო სამყაროს.

ვერ გეტყვით, გამოჩნდა თუ არა ნორვეგიის ნაკრების ახალი კარის დარაჯი, მაგრამ ფაქტია, რომ ესპენ ბაარდსენი მეტად ნიჭიერი ყმაწვილია და მას შესწევს ძალა, ითამაშოს უმაღლეს დონეზე.

ირაკლი ილურიძე

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.

5 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — ბერი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| ჰადერსფილდი — შეფილდ იუნ. | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ქპრ — ბარნსლი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| სტოკპორტი — გრიმსბი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სვინდონი — ბრისტოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

6 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოქსფორდი — პორტსმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

5 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრააფსხაპი — ვალვაიკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სპარტა — როდა | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ბელგიის ჩემპიონატი. IV ტური

5 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეკერენი — სტ. ტრუიდენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| გენტი — აალსტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| გენკი — სტანდარდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შარლერუა — ლიერსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბევერენი —ლოკერენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მუსკრონი — ჰარელბეკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვესტერლო — ანდერლეხტი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

6 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრიუგე — ლომელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| კორტრაიკი — ოსტენდე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ამხანაგური მატჩი

5 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანია — რუმინეთი (მალტაში) | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

5 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| უელსი — იტალია | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| ბელარუსი — დანია | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| საქართველო — ალბანეთი | ანგარიში — 5,0 | | |
| ფინეთი — მოლდოვა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| თურქეთი — ჩრდ. ირლანდია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სომხეთი — ანდორა | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| 0:3 | 1,25 | 5,0 | 4,7 |
| უკრაინა — რუსეთი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ისლანდია — საფრანგეთი | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| შვედეთი — ინგლისი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ავსტრია — ისრაელი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| კვიპროსი — ესპანეთი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| სლოვაკეთი — აზერბაიჯანი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:3 | 2,0 | 3,6 | 2,0 |
| ირლანდია — ხორვატია | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ბოსნია — ესტონეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლიტვა — შოტლანდია | 4,0 | 3,0 | 1,8 |

6 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| საბერძნეთი — სლოვენია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,5 | 4,2 |
| ნორვეგია — ლატვია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:2 | 1,6 | 3,0 | 4,0 |
| ბულგარეთი — პოლონეთი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| უნგრეთი — პორტუგალია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| მაკედონია — მალტა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:2 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| ფარერები — ჩეხეთი | 10,0 | 5,6 | 1,15 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. I ტური

5 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრემონეზე — ტორინო | 2,3 | 2,8 | 2,9 |

6 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ჯენოა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბრეშა — ჩეზენა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლეჩე — რეჯინა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მონცა — ლუკეზე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ნაპოლი — კოზენცა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| რავენა — ფ. ანდრია | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ტერნანა — რეჯანა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ტრევიზო — კიევო | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ვერონა — პესკარა | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| ორენსე — მალაგა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| რეკრეატივო — სევილია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| მერიდა — კომპოსტელა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლეგანესი — ნუმანსია | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ბადახოსი — ლეიდა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ოსასუნა — ლოგრონიესი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ერკულესი — რაიო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბარსელონა B — ატლეტიკო B | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ალბასეტე — მალიორკა B | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ტოლედო — ლას პალმასი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ეიბარი — სპორტინგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოეფიციენტების თვლაც დაიწყო

სააგენტო „როიტერმა“ ევროპული კლუბების მორიგი კლასიფიკაცია გამოაქვეყნა, რომელშიც მხოლოდ იმ ქვეყნის გუნდები მოხვდნენ, რომლებშიც ეროვნული ჩემპიონატი უკვე დაწყებულია. ამ კლასიფიკაციაში ყოველი ქვეყანა ჩემპიონატის დონის მიხედვით არის დაყოფილი და ვინაიდან სერია A ჯერ არ დაწყებულა, აღნიშნულმა სააგენტომ ყველაზე რთულად ესპანეთის პირველობა მიიჩნია. სწორედ ამიტომ ცხრილს სათავეში ორი ესპანური კლუბი — მადრიდის „რეალი“ და „სარაგოსა“ მოექცა, მიუხედავად იმისა, რომ მათ მხოლოდ თითო-თითო შეხვედრა გამართეს. საკუთარ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებისთვის მინიჭებული ქულების გარდა კლუბებს დამატებით ეწერებათ ქულები ევროტურნირებსა და ეროვნული თასის გათამაშებაში მიღწეული წარმატებებისთვის.

## საუკეთესო 20 კლუბი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მადრიდის „რეალი“ | ესპანეთი | 117,29 |
| 2 | სარაგოსა | ესპანეთი | 105,37 |
| 3 | მიუნხენის „ბაიერნი“ | გერმანია | 102,14 |
| 4 | ბორდო | საფრანგეთი | 98,11 |
| 5 | ლოკერენი | ბელგია | 97,52 |
| 6 | კაიზერსლაუტერნი | გერმანია | 94,82 |
| 7 | ესპანიოლი | ესპანეთი | 93,46 |
| 8 | ვალენსია | ესპანეთი | 93,46 |
| 9 | ბუქარესტის „დინამო“ | რუმინეთი | 87,15 |
| 10 | ლიონი | საფრანგეთი | 86,15 |
| 11 | ბუქარესტის „რაპიდი“ | რუმინეთი | 85,99 |
| 12 | მარსელი | საფრანგეთი | 85,85 |
| 13 | პარტიზანი | იუგოსლავია | 84,38 |
| 14 | ბენფიკა | პორტუგალია | 83,64 |
| 15 | ვენის „რაპიდი“ | ავსტრია | 83,36 |
| 16 | კიევის „დინამო“ | უკრაინა | 82,65 |
| 17 | ლევერკუზენის „ბაიერი“ | გერმანია | 82,27 |
| 18 | ლივერპული | ინგლისი | 82,22 |
| 19 | უტრეხტი | ჰოლანდია | 81,76 |
| 20 | გალათასარაი | თურქეთი | 80,09 |

## ზედიზედ მოგებული მატჩები

| | | |
|---|---|---|
| მოსკოვის ცსკა | რუსეთი | 5 |
| ბუქარესტის „დინამო“ | რუმინეთი | 5 |
| ბუქარესტის „რაპიდი“ | რუმინეთი | 5 |
| გალათასარაი | თურქეთი | 4 |
| ბორდო | საფრანგეთი | 4 |
| მიოლდე | ნორვეგია | 4 |
| პარტიზანი | იუგოსლავია | 4 |
| ვენის „რაპიდი“ | ავსტრია | 4 |

## წაუგებელი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| მიოლდე | ნორვეგია | 20 |
| აიკ | შვედეთი | 11 |
| კრივბასი | უკრაინა | 9 |
| ლოზანა | შვეიცარია | 8 |
| გრასჰოპერი | შვეიცარია | 7 |
| ვასტრა ფროლუნდა | შვედეთი | 7 |

## ზედიზედ წაგებული მატჩები

| | | |
|---|---|---|
| ფორესტა ფალტისენა | რუმინეთი | 5 |
| ადანასფორი | თურქეთი | 4 |
| ოლიმპია სატუ მარე | რუმინეთი | 4 |
| სამსუნსფორი | თურქეთი | 4 |
| სუბოტიცის „სპარტაკი“ | იუგოსლავია | 4 |

## ბოლო გამარჯვების შემდეგ ჩატარებული მატჩების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| ორგრიტე | შვედეთი | 13 |
| პრიკარპატიე | უკრაინა | 8 |
| ლოზანა | შვეიცარია | 7 |
| იანგ ბოიზი | შვეიცარია | 7 |
| აუსტრია | ავსტრია | 6 |
| კოპენჰაგენი | დანია | 6 |
| კერულეტი | უნგრეთი | 6 |
| შინიკი | რუსეთი | 6 |
| ბანიაში | უნგრეთი | 6 |

## ბომბარდირები წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებში

| | | |
|---|---|---|
| 1. სილვან ვილტორდი | ბორდო | 6 |
| 2. იბრაჰიმ ბაკაიოკო | მონპელიე | 4 |
| გერტ კლასენსი | ბრიუგე | 4 |
| პასკალ ნუმა | ლანსი | 4 |
| მაიკლ ოუენი | ლივერპული | 4 |

## ჩემპიონატებში გოლების საშუალო მაჩვენებელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 3,58 | 12. პორტუგალია | 2,78 |
| 2. რუმინეთი | 3,40 | 13. პოლონეთი | 2,72 |
| 3. დანია | 3,22 | 14. შვედეთი | 2,67 |
| 4. საბერძნეთი | 3,22 | 15. შვეიცარია | 2,63 |
| 5. ჩეხეთი | 3,22 | 16. საფრანგეთი | 2,61 |
| 6. იუგოსლავია | 3,12 | 17. უკრაინა | 2,53 |
| 7. გერმანია | 2,94 | 18. რუსეთი | 2,45 |
| 8. უნგრეთი | 2,94 | 19. შოტლანდია | 2,25 |
| 9. ბელგია | 2,92 | 20. ჰოლანდია | 2,18 |
| 10. თურქეთი | 2,89 | 21. ინგლისი | 1,76 |
| 11. ავსტრია | 2,82 | 22. ესპანეთი | 1,70 |



# მე და მსოფლიოს ჩემპიონატი

გასრულდა არა მხოლოდ თავად ის, არამედ მასზე ფიქრიც. განელდა ემოცია, რას იზამ, ასეთია ცხოვრება. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგახსენებთ. რაგინდ დიდი და გრანდიოზული ყოფილიყო, მაინც დაუთმობდა ადგილს ახალ მოვლენებს. აგერ, ევრო 2000-ის შესარჩევიც კარს მოგვადგა, თანაც აგრილდა და ახალი ცხოვრებაც დავიწყეთ. ინგლისური ჟურნალის „უორლდ სოკერის“ კორესპონდენტი დომენიკ ანტონიონი კი რონალდოს შეხვდა და ისევ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩამოუგდო სიტყვა. ჩვენც გადავწყვიტეთ გვეთარგმნა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტული მართლა ყველაფერზე მეტად გინდოდათ?**

— რომ ეთქვათ, რაც გინდა აირჩიე ფული, დიდება, ჯილდოები და ბევრი სხვა, მე მაინც მსოფლიოს თასს ვარჩევდი. ვინ იცის, იქნებ ოთხი წლის მერე ბევრი რამ დაგვიანებულიც აღმოჩნდეს. დიახ, აშშ-ში 1994 წელს გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მივიღე. მაგრამ ეს სიზმარივით მახსოვს. მე ხომ მაშინ არ მითამაშია, დამკვირვებელივით ვიყავი. ამან მოუთმენლობა შემყარა. იქნებ ცხოვრებაში პირველადაც შემეყარა ასეთი სენი. ახლა ზედ საფრანგეთის ამბებიც დამემატა.

**— საფრანგეთში საქმეები თავიდან ცუდად წავიდა. გუნდში დაძაბული ატმოსფერო იყო, არა?**

— ჩვენ ვიყავით გუნდი, რომელსაც მიზანი ჰქონდა, მაგრამ ძალიან გამოკვეთილი ხასიათის ადამიანებისგან შედგებოდა. სერიოზული არაფერი მომხდარა. ერთხელ იყო ედმუნდოს ზედმეტი რომ მოუვიდა, როდესაც ვარჯიშზე ჯოვანის შეასკდა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის ამ გზით მოპოვება სწორი არ არის. დუნგას და ბებეტოს საჯარო კამათი კი მაროკოელებთან მატჩის დაძაბულობით იყო გამოწვეული.

**— იქნებ შოტლანდიასთან პირველი შეხვედრა მოიგონოთ.**

— ის ნამდვილად არ იყო ჩვენი საუკეთესო შეხვედრა, მაგრამ გავიმარჯვეთ და მთავარი სწორედ ეს გახლდათ. სქოთები 90 წუთის განმავლობაში მჭიდროდ მშეურვეობდნენ, თუმცა რაინდული თამაშის ფარგლებს არ გაცდენიან. ამდენი ადამიანის ყურადღებაც არასდროს მიგრძვნია რაც სხვათაშორის ძალიან მომეწონა. ბურთს რომ მივიღებდი ხალხი ჩუმდებოდა. ეს მართლაც ჯადოსნური საღამო იყო, იმ დღეს ვერასდროს დავივიწყებ.

**— მაროკოსთან თამაშზე რას გვეტყვით?**

— მაროკოსთან ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი ვითამაშე, რადგან იმ დღეს მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად შევაგდე გოლი. სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი, თითქოს პატიმარი ვიყავი და ციხიდან გამანთავისუფლეს. გუნდმაც კმაყოფილმა დატოვა მოედანი. საკუთარი თავის ადრინდელი რწმენა აღვიდგინეთ. იცით, როდესაც საქმე კარგად მიდის აღტაცებული ხარ. ნეტავ თამაში კიდევ დიდხანს გაგრძელდესო, ვფიქრობდით. იმ დღეს ნამდვილად ვიგრძენი, რომ რივალდოსთან ჩინებულად ვთანამშრომლობ, მეგონა საუცხოო წყვილს შევქმნიდით.

**— მაროკოელებმა, ერთ ეპიზოდში, თქვენს წინააღმდეგ საშინლად იუხეშეს.**

— მართლაც წარმოუდგენელი უხეშობა იყო. თან მსაჯმა ყვითელი ბარათიც კი არ აღმართა. ბარძაყის დასაამებლად საგანგებო მკურნალობა დამჭირდა. მსაჯების ვერაფერი გამიგია, ჯერ აცხადებენ უხეშობას ასე და ისე შევებრძოლებითო, მერე კი სულ სხვანაირად იქცევიან. მაროკოელები თითქოს ჩვენზე ნადირობდნენო, ძალიან სახიფათო იყო მათ წინააღმდეგ თამაში.

**— ნორვეგიასთან დამარცხებამ თითქოს თქვენსა და თქვენს თანაგუნდელებს შორის ურთიერთობა გააფუჭა.**

— ბრაზილია მარტო რონალდო არ არის. მე ვალდებული ვარ გუნდს დავეხმარო, მაგრამ გუნდმაც უნდა შემიწყოს ხელი. ნაკრებში სულ სხვანაირად მიწევს თამაში, „ინტერში“ კი სხვანაირად. „ინტერში“ ბურთს ვიღებ, ხოლო ნაკრებში თავს ვწირავ, აქეთ-იქით უამრავს დავრბივარ და ვინაიდან გუნდისთვის ამას ვაკეთებ, მისგანაც იმავეს ველი.

**— ჩილესთან თამაშისას საქმე გამოსწორდა. როგორ?**

— დიდებული გამარჯვება იყო. ჩვენ ისევ საუკეთესო ფეხბურთი ვითამაშეთ. რა მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ გვებრძოდა მეტოქე. მთავარი ჩვენ ვიყავით. კვლავ ვიგრძენი, რომ ძალიან ძლიერები ვართ და თითქოს ყველა იმ თვისებას ვფლობდით მსოფლიოს ჩემპიონს რომ უნდა ჰქონდეს. თანაც ორი გოლი გავიტანე. გამოგიტყდებით, პენალტის წინ ვნერვიულობდი. შეხვედრის შემდეგ მაისური არავის გავუცვალე, „ინტერის“ პრეზიდენტს მასიმო მორატის ვუძღვენი. იცით, მან ჩემი თამაშის ნახვა ამჯობინა იტალიის ნაკრების თამაშზე წასვლას.

**— და დანიასთან?**

— დანიასთან აღმოვაჩინე, რომ საგოლე პასების ჩაწოდება და ასისტენტობა გაცილებით იოლია, ვიდრე გოლების გატანა. მართალია მე იმ საღამოს გოლი ვერ შევაგდე, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყოველთვის იმას ვფიქრობდი, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა ოქროს თასის მოპოვებასთან შედარებით არაფერია. ცხადია მეოთხედფინალების მერე ვიცოდი, რომ ბატისტუტა და ვიერი მეგოლეთა სიაში ძალიან დაწინაურდნენ, მაგრამ ჩემთვის მთავარი ის გახლდათ, რომ ორი უძლიერესი გუნდი, არგენტინა და იტალია შეჯიბრებას გამოეთიშნენ. დანიაზე კი ვიტყვი, რომ ის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით სანიმუშო გუნდი იყო.

**— იმხანად ბევრს ლაპარაკობდნენ თქვენს მომატებულ წონაზე.**

— ზუსტად იმდენი ვიყავი, რამდენიც „ბარსელონაში“ თამაშის დროს.

**— რომელი გოლი იყო ტურნირზე გატანილთა შორის ულამაზესი?**

— ძნელი სათქმელია. ალბათ პარაგვაელმა ბენიტესმა ნიგერიას რომ გაუტანა.

**— იტალიაზე რას იტყოდით?**

— იტალიელები საფრანგეთთან წაგების ღირსნი იყვნენ, იმიტომ, რომ მხოლოდ გოლის არგაშვებაზე ფიქრობდნენ. ვერ მივხვდი დელ პიეროს რა მოუვიდა. ყველა ელოდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის უდიდეს ვარსკვლავთაგანი გახდებოდა, ის კი „იუვენტუსში“ რომ თამაშობს, იმის ლანდადაც არ ვარგოდა.

**— ფინალამდე რომელი იყო თქვენთვის ყველაზე მძიმე წუთი?**

— ჰოლანდიასთან შეხვედრაში კლუივერტმა ანგარიში რომ გაგვითანაბრა. ადრევე ვიცოდით, ოფლი უნდა მოგვედინა, რათა დაგვემტკიცებინა, რომ ჰოლანდიაზე უკეთესი გუნდი ვართ. იმავე შეხვედრაში დაგვიდგა ყველაზე ბედნიერი წამიც. ეს პენალტების სერიაში გამარჯვების წამი გახლდათ. ტაფარელი ფანტასტიკური იყო, ჰოლანდია კი იმ საღამოს ჩვენს გარდა ყველას დამმარცხებელი გახლდათ.

**— საბოლოოდ როგორ შეაჯამებდით ბრაზილიის ნაკრების თამაშს მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

— იშვიათი სიძლიერის გუნდი გვყავდა. იყვნენ უფროსი, გამოცდილი და ახალგაზრდა, მაგრამ ასევე გამოცდილი მოთამაშეები. ისინი თავდადებით იბრძოდნენ მიზნის მისაღწევად, ყველა ღონეს ხმარობდნენ. ბებეტო, დუნგა და ალდაირი ყმაწვილებივით შემართებულნი გახლდნენ. ასეთი შემართება გადამდებია. თუ გნებავთ ის ვთქვათ, ზაგალომ როგორი ჟინით აანთო ბიჭები.

**— საფრანგეთის ნაკრებისა ყველაზე მეტად რა მოგეწონათ?**

— იური ჯორკაეფს ვიცნობ, „ინტერში“ თანაგუნდელები გახლავართ. მას უდიდეს პატივს ვცემ. იგი გუნდს ყველაფერს აძლევს. შემდეგ, ზინედინ ზიდანზე უნდა ვთქვა. იგი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი გახლდათ. კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ ფინალში ჩვენს წინააღმდეგ არ უთამაშია, ტიერი ანრიმ გამაოცა. ყოველთვის ვიცოდი, რომ კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ასე ძლიერი თუ იყო, ნამდვილად არ მეგონა. ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელმა მაიკლ ოუენმაც.

**თარგმნა პაპუნა ძედიამ**

## ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1956

# სტენლი მეტიუზი

*გიო ახვლედიანი*

# სტენლი მეტიუზის სამი ტიტული

ეს პირველად იყო, საუკეთესოს რომ ასახელებდნენ.

ფრანგებმა მართლაც რომ საუკეთესო წამოწყებას დაუდეს სათავე, არა ერთს, არამედ რამდენიმეს. კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელს პირველად ასახელებდნენ. ჟურნალისტები პირველად ავსებდნენ ფრანგული ჟურნალის ყვითელი ფერის ქვითრებს. იქ კი, პარიზში შედეგი ეჭვს აღარ იწვევდა — კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი, ევროპის ოქროს ბურთის მფლობელი ინგლისელი ხდებოდა: ამაში იყო ერთგვარი სიმბოლოც, ინგლისმა ხომ ფეხბურთი აჩუქა სამყაროს, ინგლისი ხომ ფეხბურთის საჭეთმპყრობელი იყო. მერე რა, რომ ინგლისურმა ფეხბურთმა ბოლო ათ წელიწადს, ზედიზედ ორ (მისთვის პირველ და მეორე) მსოფლიო ჩემპიონატებზე თავი შეირცხვინა და შინ, „უემბლიზე“ წაუგებლობის ტრადიციაც მოშალა? მერე რა, რომ თვით მომავალ ლაურეატს ამ საქმეში არაფრით გამოუჩენია თავი და ისევე მოქმედებდა, როგორც მისი ნირწამხდარი თანამემამულენი?

ჟურნალისტთა აზრი ერთიანი და ურყევი იყო — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ხდებოდა სტენლი მეტიუზი, ინგლისური კლუბის „ბლეკპულის“ მარჯვენა გარემარბი.

სიმბოლურობა სიმბოლურობად და ამ ამბავში იყო უცნაურობაც. პირველი რჩეული ევროპელი გახლდათ ერთი ტანხმელი, მოხდენილი, ორმოცდაერთი წლის კაცი, რომელსაც ცხოვრებაში თავისი ერთადერთი ტიტული ოცდათვრამეტი წლისას მოეგო. ეს ტიტული იყო ინგლისის ასოციაციის თასი, რომელიც „ბლეკპულმა“ 1953 წლის 2 მაისს გამოგლიჯა „ბოლტონ უონდერერსს“. მაშინ სტენლიმ ახალგაზრდა დედოფლის ხელიდან მიიღო ერთადერთი ჯილდო, რომელზედაც ბავშვობიდან ოცნებობდა. სხვა ჯილდო ამ კაცს არ ჰქონია. ევროპის ლაურეატობა მისი მეორე ტიტული იყო. ამ მომენტისთვის ის აღარ ირიცხებოდა ინგლისის ნაკრებშიც, რომლის თეთრი კვართიც ოცზე მეტი წლის წინათ მოერგო.

ბილი რაიტის, თუ ედი ჰეპგუდის, ამ ორი ლეგენდარული კაპიტანის მხარდამხარ გამოსვლამაც ვერ მოუგროვა სტენლის იმდენი სანაკრებო კეპი, სალაპარაკო რომ გამხდარიყო. თავის ხანრძლივ კარიერაში მას ასევე არ მოუგროვდა სამოცდაათი გოლიც კი. „ოცდათხუთმეტი წელი მარჯვენა ფრთაზე“ — ასე ჰქვია სტენლი მეტიუზის წიგნს და ამ წიგნში ავტორს აღწერილი აქვს თავის მიერ გატანილი ერთადერთი გოლი.

ამ მეორე ტიტულში იყო რაღაც უცნაურობა. კონტინენტის აღიარება მოულოდნელიც კი იქნებოდა. დიახაც რომ იქნებოდა, რომ არა ერთი ამბავი — იმ ხანად, იმ ხანად კი არა, მთელი თავისი საფეხბურთო კარიერით სტენლი მეტიუზი ევროპული ფეხბურთის სილამაზესა და ინტელექტს, ჯენტლმენობასა და მახვილგონიერებას განასახიერებდა. ამ ამბების გუნდურ გამოხატულებად უნგრეთის ნაკრები ითვლებოდა, პიროვნულად კი — სტენლი.

კი, ასე იყო. სტენლის მეტსახელი — „ფინტების მეფე“, სრულად გამოხატავდა იმას, რასაც ეს კაცი აკეთებდა მინდორზე. მას არ სჩვეოდა მიკიბულ-მოკიბული თამაში. ბურთს ფეხებში მოიგდებდა თუ არა, პირდაპირ მოწინააღმდეგე მცველისკენ მიეშურებოდა. მსუბუქი, კოხტა ნაბიჯით მიდიოდა და მერე იწყებდა სადა, მოხდენილ, მოულოდნელ ფეიერვერკს, რომლის შედეგიც ის იყო, რომ მცველები უკან რჩებოდნენ, სტენლი კი ბურთს ჰკიდებდა საჯარიმოში. ეს ის იყო, რითაც დღესაც მოიწონებს თავს ინგლისური ფეხბურთი. დღეს ყბადაღებული კუნძულური ჩაწოდებები სტენლის ხელში ნამდვილ ჯადოდ ქცეულიყო. ხუმრობდნენ კიდეც, სტენლი ისე ასვამს ბურთს თავზე ცენტრფორვარდებს, რომ ბურთის შემკვრელი თასმები შუბლს არასოდეს ეხახუნებაო. იმ მარჯვენა ფრთაზე მეტიუზი ოქრომჭედელი იყო, ფეხბურთისთვის უკვდავი პერსონაჟი, სამ ათეულ წელიწადზე მეტხანს რომ მისდევდა საკლუბო თამაშს.

მაგრამ ინგლისელთა ამბავი ხომ მოგეხსენებათ? ამბობდნენ, ინდივიდუალისტია და თავისი ფინტებით სხვებს გასაქანს არ აძლევს, რაც თამაშის ჩვენეულ პრინციპს ეწინააღმდეგებაო. ნაკრების ცენტრფორვარდები ემუდარებოდნენ, გული არ აიცრუო, არ დაგვღუპოო. აჰ, რომ შეიძლებოდეს მისი გადაცემებით გასული გოლების დათვლა.

და ფინტები არსებობდა: „ფინტი მრავალგვარი მქონდა. ზოგს სხვისგან გადავიღებდი, ზოგსაც ჩემით ვიგონებდი. მთელი ცხოვრება მათ გამოგონებაში ვიყავი. მიწაში სარებს ჩავასობდი და მათ გარშემო დავრბოდი“.

ცხოვრებაში არ მოუწევია და ერთი ყლუპი შამპანური დალია მაშინ, როცა მის ფეხბურთიდან გასაცილებლად პატარა ქალაქ სტოკის „ვიქტორიას“ მინდორზე მთელი მსოფლიოს ვარსკვლავები შეიკრიბნენ. მაშინ ორმოცდაათისა სრულდებოდა, იყო სანიმუშო ფორმაში, შეთხელებული თმა კვლავ ძველმოდურად, საფეთქლებთან ჰქონდა გადაყოფილი.

და ბარემ ცოტა რამ ბავშვობისა, სიყმაწვილისა და სიჭაბუკისაც ვთქვათ:

დაიბადა სტოკში, ინგლისის გულისგულში, ერთი დალაქის ოჯახში. სწავლობდა, სადალაქოს ჰგვიდა და თავდავიწყებით თამაშობდა ფეხბურთს. დედა ხუთი საათის ჩაიზე ელოდა ხოლმე. მამა ცხოვრებისა და სპორტის ავანჩავანს უხსნიდა. როგორც გაირკვა, სწორად და ღირსეულად. სტენლი არცერთხელ არ დაჯარიმებულა თავისი კარიერის განმავლობაში (ვენდოთ ძველ წიგნებს), სულ ორი თამაში ყოფილა, როცა მეტიუზს ვერაფერი გაუწევია მცველთა წინააღმდეგ (კიდევ ერთხელ ვენდოთ ძველ წიგნებს).

თხუთმეტი წლისა უკვე „სტოკ სიტიში“ ირიცხებოდა, როგორც უწლოვანს არ ჰქონდა პროფესიონალთა შორის თამაშის უფლება. ჩვიდმეტი წლისა, 1932 წლის ერთ ცივ საღამოს პირველად გამოჩნდა „სტოკის“ ძირითადის მარჯვენა ფრთაზე. იმხანად ხელფასი კვირაში სამი გირვანქა ჰქონდა, საუკეთესო და სახელიან წლებში შვიდი, ან რვა. გამოვიდა და დაიწყო. დაიწყო ის, რაც აღარ დამთავრდა. ხალხი კოსმოსში დაფრინავდა, ის კი კვლავ სტოკის „ვიქტორია გრაუნდის“ მარჯვენა ფრთაზე იდგა.

შუალედში კი იყო „ბლეკპული“, ჩრდილო-აღმოსავლეთის სანავსადგურო ქალაქის კლუბი, სადაც „სტოკის“ უფროსობასთან უთანხმოების შემდეგ გადავიდა და საიდანაც გაიცნო ომისშემდგომმა მსოფლიომ. მაგრამ გაიარა დრომ (დრო ხომ მას გვერდს უქცევდა) და კვლავ აღმოჩნდა დამცრობილ, ლიგებში დაქვეითებულ „სტოკში“, იმედი და შემართება შემატა, აღაზევა, ფეხზე დააყენა. და თან, არა როგორც მენეჯერმა, ან თავმჯდომარემ, არამედ, როგორც ფრთის მოთამაშემ, მარჯვენა გარემარბმა. მისი თანანაკრებელი ალფ რამსეი უკვე ნაკრებს ხელმძღვანელობდა, სტენლი კი კვლავ ფეხბურთს თამაშობდა. საინტერესო აი ეს არის, არც „სტოკი“ და არც „ბლეკპული“ არასოდეს მოხვედრილან ინგლისურ პირველობათა სამკუთხედშიც კი. სტენლიც არასოდეს გადასულა ბობოლა კლუბებში, მხოლოდ ხანდახან, საერთაშორისო ტურნირებისას ითხოვდნენ ხოლმე პუბლიკის მოსაზიდად.



*სერ სტენლი მეტიუზი*

*დაიბადა ინგლისის ქალაქ ჰენლიში 1915 წლის 1 თებერვალს*
*თავდამსხმელი*
*წონა: 70 კგ.*
*სიმაღლე: 1,74*
*კლუბები: სტოკ სიტი (1930-42), ბლეკპული (1947-61), სტოკ სიტი (1962-65)*
*ინგლისის ნაკრებში: 54 მატჩი (1954-61)*
*გოლები ნაკრებში: 11*

ყველაზე საინტერესო კი სანაკრებო ბატალიები იყო. აქ ორი რამ დაურჩა სანანებელი, 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, როცა ერთადერთ თამაშში გამოიყვანეს და წამხდარი საქმე გადააბრალეს. და კიდევ ის, ბრიტანელ პოლიტიკოსთა დაჟინებით რომ ფაშისტურად ააწევინეს ხელი ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე. ეს სირცხვილის დღე იყო. ინგლისმა მოიგო, მაგრამ ის აწეული ხელი მაინც ავ მოგონებად დარჩა...

მაგრამ მეტიუზი ჯენტლმენად რჩებოდა.

იმდროინდელ ევროპულ ჟურნალისტთათვის ის არაიმდენად იმ 1956 წლის საუკეთესო ფეხბურთელი იყო, არამედ უკანასკნელი ოცწლეულისა. და ეს მაშინ, როცა სტენლის არ უთამაშია არც ერთ ომამდელ მსოფლიო ჩემპიონატში. იმ ხანის ინგლისის ნაკრები ხომ... და რა სახელს დასტოვებდა მეტიუზი, ომამდე, თავის ახალგაზრდობის ჟამს რომ ჩართულიყო მსოფლიო ფეხბურთში?

ის იმ ეპოქის ვარსკვლავი იყო, როცა ფეხბურთელები ბურთის ჯადოქრებად იწოდებოდნენ. ის იყო დუბლ-ვეს ეპოქის პირველი დიდი და კეთილი ჯადოქარი. ამ ტიპის მოთამაშენი დღეს აღარ არსებობენ. ამიტომ, ოქროს ბურთს რომ გადასცემდნენ, იმას გულისხმობდნენ, რომ ის თაობის, ფეხბურთის ჯადოსნური ეპოქის სიმბოლო იყო.

მესამე ტიტული?

ის იმ დღეს დაიმსახურა მეტიუზმა, როცა უკანასკნელად გამოჩნდა ამჟამინდელ „ბრითან სთედიუმზე“, სტოკის „ძველ ვიქტორიაზე“. დედოფალმა მას რაინდის ტიტული მიანიჭა, პირველს ფეხბურთელთა შორის. ის მართლაც რაინდია, დღესაც, ოთხმოცდასამი წლისა მოგხიბლავთ აღნაგობით და სალი იერით.

იმ დროიდან იგი ასე იწოდება — სერ სტენლი, ფინტების მეფე.

## საქართველოს ყველა დროის საუკეთესო

### ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები

# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის“ გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის“ გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში“ მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში“ დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის“ რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ______________________

2 ______________________

3 ______________________

4 ______________________

5 ______________________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ______________________

2 ______________________

3 ______________________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ______________________

2 ______________________

3 ______________________

4 ______________________

5 ______________________

6 ______________________

7 ______________________

8 ______________________

9 ______________________

10 ______________________

11 ______________________

სახელი ______________________

გვარი ______________________

ასაკი ______________________

პროფესია ______________________

მისამართი ______________________

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი მეცხრამეტე

# გავიხსენოთ კენ ნორტონი

**კენ ნორტონის გამო ბევრის დაწერა შეიძლება. მისი საკრივო თავგადასავალი მრავალფეროვანი და ღირსეულია. მაგრამ ამ ჯერზე უშველებელი ფურცლის შედგენა არ გამოვა. ისევ ისა სჯობს, რამდენიმე ეპიზოდი წარმოვადგინოთ მისი საკრივო და რინგსგარეთა ცხოვრებიდან და მის ნაფიქრსაც მივუგდოთ ყური. კენ ნორტონი გასახსენებელი ვინმეა...**

### ცხოვრება

გავიხსენოთ, მაშ, აბა რა? არ შეიძლება არ გავიხსენოთ. კენ ნორტონი ხომ ის კაცია, მძიმე წონის ოქროს ხანაში, მუჰამედ ალის, ჯო ფრეზერის და ჯორჯ ფორმენის დიად ეპოქაში მოღვაწეობდა? ამბობდნენ კიდეც, ნორტონი რომ ვერაგული ხერხით არ ჩამოეშორებინათ საჩემპიონო ბრძოლისთვის, ვინ იცის, როგორ შეიცვლებოდა ისტორიაო.

კენ ნორტონი ხომ ის კაცი გახლავთ, მუჰამედ ალის ყბა რომ გაუტეხა. აბა, არის მსოფლიოში მეორე ასეთი კაცი? მაგრამ ეს ყველაფერი წარსულშია. დიდი ოთხეულის წევრებს თავთავიანთი გზა უნახავთ - „სმოქინ“ ჯო ფრეზერი ისე გაკადნიერებულა, რომ წიგნებსაც კი წერს და ქრისტე ღმერთის რაობაზე მსჯელობს. მუჰამედ ალის პარკინსონი სტანჯავს, ჯორჯ ფორმენი კი კვლავ რინგზეა.

კენ ნორტომაც, ამ დიდი ოთხეულის უსაქმროდ დარჩენილმა კაცმაც, მონახა თავისი გზა ცხოვრებაში, მცირე ბიზნესს მისდია, ცოტა მოიგო, არცთუ ნაკლები წააგო და ამასობაში ორმოცდათხუთმეტი წლისაც შესრულდა.

რინგს 1981 წელს გამოეთხოვა, ხუთი წლის შემდეგ კი იმქვეყნად წასული, ექიმებმა დააბრუნეს. უმძიმესი ავტოკატასტროფის შემდეგ კენ ნორტონს ძვალი აღარ ჰქნდა მთელი, მის სისხლში კი შუშისა და რკინის ნამტვრევები მოხვედრილიყო. დოსტაქრები ამბობდნენ, თუ გადარჩება, მხოლოდ ლოგინზე დასვენებული იცოცხლებსო. გარადჩა, დადის და ლაპარაკობს, მაგრამ წელიწადზე მეტხანს არ ახსოვდა ვინ იყო, რას საქმიანობდა და რატომ მოხვდა საავადმყოფოში.

„მნახველები მოდიოდნენ, სასთუმალთან ჩამომისხდებოდნენ და მელაპარაკებოდნენ. ერთი საათიც რომ ელაპარაკათ და მერე ერთი წუთით პალატიდან გასულიყვნენ, შემობრუნებულებს ველარ ვცნობდი“, - ყვება ნორტონი.

უჭირდა, აბა არ უჭირდა?

მთელი თავისი ზღაპრული ჯან-ღონით ერთსა ცდილობდა — როგორმე თითები აემოძრავებინა. ენა ებმოდა, რასაც ზოგიერთი იმას აბრალებდა, კრივს რომ კარგახანს შემორჩა. რა თქმა უნდა, ეს სისულელე იყო. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე მიაჩნდა და მიაჩნია. საერთოდ, არ უყვარს იმ ავტოშეჯახებაზე ლაპარაკი, ღმერთმა სიცოცხლე მაჩუქა, ჯანი დამიბრუნა და ახლა ხომ არ დავიწყებ რალაცეების მოყოლასო. ასეთი კაცია, არცთუ დარდიანი და ასეთები ხომ ყველაფერს გაუძლებ ხოლმე?

კენ ნორტონს მოსაგონებლად ისა აქვს, რომ მოკრივე იყო. კრივი მთელი არსებით, შიგან-ჯიგრით უყვარს და ესმის, ახლა ხელის გაქნევა აღარც შეუძლია და არც უნდა, მაგრამ თავისი წარსულის გამო სიხარულით კი ჰყვება.

კენი არ არის ერთი რომელიმე უტვინო მოკრივე, ის კაცი გახლავთ, ძალიან დიდი ჯანი და მოქნილი ტანი რომ ჰქონდა.

„კრივი ყოველთვის მომწონდა. ბევრი კარგი ხალხი გამაცნო, გზაც მშვენივრად განვვლე. ნაწყენი და ნატკენი არასოდეს ვყოფილვარ. ეგ არის, მეტი შემეძლო, მაგრამ ამ საქმეს, ჩემს ხელობას არცთუ სერიოზულად ვუდგებოდი. ჯიგარი და ცეცხლი მქონდა, სერიოზულობა კი არანაირი. მწვრთნელებს ნაკლებად ვუსმენდი. გამონაკლისი ედი ფაჩი იყო. მისი მერიდებოდა, ბიძაკაცი იყო. ბილ სლეიტონი კი ჩემი ძმაკაცი გახლდათ. აბა, იმას რას მოვუსმენდი?“ — ასე აღწერს თავის კრივს ნორტონი.

არადა, ეს იყო საოცარი ჯანისა და აგებულების მოკრივე, იმ ავტოკატასტროფასაც ამითაც გადაურჩა, რომ ნაღდი, წაუხდენელი სპორტული სხეული და ორგანიზმი ჰქონდა.

...მერე კი ცხოვრობდა მშვიდად, ერთხანს კრივის დარბაზიც ჰქონდა სამხრეთ კალიფორნიაში, რაიც ცოლმა ჯეკიმ უყიდა, ხანაც ემჯიემ გრანდში მსახურობდა საკრივო სექტორში. ახლა კი რესტორნები დაუხსნია ლას ვეგასსა და ირვინში. კაცია და ცხოვრობს, დაგროვილი ფული ქარს არ გაატანა.

მაგრამ მთავარი მის ცხოვრებაში მაინც კრივია,



კენს ასევე მოსწონს კოვბოური ქუდები. ისა და ძველი ჩემპიონი ბობ ფოსტერი გულიანად იცინიან

კრივი და სამი შეხვედრა მუჰამედ ალისთან, რაც დღესაც, ერთ ვიდეოკასეტაზე ჩაწერილი, საკრივო კლასიკად რჩება.

### ალი ფრეზერის წინააღმდეგ

მას შემდეგ, რაც სამ ბრძოლაში ოცდაცხრამეტი რაუნდი გაატარა ალის პირისპირ, კენ ნორტონმა ადგილი დაიმკვიდრა კრივის ისტორიაში. სამყაროს ალბათ, საუკეთესო მძიმეწონოსანის წინააღმდეგ გამოსვლებში ნორტონმა მოიგო პირველი ბრძოლა და წააგო შემდეგი ორი, თუმცა ამ ბოლო ორის შედეგები დღემდე სადაოდ რჩება. ნაღდი კი ის არის, რომ ალის არავისთან გასჭირვებია ასე.

თავი დავანებოთ იმას, რომ 1973 წელს მათ პირველ შეყრაში ნორტონმა ყბა გაუტეხა ალის. ეს სულაც არ არის მთავარი, მთავარი, ამ შერკინებათა განსაკუთრებული, უმაღლესი კლასია.

თუმცა, თავად ნორტონს მოვუსმინოთ:

„მე ყოველთვის მომწონდა ალი, ჩვენი პირველი ბრძოლის შემდეგ მე ვუთხარი, რომ მინდა მეგობრებად დავრჩეთ. სახუმარო ის იყო, რომ საერთოდ არ ვიცნობდი და სამეგობროდ კი გავექაჩე. თუმცა, როცა რინგზე გამორჩეულ კაცთან ერთად დგახარ, გგონია, რომ ყოველთვის იცნობდი. ალი კარგი ბიჭი იყო. ის ახლაც კარგი კაცია.

რაც შეეხება ბრძოლას, მე არ მეშინოდა ამ კაცის და ვერცერთხელ ვერ მაჯობა თავისი ტაქტიკით. ჩხუბის დროს ლაპარაკი უყვარდა. საზიზღრობებს გეუბნებოდა ხოლმე, ცდილობდა გაეგიჟებინე. გაგიჟებული კაცი კი განსჯის უნარს კარგავს. მე მშვიდი კაცი ვარ, ჩვენი შეხვედრები ჭადრაკის პარტიებს ჰგავდა. მან ვერ მოახერხა ჩემი მწყობრიდან გამოყვანა, ისე, როგორც ეს ჯო ფრეზერს გაუკეთა. დაიწყო რალაცეების ჩალიჩი, მაგრამ არ გაუვიდა. მის სიტყვებზე მეცინებოდა.

მაგრამ ალისთან ბრძოლა მხოლოდ ეს არ იყო. ჩუმი გინება არ იყო ალის მთავარი იარაღი. ის საოცარი მოკრივე გახლდათ. ბრძოლის ტემპის რეგულირება მასთან ჭიდილისას შეუძლებელი იყო. შენ რომ რიტმში ჩაჯდებოდი, ის წამსვე შეგიცვლიდა და დაბნეულს თავ-პირს დაგისიებდა. მაშინაც კი, როცა გეგონა, რომ მოერიე, დარტყმას ახერხებდა“.

ალისგან განსხვავებით, ნორტონი არასოდეს შეხვედრია ჯო ფრეზერს. ვარჯიშობა კი ერთხანს ერთად მოუხდათ. როცა ნორტონი პროფესიონალი შეიქნა და ედი ფაჩის ხელქვეით დაიწყო ვარჯიში, მაშინ ფრეზერიც ფაჩის მოკრივე იყო. კენს და ჯოს ხშირად უშვებდნენ რინგზე, რათა ცხელი სპარინგი გაეწიათ. ყველაზე შთამბეჭდავი ყრმა ნორტონისთვის ფრეზერის განთქმული ცაცია ჰუკი ყოფილა. ასეთ ჰუკს მხოლოდ ფილადელფიელი თუ მოახერხებდაო, დღესაც სწამს კენს.

„ჯოსგან ბევრი რამ ვისწავლე“, — ჰყვება ის — „უნდა გესწავლა, ისე რა გამოვიდოდა? ჯოს რიტმის კარგი გრძნობაც ჰქონდა. თუმცა, ამ საქმეში ალი სჯობდა და საერთოდ, ალის წინასწარ შეეძლო ბევრი რამის ამოცნობა. ჯო რომ თავისი ცაცია ჰუკის დარტყმას გადაწყვეტდა, წინდაწინ ჩვეულ მოძრაობებს აკეთებდა. ჰუკს, უფრო ხშირად, მარჯვენა აპერკოტი უსწრებდა, მხოლოდ ორიოდე კაცს შეეძლო ამის დამახსოვრება. მე და ალი ამათ შორის ვიყავით. თუმცა, ჯოს ეგრეც ვერ შევხვდი რინგზე...“

### კრივი და ბურთაობა

ის ყოველთვის ათლეტი იყო, ბავშვობიდან ასე იყო აგებული.

ილინოისში, ჯეკსონვილში დაიბადა და გაიზარდა და ამერიკული ბურთაობის საუცხოო მოთამაშე იყო მოწაფეობის დროს. კოლეჯშიც ორ წელიწადს მისდია ამ თამაშს, მერე კი საზღვაო ფეხოსანთა ლაშქარში ჩაეწერა და კრივსაც იქ მიჰყო ხელი.

მსოფლიო კრივის ისტორიაში სულ რამდენიმე კაცია ისეთი, ვისაც ასე „გვიან“ დაუწყია კრივის შესწავლა და ამგვარი სიმაღლისთვის მიუღწევია. ჩვეულებრივ, ასეთები პატარა ქალაქების ფიცარნაგებს ვერა სცდებიან, კენი კი აღზევებულთა შორისაც გამონაკლისი იყო.

„სან დიეგოში ვილაც ბიზნესმენები დამიკავშირდნენ და მითხრეს, პროფესიონალის ლიცენზიაზე შეიტანე განცხადება, ფულს ჩვენ გამოვდივართო“, — იხსენებს ნორტტონი — „მე კი ჩემს მშობლიურ ჯექსონვილზე ვფიქრობდი. ჯექსონვილი კარგი ქალაქი იყო, იქ ბევრი ძმაკაცი მყავდა, შავიცა და თეთრიც. გული იქეთ მიმიწევდა. მაგრამ კარგად რომ წარმოვიდგინე, რა მომელოდა იქ... ნუ, კარგი, კოლეჯს დავუბრუნდები. დავამთავრებ თუ ბედი გამიღიმებს, პოლიციელი გავხდები. ჯეკსონილი ძალიან კარი ქალაქი იყო, მაგრამ ასე ცხოვრება მოსაწყენი მეჩვენებოდა, ამიტომ იმ სანდიეგოელებს დავეთანხმე და მოკრივე შევიქენი“.

### ისევ კრივი და ბურთაობა

ათლეტურ ნორტონს შვილებიც ათლეტები გამოუვიდა. ამათ შორის კი ყველაზე სახელოვანი — კენ ნორტონ უმცროსი, რომელმაც ბურთაობას მთელი ჟინით მისდია ამერიკულ ბურთაობის, ჯერ სტუდენტური ლიგის ვარსკვლავი შეიქნა, მერე კი ეროვნული ლიგისა, სადაც, ჯერ დალასის გუნდში თამაშობდა, მერე სან ფრანცისკოსაში.



ალისთან პაექრობამ კლასიკოსად აქცია ნორტონი

რა შეიტყვეს ჟურნალისტებმა, რომ სახელოვან მამას სახელოვანი შვილი გამოსვლია, გადაწყვიტეს მათი ამბავი ერთმანეთს ჩავაბათ და საგაზეთო ხმაური წამოვიწყოთო. დაიწეს კიდეც ამის ჩალიჩი და მიადგნენ კენ ნორტონ უმცროსს, მოგვიყევი ერთი მამაშენის ამბებიო. იმან კი მიუგო, მამაჩემისა არაფერი ვიცი, ორი წელიწადია არ მინახავსო, ხოლო ბავშვობის გახსენებაზე უარი განაცხადა.

ოდნავ გაოცებულმა ჟურნალისტებმა ტეხასიდან კალიფორნიისკენ გასწიეს და მამა კენს მიადგნენ, შენ მოგვიყევი შენი შვილის ამბებიო. არაფერიც არ ვიციო, მიუგო კენმა, ორი წლის წინათ დალასს გაფრინდა, პროფესიონალი მობურთავე უნდა გავხდეო. მერე აღარ დაურეკია და აბა რა გითხრათო.

ჟურნალისტები გაოცდნენ, ეგ სადაური მამაშვილობააო, კენმა კი ჩვეული ღიმილით მიუგო:

„აბა რა გითხრათ? ტელევიზორში კი ჩანს ხოლმე, მაგრამ მღელვარებისგან ვერ ვუყურებ მის თამაშს. რეპორტაჟს რადიოთი ვისმენ, თვითონ კი იმ რადიოში არ ლაპარაკობს. კვირაში სამჯერ მესმის მისი სახელი და ვხვდები, რომ ცოცხალია და კარგადაა, მეტი რა ვქნა? ტელეფონის ნომერი არა მაქვს...“

ასე რომ, რეპორტაჟების სერია არ შედგა.

მერე კენ ნორტონ უმცროსი კალიფორნიაში გადმობარგდა და სან ფრანსისკოში დაიწყო თამაში. მამა და შვილი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, თუმცა კენი კვლავ ვერ უცქერს თამაშებს, რადგან გული უსკდება. ერთხელ სტადიონზეც მისულა, მაგრამ ათ წუთში იქედან გამოქცეულა და მანქანაში მჯდომს უსმენია რადიორეპორტაჟისთვის.

აი, ასეთი ამბებია. ორ კენს იოლი მამაშვილობა არ ჰქონიათ, მაგრამ ტკბილი კი.

პატარა კენი ცამეტი თვისა იყო, როცა დედ-მამა გაშორდნენ და თერთმეტისა— როცა შერიგდნენ. იმის შემდეგ კენი კენს არ მოსცილებია.

„როცა მას შეხედავ, იტყვი, რომ მე ვარ. როცა მე შემომხედავ, იტყვი რომ ისაა“, — სიამაყით ამბობს მამა კენი.

### ცოტაც

დღევანდელ კრივს კენ ნორტონი ალმაცერად უყურებს, დიდი საქმე, ეგეც რამეაო, ამბობს. ერთი დიდი კაცი არ ჩანსო. და მართალიცაა.

ვის ვის და მას კარგად მოეხსენება, თუ რა არის დიდი კაცების კრივი, ის ხომ დაუვიწყარი ოთხეულის ნაღდი წევრია. და სტატისტიკური ჩანაწერი 42-7-1 (33) რაც მისი საკრივო კარიერის შედეგს აღნიშნავს, ბევრს არაფერს მეტყველებს. ასეთი მაჩვენებელი და უკეთესიც, ბევრსა აქვს. მაგრამ იმ ბევრში ძალზე ცოტაა ისეთი, კენ ნორტონის დარად რომ ეკრივოს დიდ ეპოქაში. თან ეკრივოს ღირსეულად, ლამაზად და ნაღდი სპორტსმენიც ყოფილიყოს.

უფრო სწორად, ბევრში ცოტა კი არა, ათასში ოთხია: მუჰამედ ალი, ჯო ფრეზერი, ჯორჯ ფორმენი და ჩვენი ხალისიანი ძიაკაცი — კენ ნორტონი.



ასეთი ნაღდი კაცია კენ ნორტონი. მას ბიჭურად ჩაცმაც უყვარს



კენი მართლაც ნაღდი ათლეტი იყო — აბა, შეხედეთ

# გრეგი ზეწვის ხიდზე

US OPEN

წლევანდელი ამერიკის ღია პირველობა სენსაციების მოყვარულთ ჯერჯერობით ვერაფრით ახარებს — აგერ უკვე ასპარეზობის ოთხი დღე მიიწურა და უკანასკნელ ხანებში ისედაც მეტად უხეიროდ მოთამაშე პეტერ კორდას გარდა ტურნირს არც ერთი ფავორიტი არ გამოკლებია.

თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ გამარჯვების პრეტენდენტებს წინააღმდეგობის გადალახვა არ უხდებათ. მაგალითად თუნდაც ტურნირის შარშანდელი ფინალისტი გრეგ რუზეცკი (6) შეიძლება ავიღოთ. მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონ ინგლისელს, რომელმაც



ბრუკ შილდსი

პირველ წრეში სამხრეთაფრიკელ უეინ ფერერასთან სამსაათიან ჭიდილში ორი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, მეორე წრეში ჩეხ ბოგდან ულირახთანაც ერთი ბურთი აშორებდა ჩემოდნების ჩალაგებას.

ეს მატჩის მეხუთე სეტის ბოლოს მოხდა, როდესაც ანგარიში 5:4 იყო ჩეხის სასარგებლოდ. რუზეცკიმ მატჩ-პოინტზე მხნელი პირველი მოწოდება ააცილა, მაგრამ მეორეზე ჭკუა იხმარა — მეტოქე მისი ჯანის პატრონისგან მორიგ ტყვიასავით დარტყმულს ელოდა, მან კი პირდაპირ ულირახს დაუმიზნა, თან ნელი მოწოდება ისე მოჭრა, ბურთი რაც შეიძლება მაღლა ავარდნილიყო (ჩოგბურთში ასეთ მოწოდებას KICK-SERVE ჰქვია). ულირახმა რუზეცკის ჩანაფიქრს ალლო დროზე ვერ აუღო და მიღება გაუფუჭდა, ინგლისელმა კი შვებით ამოისუნთქა და აქედან მოყოლებული მეტოქეს ერთი გეიმიც აღარ დაანება — 4:6, 6:3, 4:6, 6:2, 7:5.

„ცხოვრებაში პირველად მოვიგე ზედიზედ ორი ხუთსეტიანი მატჩი, რაც, უნდა გითხრათ, მართლაც დამქანცველი რამ არის. ორი დღის უკან ორი მატჩ-პოინტის გადარჩენა მომიხდა, ამჯერად — ერთის, იმედია, მესამე წრეში მსგავსი რამ საერთოდ აღარ დამჭირდებაო — განუცხადა ჟურნალისტებს რუზეცკიმ, რომელსაც შეხვედრის განმავლობაში 30 ეისი დაუგროვდა.

ნიუ იორკელთა ფავორიტმა ანდრე აგასიმ (8) საწუხარი და შესაშფოთებელი საკუთარ თავს თავად გაუჩინა. ხოტორა ამერიკელი სათვალიან ფრანგ გიიომ რაუქსს პირველ ორ სეტში სულ იოლად გაუსწორდა, მაგრამ საქმის დროულად მოთავების ნაცვლად ნაადრევად მოეშვა, მესამე ხელი ტაი-ბრეიკზე დათმო, ზედ მეოთხეც მიაყოლა და თავისი ვარსკვლავ-მეუღლე ბრუკ შილდსიც გვარიანად აინერვიულა. „ეს მომავალში გაკვეთილად გამომადგება. იმის მაგივრად, რომ მეტოქისთვის ბოლო მომეღო, თავად წავიბორძიკე და თავი უშელავათო ბრძოლაშიც ამოვყავი, მატჩის ბოლოს კი ძალების სრული დაძაბვა მომიხდა.“ აგასიმ გადამწყვეტ ხელში იოლად იმარჯვა. შეხვედრა 6:3, 6:2, 6:7 (6:8), 3:6, 6:1 დაასრულა, მაგრამ ეს გაკვეთილი იქნებ ძალიან ძვირადაც დაჯდეს — იგი ხომ შესანიშნავი ფიზიკური მომზადებით არასოდეს გამოირჩეოდა და საანაზევრით ზედმეტი სირბილი ხეირს ნაღდად არ დააყრიდა.

პირველი წრის ერთადერთი შემორჩენილი შეხვედრა მეშვიდედ განთესილმა ალექს კორეჯამ მეტად მძიმე მდგომარეობიდან კი გააგრძელა — მესამე სეტში 2:5-ს აგებდა, მაგრამ სენსაცია არც აქ შედგა — ვეტერან ჯანლუკა პოცის საბოლოოდ მან 2:6, 6:3, 7:5, 7:5 აჯობა.

წვიმის გამო გადადებული ოთხშაბათის „დღის მატჩი“ ქალებს შორის მარტინა ჰინგისსა და ივა მაიოლის შორის ხუთშაბათს შედგა. 20 წლის ხორვატმა შარშანდელ როლან გაროსის ფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგანს კი მოუგო და დიდი სლემის მოპოვების შესაძლებლობაც მოუსპო, მაგრამ მას აქეთ შვეიცარიელმა მეტოქეს ის გამარჯვება რამდენჯერმე ამოაშხამა. მაიოლიმ ამჯერად მხოლოდ პირველი ხელში გაიბრძოლა, მაგრამ ტაი-ბრეიკზე დამარცხების შემდეგ თეთრი ბაირაღები გადმოფინა 6:7 (4:7), 0:6.

იოლად გაიმარჯვა ჰინგისის ერთ-ერთმა მთავარმა კონკურენტმა ვინუს უილიამსმაც, რომელმაც ლუქსემბურგელ ენ კრემერს 6:1, 6:3 მოუგო. ვინუსს ქალთა ჩოგბურთის ფედერაციასთან — WTA-სთან კინაღამ ფრიად გაუმწვავდა ურთიერთობა, რაკილა პირველი წრის შეხვედრაში „რიბოკის“ მიერ საგანგებოდ მისთვის შეკერილი ლურჯ-ყვითელი კაბების 7 მოდელიდან ერთ-ერთზე ფედერაციისა და მისი სპონსორის — „კორელის“ ნიშნის ადგილი არ მოეძებნა. ამ გამოხტომისთვის უფროსი უილიამსი 100 დოლარით დააჯარიმეს და ამ თანხის 250-ჯერ გაზრდითაც დაემუქრნენ, თუ გონს დროზე არ მოეგებოდა. მეორე წრეში ახალ, ზურგამოჭრილ და მოკლესახელოებიან კაბაზე ადგილის დიდი სიმცირის მიუხედავად COREL-WTA ნიშანიც ამოჩნდა.

ავთანდილ სვანიძე

**მეორე წრე**

**კაცები:** პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — ერნან გუმი (არგენტინა) 6:4, 6:1, 6:2; დევიდ ნეინკინი (სამხრეთ აფრიკა) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 2:6, 6:4, 6:3, 6:4; იონას ბიორკმანი (12, შვედეთი) — ჯონათან სტარკი (აშშ) 6:2, 6:3, 6:1; პიტ სამპრასი (1, აშშ) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 7:6 (7:4), 2:6, 6:3, 6:3; კაროლ კუჩერა (9, სლოვაკეთი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 7:5, 6:3, 6:0; მარატ საფინი (რუსეთი) — ტეილორ დენტი (აშშ) 6:3, 6:1, 7:6(7:2); იან სიმერინკი (ჰოლანდია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 6:3, 6:4; გორან ივანიშევიჩი (14, ხორვატია) — ტოდ მარტინი (აშშ) 1:6, 7:6(7:5), 7:5, 6:3; ტომას მუსტერი (ავსტრია) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 6:7(5:7), 6:4, 6:3, 6:0.

**ქალები:** ამანდა კუტცერი (13, სამხრეთ აფრიკა) — რალუკა სანდუ (რუმინეთი) 6:1, 6:2; კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი) — ჯეკი ტრეილი (აშშ) 7:6(7:4), 6:1; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ლორი მაკნილი (აშშ) 6:1, 6:1; ნატალი ტოზია (10, საფრანგეთი) — ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) 6:7(4:7), 6:2, 6:3; ლაიზა რეიმონდი (აშშ) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:2, 6:2; ანა კურნიკოვა (15, რუსეთი) — რადკა ბობკოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:4; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (4, ესპანეთი) — ფაბიოლა ზულაგა (კოლუმბია) 6:3, 6:2.

* * *

როდესაც მეთორმეტედ განთესილი მარი პირსი ამერიკის ღია პირველობის პირველი წრის მატჩის ჩასატარებლად გამოცხადდა გერმანელ მაიკე ბაბელთან, მარცხენა მკლავზე აშკარად სვირინგი აჩნდა. ფრანგი ჩოგბურთელის გამბედაობამ, რომელსაც ტანის უზადო მოყვანილობის გამო სპორტულ სამყაროში „სხეულს“ უწოდებენ, ბუნებრივია, ბევრი დააინტერესა და მკლავზე ამოკვეთილის ახლოდან ნახვის სურვილიც გაუჩნდა. გამოსახულება კი, ყველას გასაოცრად, სვირინგი კი არა, ფირმა „გივანშის“ ახალი სუნამოს რეკლამა აღმოჩნდა, რომელმაც, როგორც იტყვიან, მიზანში მოარტყა.

სხვათა შორის, წარმატებული სარეკლამო კამპანიის გარდა პირსმა ამ დღეს თავის კარიერასაც შეჰმატა მორიგი ქვაკუთხედი — პროფესიონალურ სარბიელზე მე-300 გამარჯვება იზეიმა.

* * *

ჰოლანდიელ იაკო ელტინგს ამერიკის ღია პირველობაზე ჩოგბურთის ისტორიაში შეეძლო მოხვედრილიყო, მაგრამ მან ამას მეუღლესთან და ახალდაბადებულ ბავშვთან ყოფნა არჩია.

ელტინგს წლეულს წყვილებში სამი დიდი სლემის ტურნირი მოეგო — ავსტრალიის ღია პირველობა იონას ბიორკმანთან, როლან გაროსი და უიმბლდონი კი თავის ჩვეულ პარტნიორ პოლ ჰაარჰიუსთან ერთად. ასე რომ, ნიუ იორკში გამარჯვების შემთხვევაში სპორტის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს — თავად დიდი სლემის მფლობელიც გახდებოდა, რაც წყვილებში უკანასკნელად შორეულ 1951-ში მოუხერხებიათ ავსტრალიელ კენ მაკგრეგორსა და ფრენკ სეჯმენს. მაგრამ სამშაბათ საღამოს ნიუ იორკში, წვეულებაზე მყოფ ელტინგს მეუღლის სამშობიაროში გადაყვანის შესახებ რომ შეატყობინეს, პირველივე თვითმფრინავზე დაჯდა და ყოველგვარი სინანულის გარეშე ჰოლანდიაში გაემგზავრა, სადაც ვაჟიშვილის — ლარსის დაბადებასაც ჩაუსწრო.

„ვერც კი დამიჯერებია, რომ მან მე, შვიდი წლის საუკეთესო მეგობარი, მიმატოვა ბავშვისთვის, რომელიც აქამდე არც კი ენახა. ერთად რამდენი რამ გადაგვიტანია, მან კი ასე უსინდისოდ დამტოვა. ისე კი, რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა“ — განუცხადა ჟურნალისტებს ელტინგის მეწყვილემ — პოლ ჰაარჰიუსმა.

სხვათა შორის, იცით, თავად ჰაარჰიუსს ელტინგთან ერთად ავსტრალიის ღია პირველობაზე რატომ არ უასპარეზია? იმიტომ, რომ შინ, ჰოლანდიაში არჩია დარჩენა თავის მეუღლე ანიასთან, რათა პირმშოს დაბადებას დასწრებოდა.



მარკ როსე

* * *

შვეიცარიელ მარკ როსეს ფრიად გაუმართლა. საქმე ისაა, რომ 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი 20 წლის სლოვაკ დომინიკ ჰრბატისთან აშშ-ის ღია პირველობაზე პირველივე წრეში რომ დამარცხდა, ფრიად განაწყენდა და ცხელ გულზე მაშინათვე შინ დაბრუნება გადაწყვიტა. ჟენევაში გადაფრენას კი როსე სწორედ იმ თვითმფრინავით აპირებდა, 2 სექტემბერს კანადის სანაპიროსთან ოკეანეში რომ დაასრულა მოგზაურობა და 200-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. „გადაწყვეტილება მხოლოდ ბოლო წუთს შევცვალე. უნდა გამიგოთ, ერთი მხრივ ძალიან დამამწუხრა ამ ტრაგედიამ, მეორე მხრივ კი ამჟამად უბედნიერესი კაცი ვარ“ — განუცხადა ჟურნალისტებს იღბლიანმა ჩოგბურთელმა.

ამ სამწუხარო ამბავს კიდევ ერთი შვეიცარიელის — მარტინა ჰინგისის პრესკონფერენციაზეც არ აუარეს გვერდი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მომღიმარმა (ამჯერად მეტად უდროოდ) მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მომხდარი მეტისმეტად სპორტული თვალსაზრისით შეაფასა — ალბათ, ერთობ ძნელია ისეთ სიტუაციაში ყოფნა, როგორშიც მგზავრებს მოუხდათ, როდესაც თავის დაღწევის მცირე შანსიც კი არ გაქვსო.



# ფეტისოვმა ლეგენდა დაასრულა



ვიაჩესლავ ფეტისოვი

„დეტროიტ რედ უინგზის“ მცველმა, 40 წლის ვიაჩესლავ ფეტისოვმა კარიერა დაასრულა. ჰოკეის ქომაგთ ბოლომდე სჯეროდათ, რომ რუსი ვეტერანი, რომელიც უკვე იქცა ლეგენდად, გადაიფიქრებდა და გამოიყენებდა დეტროიტის ხელმძღვანელთა მიერ მიცემულ შანსს — კიდევ ერთი წლით დახმარებოდა კლუბს. მაგრამ როგორც თავად ჰოკეისტმა განაცხადა, დროა, ყველაფერი დასრულდეს. ცხადია, ესოდენ გამოცდილი და ნიჭიერი კაცი უსაქმოდ არ დარჩებოდა და მართლაც, ჰოკეისთან დამშვიდობების შემდეგ სულ რაღაც ხუთ დღეში ცნობილი გახდა, რომ ფეტისოვი ნიუ ჯერსის მთავარი მწვრთნელის ერთ-ერთ ასისტენტად დაინიშნა. საკონტრაქტო ვადა სამი წელია, ხოლო ფინანსური დეტალები უცნობია. ნიუ ჯერსის გენერალური მენეჯერის ლუ ლამორელოს თქმით, ფეტისოვი არა მარტო უდიდესი მოთამაშეა, არამედ ძლიერი პიროვნებაც და იგი ძალიან სჭირდება გუნდს. შეგახსენებთ, რომ ფეტისოვმა სწორედ ნიუ ჯერსიში დაიწყო თამაში და კარიერის უმეტესი ნაწილიც იქ გაატარა, თუმცა თავისი პოტენციალი მხოლოდ და მხოლოდ დეტროიტში გამოავლინა.

უნდა ითქვას, რომ ჰოკეისტის გადაწყვეტილება ერთგვარად მოულოდნელი იყო, რადგან მას არაერთხელ განუცხადებია, კარიერის დამთავრების შემდეგ რუსეთში დავბრუნდები და მთელ ძალ-ღონეს რუსული ჰოკეის შელახული პრესტიჟის აღდგენას მოვახმაროო. ამიტომაც იყო, რომ ვარსკვლავს სამშობლოში ყოველგვარ თანამდებობას უწინასწარმეტყველებდნენ, თავისი ყოფილი კლუბის, ცსკას თავკაცობიდან დაწყებული ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტებით დამთავრებული, მაგრამ ფეტისოვს, როგორც ჩანს, შინ დაბრუნება სრულებითაც არ ეჩქარება, რისი უმთავრესი მიზეზიც ცხრა წლის წინანდელი გახმაურებული კონფლიქტი უნდა იყოს — მაშინ უდიდესი რუსული „პირველი ხუთეულის“ წევრებს შორის განხეთქილება მოხდა და ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ, ალექსეი კასატონოვმა ცსკასა და ნაკრების მაშინდელ მთავარ მწვრთნელს ვიქტორ ტიხონოვს დაუჭირა მხარი. როგორც თავად ფეტისოვმა განაცხადა, სწორედ მაშინდელმა კონფლიქტმა გამოიწვია მისი და კიდევ ერთი დეტროიტელის, იგორ ლარიონოვის ნაგანოს ოლიმპიადაზე არყოფნა, მით უმეტეს, რომ კასატონოვი (ოლიმპიური ნაკრების გენერალური მენეჯერი იყო) და ტიხონოვი რუსულ ჰოკეიში დიდ ძალას წარმოადგენდნენ. თუ როგორ განვითარდება მოვლენები, დრო გვიჩვენებს, ჯერჯერობით კი ჰოკეისტს თავისი ნიუჯერსული მოღვაწეობა რუსეთში დაბრუნების ერთ-ერთ წინაპირობად მიაჩნია.

ფეტისოვის ღვაწლზე კი ყველაზე უკეთ მისი უნიკალური 23 (!) წლიანი კარიერა მეტყველებს, რომლის განმავლობაშიც მან თითქმის ყველა პრიზი და ტიტული მოიპოვა: იგი ორგზის ოლიმპიური და შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონია, ერთხელ კანადის თასი მოიგო, სამჯერ ევროპის საუკეთესო მოთამაშე იყო, კარიერა კი სტენლის თასით დაასრულა. გამოთხოვების მატჩი კი ფეტისოვმა სამშობლოში, ტრადიციულ „სპარტაკის თასის“ სერიაში ჩაატარა — რუსული ჰოკეის ლეგენდა აქაც დაუმარცხებელი გახლდათ.

# დიადი უიღბლო

1997-98 წლები მაიკ გარტნერისთვის უკანასკნელი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სეზონი ფორვარდისთვის არცთუ ხეირიანი იყო, მან უდიდესი იუბილე — ნჰლ-ში 700 შაიბა იზეიმა და უეინ გრეცკის, გორდი ჰოუს, მარსელ დიონსა და ფილ ესპოზიტოს დაუმშვენა მხარი, რაც ჰოკეისტს ავტომატურად უნაღდებს ადგილს „დიდების დარბაზში“. სხვათა შორის, გარტნერი ლიგის ორ უნიკალურ რეკორდს ითვლის. პირველს, 17 (!) სეზონის განმავლობაში გამუდმებით 30 შაიბაზე მეტის გატანას, ალბათ, დამხობა არ უწერია, მეორე კი უფრო ანტირეკორდს უნდა მივაკუთვნოთ: მაიკი ის ჰოკეისტია, რომელმაც ნჰლ-ში ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარა და სტენლის თასს ვერც ერთხელ ვერ დაეუფლა. ეს სრულ უფლებას გვაძლევს, გარტნერს „დიადი უიღბლო“ ვუწოდოთ. მთელი თავისი კარიერის განმავლობაში თავდამსხმელი საშუალო დონის კლუბებში თამაშობდა (ვაშინგტონი, მინესოტა) და, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთხელ, 1994 წელს იყო ახლოს მიზანთან, მაგრამ სეზონის უეჭველმა ფავორიტმა რეინჯერსმა, რომელმაც შემდგომ თასი მოიპოვა, „დედლაინზე“ იგი ტორონტოში გაუშვა. თუმცა ამერიკული გაზეთის „ჰოკი ნიუსის“ მიმომხილველი ჯეი გრინბერგი ასე აფასებს ყოველივეს: „ჰოკეისტის საპლეიოფო სტატისტიკა (56 მატჩში 22 გოლი და 26 პასი) ადასტურებს, რომ გარტნერი არა უიღბლო, არამედ ჩვეულებრივი მოთამაშეა. მისი გუნდები ვერასდროს იგებდნენ სათასო სერიებს, ხოლო იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ეს ხდებოდა, ფორვარდი გადამწყვეტ როლს არ ასრულებდა. გარტნერმა იმიტომაც ვერ მიაღწია გრეცკის და ლემიეს დონეს, რომ ჭეშმარიტად უდიდესი სპორტსმენები ჯერ თავიანთ გუნდებსა და პარტნიორებს აქცევენ საუკეთესოდ, მერე კი თავად იხვეჭენ სახელს“.



მაიკ გარტნერი

ცხადია, გრინბერგის აზრი ანგარიშგასაწევია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ გრეცკისგან განსხვავებით გარტნერი გარემარბის პოზიციაზე ირჯებოდა, რაც მის სათამაშო ფუნქციას ზღუდავდა. თუმცა ის, რომ ჰოკეისტი ყველას და ყველაფერს საკუთარ ინტერესებს ამჯობინებდა, სტატისტიკიდანაც ჩანს: 1432 მატჩში ფორვარდმა უფრო მეტი გოლი (708) მიითვალა, ვიდრე პასი (627).

სამველ ლარიბიანი




ბავშვთა
კალათბურთის
აკადემია
აცხადებს 7-8-9-10 წლის
ბავშვების მიღებას

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 49, სპორტის აკადემიის შენობა. ტელ: 23-20-05

# ჰიშამ ელ გერუჯიმ, მილიონი მე დამრჩებაო

## მაშ, ჯონსს, ბრონსონს და გაბრესელასიეს რაღა?

მძლეოსანთა „ოქროს ლიგის“ გათამაშება დასასრულს მიუახლოვდა. დღეს მოსკოვი მეშვიდე, დამაგვირგვინებელ ეტაპს უმასპინძლებს და გაირკვევა იმ იღბლიანის ვინაობა, ვინც საკმაოდ სოლიდურ საპრიზო ფონდს — 1 მილიონ დოლარს ირგუნებს მოგეხსენებათ, მოყვარულ ათლეტთა საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) მიერ მოწყობილი ტურნირი 7 ეტაპისგან შედგება და სანუკვარი ჯილდოც — ერთი მილიონის ღირებულების ოქროს ზოდები შვიდივე შეჯიბრის გამარჯვებულთათვისაა დაწესებული. თუმც არ არის გამორიცხული, დღევანდელ საღამოს უამრავი ფოტორეპორტიორისა და გულშემატკივრის წინ ერთბაშად ოთხი ტრიუმფატორი იწონებდეს თავს


ჰიშამ ელ გურუჯი


მარიონ ჯონსი


ბრაიან ბრონსონი


ჰაილე გაბრესელასიე

საქმე ის არის, რომ განვლილი ექვსი ეტაპის მოგება ოთხმა საუცხოო ათლეტმა — 100 მეტრზე მორბენალმა ამერიკელმა ქალმა მარიონ ჯონსმა და ვაჟებმა: 1500 მეტრზე მორბენალმა მაროკოელმა ჰიშამ ელ გურუჯიმ, 400 მეტრზე თარჯრბენის მონაწილე ამერიკელმა ბრაიან ბრონსონმა და 5000-მეტრიანი დისტანციის მეფემ, ეთიოპიელმა ჰაილე გაბრესელასიემ მოახერხეს, თანაც მოგებაც არის და მოგებაც. ეს მძლეოსნები მთელი წლევანდელი სეზონის მანძილზე დამაჯერებლად ასპარეზობდნენ, ყველა მეტოქეს უპრობლემოდ ჯაბნიდნენ და ამიტომ ძნელი სავარაუდოა, ახლა, გადამწყვეტ ეტაპზე, დაუცდეთ ფეხი.

ყოველივე ეს კარგად ესმით გათამაშების ორგანიზატორებსაც, რომლებიც რუსეთის დედაქალაქში გასამართ ბოლო ეტაპს ულამაზესი გარბენების ხილვის იმედით ელიან. არადა, ოთხიოდე დღის წინ ბერლინის ეტაპის შემდეგ ამ ბოლო ხანებში რუსეთში განვითარებული მოვლენების გამო, ისეთი რთული ვითარება შეიქმნა, ადვილი მოსალოდნელი იყო, მოსკოვური შეჯიბრი საერთოდ არ შემდგარიყო.

ამერიკელმა ვაჟებმა 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონმა მორის გრინმა, 200 მეტრზე მორბენალმა ჯონ დრამონდმა და 400 მეტრზე რბენაში თითქმის უძლეველმა მაიკლ ჯონსონმა ყოფილი საბჭოეთის დედაქალაქში ჩასვლაზე მოულოდნელად უარი განაცხადეს. მოტივი მეტად მარტივი იყო — მოსკოვში რთული ფინანსური პრობლემები აქეთ და იქ ყოფნა უცხოელთათვის უაღრესად საშიშიაო.

აჯანყებულთა სიფრთხილე მალე თითქმის ყველა ამერიკელმა სპორტსმენმა გაიზიარა, რამაც IAAF-ის პრეზიდენტის პრიმო ნებიოლოს გულისწყრომა გამოიწვია.

„არ მესმის, რატომ ეშინიათ იქ ჩასვლის. კი, მოსკოვში რუბლთან დაკავშირებით დიდი აურზაურია, მაგრამ მძლეოსნობის ტურნირთან ამას რა კავშირი აქვს? თანაც რუსებს ათლეტთა უსაფრთხოების პირობები უმაღლეს დონეზე აქვთ დაყენებული, რის გამოც ჩვენ არანაირი საბაბი არ გვაქვს, იქ დანიშნული ეტაპი გადავდოთ“ — ასეთი გახლდათ აღშფოთებული ნებიოლოს კომენტარი, რამაც ცხადი გახადა, რომ 5 სექტემბრის ეტაპი დათქმულ ადგილზე გაიმართებოდა და თანაც მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნებსაც მოუყრიდა თავს.

ერთადერთი, რისი მოგვარებაც პრეზიდენტმა ვერ შეძლო, თავის მხრივ განაწყენებული გრინის, ჯონსონისა და დრამონდის შემორიგება გახლდათ. მართალია, ეს სპორტსმენები ოდნავ მოლბნენ და ადრინდელი ვერსიის ნაცვლად მოსკოვში ჩაუსვლელობა მძიმე სეზონით გამოწვეულ დაღლილობას გადააბრალეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ზემოჩამოთვლილი ათლეტები ბოლომდე მაინც თავისაზე დადგნენ და შორ გზაზე გამგზავრებას ისევ შინ დარჩენა ამჯობინეს.

ისე, კაცმა რომ თქვას, გრინის, დრამონდისა და ჯონსონის არყოფნა მოსკოვურ ეტაპს დიდად არც დააკლდება. ესენი მსოფლიოს ელიტარულ მძლეოსანთა რიგებში კი შედიან, მაგრამ ამჯერად ძირითადი ყურადღება მაინც ოქროს ზოდებისთვის მებრძოლი ოთხეულისკენ იქნება მიმართული.

100 მეტრზე მორბენალი ქალი მარიონ ჯონსი ალბათ, უეჭველად იქნება იმათ შორის, ვინც შაბათს სულ მცირე, 250 ათასი დოლარით გამდიდრდება. ყოფილ კალათბურთელს ერთი პერიოდი ორიოდე კვირის წინ ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფატორმა ფრანგმა კრისტინ არონმა შეჰბედა წინაალმდეგობის გაწევა, მაგრამ ჯონსმა პირად შეხვედრაში იმდენად დამაჯერებლად დაამარცხა მეტოქე, რომ მის არაკეთილმოსურნეებს ენა მუცელში ჩაუვარდათ.

„მოსკოვში შექმნილი ფინანსური პრობლემები დიდად არ მანაღვლებს. თანაც, ისიც მინდა იცოდეთ, რომ იქ ფულის გულისთვის არ მივდივარ. ზედმეტი 250 ათასი არ მაწყენდა, მაგრამ ეს ჩემთვის მთავარი სულაც არაა. მე მხოლოდ ერთადერთი მიზანი მამოძრავებს, მინდა, ყველა დარწმუნდეს, რომ მსოფლიოს უსწრაფესი ქალი ვარ და ამას კიდევ ერთხელ დავამტკიცებ“ — აცხადებს მარიონ ჯონსი.

ვფიქრობთ, არანაირი პრობლემა არ შექმნება ეთიოპიელ ჰაილე გაბრესელასიესაც. ადრეც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, 5000 მეტრზე ვაჟთა გარბენის ცქერისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შეჯიბრი სულ ტყუილად ტარდება და ჯობს, ოქროს მედალი გარბენის დაწყებამდე ჩააბარონ ჩია ეთიოპელს.

ოქროს ზოდების მაძიებელი ოთხეულიდან ყველაზე დაძაბული ბრძოლის გადატანა 400 მეტრზე თარჯრბენში მორბენალ ამერიკელ ბრაიან ბრონსონს მოუწევს. მსოფლიოს ჩემპიონმა ფრანგმა სტეფან დიაგანამ მას ექვსივე ეტაპზე პირდაპირ სისხლი გაუშრო. წინა გარბენი ბერლინში საერთოდ ევროპელის უპირატესობით მიმდინარეობდა და ბრონსონს ისე გაუჭირდა, მისი უპირატესობის დასადასტურებლად ფოტო-ფინიშის გამოყენებაც კი გახდა საჭირო.

მაროკოელ ჰიშამ ელ გურუჯზე საუბარი ბოლოსთვის საგანგებოდ შემოვინახეთ. მართალია, ამ კაცს 1500 მეტრზე რბენაში ბადალი არ ჰყავს და სავარაუდოდ მორიგ იოლ გამარჯვებასაც იზეიმებს, მაგრამ მოსკოვური ეტაპის წინ მაინც გასაკვირია მისი გადაჭარბებული ოპტიმიზმი. მაშინ, როცა სხვა ათლეტები თავიანთ მოსალოდნელ წარმატებასთან ერთად დანარჩენი სამის სიძლიერეზეც საუბრობენ და თითქმის შერიგებული არიან იმ აზრს, რომ მილიონიანი ჯილდოდან მეოთხედი — 250 ათასი დოლარი შეხვდებათ, ელ გურუჯი არ ერიდება სენსაციური განცხადებების გაკეთებას და ჯეკპოტის მოხვეჭაზეც დაუფარავად აცხადებს პრეტენზიას.

„მე სხვებზე მეტად მჭირდება ბევრი ფული. მსურს, ჩემს მშობლებს დიდი, კეთილმოწყობილი სახლი ვუყიდო, რადგან მათ ეს სავსებით დაიმსახურეს. ამიტომ იმედი მაქვს, დანარჩენი სამი პრეტენდენტი მეშვიდე ეტაპზე ჩაფლავდება და მთელი თანხა მე დამრჩება“ — ასე ფიქრობს მაროკოელი სტაერი.

ვნახოთ, რამდენად გამართლდება ელ გურუჯის სურვილი. „ოქროს ლიგის“ დასკვნითი ეტაპი ამ საღამოს დასრულდება და გამარჯვებულის, თუ გამარჯვებულთა ვინაობას სულ მალე გაიგებს მსოფლიო.

**ირაკლი ხმელიძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29




დღეს ველორბოლის სამყაროში წლის სამ უდიდეს ტურნირთაგან ბოლო — „ვუელტა“ იწყება. 22 გუნდში თავმოყრილი მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები ქალაქ კორდობიდან შეუდგებიან იმ მძიმე მარათონის დაძლევას, სამი კვირის მანძილზე 22 ეტაპს რომ მოიცავს და 3753 კილომეტრზეა გადაჭიმული

## ვუელტა — ესპანელთა ძველი ოცნება

მრავალრიცხოვანი დოპინგ-სკანდალებით სახელგანთქმული წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ შემდეგ ესპანური რბოლის ორგანიზატორები ერთობ შიშობდნენ, რომ ნაწყენ ვარსკვლავთა აბსოლუტური უმეტესობა ზურგს აქცევდა სეზონის დამაგვირგვინებელ უდიდეს შეჯიბრს და მეორეხარისხოვან პაექრობად აქცევდა, მაგრამ, მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის სასიხარულოდ, ასე არ მოხდა. პლანეტის თითქმის ყველა უძლიერესმა ველომრბოლმა თანხმობა განაცხადა ესპანეთში ჩასვლაზე, რითაც ყოველთვის უაღრესად საინტერესო „ვუელტა“ კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა.

საგულისხმოა, რომ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ესპანური ტურის მოგება მასპინძელს არ ღირსებია. განსაკუთრებით გასაკვირი საქვეყნოდ ცნობილი მიგელ ინდურაინის წარუმატებლობა იყო. ყველაზე პრესტიჟული ასპარეზობის — „ტურ დე ფრანსის“ ზედიზედ ხუთჯერ, ხოლო არანაკლებ სერიოზული „ჯირო დ იტალიას“ ორჯერ მომგებმა ინდურაინმა „ვუელტაზე“ გაჩემპიონება ვერაფრით შეძლო. 1992 წლის სეზონიდან ესპანეთში ხუთჯერ შვეიცარიელებმა იმარჯვეს, ხოლო 1995 წელს მათ ბატონობაში ფრანგი ლორან ჟალაბერი შეეცილა და ერთი წლით პირველობა ირგუნა.

წლეულს ვითარება სხვაგვარადაა. მასპინძლები საგანგებოდ ემზადებიან რიგით 53-ე „ვუელტასთვის“ და იმედი აქვთ, რომ შვიდი სეზონის მანძილზე დამკვიდრებულ მათთვის ერთობ არასასიამოვნო ტრადიციას ბოლოს მოუღებენ. ამის საფუძველს ესპანელებს ძირითადად ორი ველომრბოლი აძლევთ. ეს მიგელ ინდურაინის ღირსეულ მემკვიდრედ შერაცხული აბრაჰამ ოლანო და ფერნანდო ესკარტინი არიან, ესკარტინი, რომელმაც „ვუელტაზე“ შარშანაც მშვენივრად იასპარეზა და შვეიცარიელი ალექს ცულეს შემდეგ მეორე იყო.

ესპანელებს „ვუელტას“ ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება კი სურთ, მაგრამ საკითხავია, როგორ აღიქვამენ ყოველივე ამას მეტოქეები. ზემოხსენებულ ოცდაორ გუნდს შორის მასპინძელთათვის ყველაზე საშიში უეჭველად ფრანგული „ფესტინა“ იქნება. ამ გუნდმა „ტურ დე ფრანსზე“ ატეხილი დოპინგ-სკანდალისგან ყველაზე მეტად იზარალა. საქმე ისაა, რომ „ფესტინას“ მენეჯერი საქვეყნოდ გამოვიდა და კეთილსინდისიერ აღსარებაში აღიარა, ჩემი გუნდის ველომრბოლები აკრძალულ ნივთიერებებს ხმარობენო. ჰოდა, თითქმის საჩემპიონოდ გამზადებული „ფესტინა“ ტურიდან საერთოდ მიაბრძანეს.

მას შემდეგ ბევრი დრო არ გასულა, მაგრამ ფრანგებმა, რომელთაც „ვუელტას“ შარშანდელ ჩემპიონ ცულეს გარდა ველოსამყაროში უძლიერესთა შორის მყოფი რიშარ ვირანკი, ლორან ბრაშარი და ლორან დიუფო ჰყავთ, ყველაფერი მოაგვარეს და შეეცდებიან, ესპანური ტურნირის მთავარი პრიზი თავიანთ მრბოლს არგუნონ.

**ბაჩა არჯევანიძე**



## ბოისა სტეფანიას გზაზე



ვლადიმერ ბოისა

ბოლოხანს რუსთავის აზოტელ ვლადიმერ ბოისას ევროპის არაერთი ძლიერი კლუბი შეეხმიანა, მათ შორის თელ ავივის „მაკაბი“, სტამბოლის „ეფესპილსენი“ და ლუბლიანის „ოლიმპია“. ეს ის გუნდები არიან რომელნიც სწორედაც რომ ამინდს ქმნიან ევროპულ კალათბურთში და, ბუნებრივია, მართლაც გასახარია მათი დაინტერესება საქართველოში გაზრდილი კალათბურთელით.

ამჯერად კი ვოვამ ზემოთ ნახსენებთაგან უკანასკნელი ვარიანტი ამჯობინა — ახლახან მას სლოვენიიდან ფაქსი მოუვიდა, ორშაბათს ლუბლიანას გაემგზავრება, სადაც ხელსაყრელ პირობებს სთავაზობენ და შესაძლოა ოთხწლიან კონტრაქტსაც მოაწეროს ხელი.

რუსთავის „აზოტისთვის“ უბოისობა დიდი დანაკლისია დონეცკის „შახტიორთან“ კორაჩის თასზე შეხვედრის წინ. ამაზე ძალიან ვწუხვარო, გვითხრა კალათბურთელმა.

რას იზამ, ბოისა მიდის, დიდი კალათბურთისკენ იკვლევს გზას რუსთავში გაზრდილი ბიჭი. იმედია, მალე დადგება ის დრო, როცა მოთამაშის გაზრდაში გაწეული ჯაფა წყალში აღარ ჩაიყრება და მათი ტრანსფერით ჩვენი გუნდებიც იხეირებენ.

**ზურაბ გონაშვილი**